პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 21 თებერვალი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 43 (2086)

## დღიური

— გერმანიის წითელი ფრონტელები ესალმებიან წითელ არმიას.
— ლიტვა-გერმანიის საარბიტრაჟო ხელშეკრულება.
— შეტაკება ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე.
— გერმანელ მელითონეთა ბრძოლის ფრონტი ფართოვდება.
— 27 თებერვალს დათხოვნილ იქნება გერმანიის რეიხსტაგი.
— ოპოზიციონური პარტიების დევნის გაძლიერება პოლონეთში.
— სამხრეთ-სლავიის მთავრობის კრიზისი გრძელდება.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო ახალი სამხედრო კანონი.

ოთხშაბათს, ა. წ. თებერვლის 22, საღამოს 7 საათზე

შესდგება

**ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა**

ს. ს. ცაკის მდივანი—ზ. მათიკაშვილი

## სახალხო მეურნეობის განვითარების გზები

პარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა დირექტივები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. ამის ნიადაგზე საჭირო იყო დირექტივების გამომუშავება თვითეულ ცალკე რესპუბლიკისათვის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. საქართველოს კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის რეზოლიუცია ამ მხრივ იძლევა გარკვეულ მითითებებს, რომელნიც საფუძვლად უნდა დაუდვან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენას და ჩვენს სამეურნეო მშენებლობას.

თუ საბჭოთა კავშირი მთლიანად ჯერ - ჯერობით უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენს, ეს მით უფრო ითქმის საქართველოზე, სადაც მრეწველობა თვითმპყრობელობის იმპერიალისტური პოლიტიკის და შემდეგ მენშევიკების უმოქმედობა - უუნარიანობის წყალობით, მეტად სუსტად იყო განვითარებული. ამავე დროს მრეწველობის გაშლა ხალხის კეთილდღეობის აწევის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების და სოციალიზმის გამარჯვების ძირითადი პირობაა. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლება თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე შეუდგა უდიდეს მუშაობას ამ მიმართულებით. არამც თუ აღდგენილ იქნა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს დანგრეული წარმოებანი, არამედ შეიქმნა და იქმნება სრულიად ახალი სამრეწველო დარგები. მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვინემ სასოფლო - მეურნეობა, და ის თანდათან ხელმძღვანელ ფაქტორად ხდება ქვეყნის მთელ ეკონომიკაში. ამასთან საყურადღებოა არა მარტო ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა თავის თავად, არამედ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენ ვიზრდებით სოციალიზმის მიმართულებით; განსაზოგადოებული მრეწველობა სულ ახალ - ახალ პოზიციებს იჭერს და ავიწროებს კერძო კაპიტალს. ყველა ამის დამადასტურებელ ციფრებს მკითხველი იპოვის ამხ. ქართველიშვილის მოხსენებაში, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ.

მაგრამ ეს მიღწევები, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. საჭიროა სოციალისტური მრეწველობის ზრდის ტემპის უფრო დაჩქარება, რომ მან გაბატონებული ადგილი დაიკავოს ქვეყნის მთელ მეურნეობაში. რა მიმართულებით უნდა წარმოებდეს ეს ზრდა? პირველ ყოვლისა ის უნდა ემყარებოდეს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ შესაძლებლობებს. უნდა განვავითაროთ ის სამრეწველო დარგები, რომლებისათვის ნედლეულის ბაზა მოგვეპოვება. ცეკის პლენუმის რეზოლიუცია შემდეგ ძირითად დარგებს ასახელებს: სატყეო (ქაღალდის მრეწველობით), აბრეშუმის, გემო - კვების (თამბაქო, ჩაი და სხვ.), საამშენებლო მასალების, და სამთამადნო და ქიმიურ-ფარმაცევტიული. აი, საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება და საქმიანობა.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამრეწველო მშენებლობა უნდა იქნეს შეთანხმებული სხვა რესპუბლიკების და მთელი საბჭოთა კავშირის სამრეწველო გეგმებთან, რომ ადგილი არ დაურჩეს მავნე პარალელიზმს. მთლიანობის და შრომის განაწილების პრინციპი აქ სავსებით უნდა იქნას დაცული. ასევე ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობა, რომლის გაძლიერებაზე მტკიცე გეზია აღებული, შეთანხმებული უნდა იყოს რესპუბლიკის სამრეწველო მშენებლობის გეგმასთან და ამ მხრივ აღმოიფხვრას ყოველგვარი პარტიზანულობა, რაც კიდევ შესამჩნევია ჩვენში.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს შინამრეწველობას, რომელიც მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობს სახალხო მეურნეობის სისტემაში. შინამრეწველობის მოქცევა სახელმწიფოს მოწესრიგების და გავლენის სფეროში, შინამრეწველთა კოოპერაციული შეკავშირება, მათთვის ხელის შეწყობა ნედლეულის და მოწყობილობის მიწოდებით, გასაღების ბაზრის მოპოვებით, შინამრეწველობის პროდუქციის გაუმჯობესება და სხვ. — აი ჩვენი ამოცანები ამ დარგში.

ჩვენს მშენებლობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს. ამა თუ იმ წამოწყების ჩამოჩენილობის და მისთვის საჭირო საშუალებათა არა საკმაო გათვალისწინება, საამშენებლო პროექტების და ხარჯთ - აღრიცხვების ზერელე დამუშავება, სამუშაოს ტეხნიკური მხრით სუსტად შესრულება, მშენებლობის სიძვირე და მრავალი სხვა — ახასიათებს ჩვენს მუშაობას ამ დარგში. ამის გამო მშენებლობა თავდაპირველად დაწესებულზე გაცილებით მეტ თანხებს თხოულობს, ვადაზე არ სრულდება და ღირსებითაც შედარებით დაბალი გამოდის.

ჩვენ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ ამ ნაკლულევანებათა აცილებისათვის. აუცილებლად უნდა გავატაროთ საკავშირო მთავრობის დირექტივა მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების შესახებ, საუკეთესო სპეციალისტები ჩავაბათ მშენებლობაში და გავაძლიეროთ მის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შესრულებულ მუშაობისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს კვალიფიციურ მუშა ხელის საკითხი. ასეთი მუშა - ხელი ცოტა გვყავს და ეს ძალზე აფერხებს მშენებლობას. საჭიროა ფართედ შევუდგეთ კვალიფიციურ მუშების შექმნას, როგორც მათი არსებიბული შემადგენლობის გადამზადებით, ისე ახალგაზრდობის ტეხნიკურ - საწარმოო მომზადებით.

ჩვენი მრეწველობის ერთ - ერთი ნაკლია მისი პროდუქციის მაღალი თვითღირებულება. შრომის ნაყოფიერების აწევით და საწარმოო პროცესების რაციონალიზაციით ეს ნაკლი თავიდან უნდა ავიშოროთ. ამ საქმეში ფართედ უნდა ჩავაბათ მუშათა მასსები საწარმოო თათბირების სახით.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, ცხადია, გვერდს ვერ აუხვევს სასოფლო მეურნეობას, რომელიც მრეწველობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგია. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის შექმნას. ტეხნიკურ-სამრეწველო და საერთოდ ძვირფასი კულტურების განვითარებისაკენ უნდა ავიღოთ გეზი. ეს აუცილებელია არა მარტო მრეწველობის ინტერესებისათვის, არამედ არა ნაკლებ გლეხობის კეთილდღეობის ასაწევად. ასეთი კულტურები საგრძნობ შემოსავალს მისცემენ სოფლის მოსახლეობას. ამასთან ისინი უფრო მეტის შრომის მტევადნი არიან და მათი განვითარება მნიშვნელოვნად შეანელებს უმუშევრობას, რომლის მთავარი წყარო სოფელია. ძვირფას კულტურებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მესაქონლეობის განვითარებას, რისთვისაც ჩვენში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს.

ამავე დროს უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ხორბლეული კულტურა. ჩვენი ქვეყანა საგრძნობლად საზრდოობს შემოზიდული პურით. ჩვენ უნდა გავადიდოთ პირნახულის მოსავლიანობა აგრონომიულ ცოდნის გავრცელებით, მიწის განაყოფიერებით, თესლის შერჩევით თანამედროვე მანქანების შემოღებით, და სხ. მორწყვა, აგრეთვე ჭაობების ამოშრობა არა მარტო გაადიდებს მოსავლიანობას, დიდძალ ახალ სათეს გამოსადეგ მიწას მოგვცემს.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა, სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარება შეუძლებელია დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა არსებობის პირობებში. ჩვენ გადაჭრილი გეზი გვაქვს აღებული სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნისაკენ. არსებულ კოლექტივების განმტკიცება, ახლების ორგანიზაცია, ჯერ - ჯერობით უფრო მარტივ, გლეხობისათვის გასაგებ საწარმოო გაერთიანებათა შექმნა, გლეხობის შეკავშირება სამრეწველო კოოპერაციაში, მიწადმოწყობის დაჩქარება და მისი გამოყენება. გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის, სასოფლო - სამეურნეო კრედიტის წარმართვა ამავე მიზნით და მრავალი სხვა — აი რაა საჭირო სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის.

ყველა ამ ამოცანების ნათლად შეგნება, გეგმიანობის და რაციონალიზაციის გატარება ჩვენს მუშაობაში და მასსების აქტიური ჩაბმა მასში — ჩვენი წარმატების უტყუარი საწინდარი იქნება სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში.

## პროლეტარიატის მტრების წინააღმდეგ

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებას ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო. ეს დოკუმენტი სრულად და მკაფიოდ გვიჩვენებს საერთაშორისო მასშტაბით დარაზმული კომუნიზმის დამოკიდებულებას ყოფილი ტროცკისტული ოპოზიციისადმი, რომელიც ახლაც განაგრძობს თავის კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას საკავშირო კომპარტიის, საბჭოთა კავშირის და კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

საკავშირო კომპარტიის წევრები და კომინტერნის ყველა სექცია ელოდნენ კომინტერნის ხელმძღვანელი შტაბის ამ ავტორიტეტიულ გადაწყვეტილებას ტროცკიზმის საკითხის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მთლიანად ამხელს ერთ - ერთ უაღრესად შეუსაბამო და საზიზღარ ჭორს, რომელსაც ავრცელებენ კომუნიზმის მტრები. ყველა ქვეყნისა და ჯურის სოციალ-დემოკრატები და ტროცკისტები ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რომ უფსკრული გაეთხარათ საკავშირო კომპარტიასა და ლენინური კომინტერნის მოძმე სექციებს შორის.

„რუსული" პარტია „ყველაფერს თვითონ სწყვეტს", კომინტერნს „ანგარიშს არ უწევს", ტროცკის ჯგუფი გაანადგურეს უცხოეთის კომუნისტური პარტიების ნებისყოფისა და სურვილის გარეშე და წინააღმდეგ, უცხოეთის პარტიები გაცილებით უფრო მეტ გულშემატკივრობას იჩენენ ისეთ ხორცსხმულ ანგელოზების მიმართ, როგორნიც არიან, მაგალითად, ტროცკი, საპრონოვი და კომპანიაო—ასე მეტყველებდა ის ზღაპარი, რომელიც ქვეყნიერებას მოჰფინეს კონტრ - რევოლიუციონერმა ჭორიკანებმა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუციაში ნათლად, მკაფიოდ და ყველასათვის გასაგებად სწერია, რომ კომინტერნის აღმასკომის პლენუმი, „მთლიანად და სრულად ეთანხმება საკავშირო კომპარტიის გადაწყვეტილებას და იმ ზომებს, რომლებიც იხმარა საბჭოთა ორგანოების საშუალებით საკავშირო კომპარტიამ ოპოზიციის ანტი - საბჭოთა საქმიანობის აღსაკვეთად" ამავე დოკუმენტში გამოცხადებულია, რომ „ტროცკისტული ოპოზიცია ყველა ძირითად საკითხებში გადავიდა იმ მემარცხენეების პოზიციებზე", რომლებიც „ოპორტუნიზმის დამქაშები არიან და ამით ოპოზიციამ აშკარა კონტრ - რევოლიუციონური ხასიათი მიიღო". ეს მტკიცე, ბოლშევიკურად ნათქვამი სიტყვები არა ერთსა და ორს მოაკვნეტინებს უზომოდ წავარდნილ ენას. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ლენინური კომინტერნი მთლიანად ეთანხმება ლენინურ საკავშირო კომპარტიას! აქ სუფევს სრული თანხმობა და აბსოლუტური ერთსულოვნება. საზღვარგარეთელი კომუნისტი მუშები პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტებს ყველგან ერთნაირად აფასებენ და ყველგან მტკიცედ და მკაცრად უმასპინძლდებიან.

მოძმე პარტიები დარწმუნდნენ და ყოველდღე რწმუნდებიან, თუ რას წარმოადგენს ტროცკისტული ოპოზიცია და რანი არიან მისი მოკავშირენი და მფარველნი; ეს რწმენა მათ მისცა არა მარტო იმ გარემოებამ, რომ გულდასმით და დაწვრილებით შეისწავლეს საკავშირო კომპარტიაში ჩამოვარდნილი შინაპარტიული ბრძოლის მექანიკა და ყველა ფაქტი, არამედ საკუთარმავე გამოცდილებამაც თავისსავე ქვეყნებში. ვისკენ ეწევიან ჭაპანს, ვის ეხმარებიან და ვის აზარალებენ ტროცკისტები და მისი მფარველ - მოკავშირეები? ოპოზიციის საქმიანობის დეტალურმა განხილვამ დაგვანახვა, რომ ტროცკისტული ლოთუბელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში იკრებს ყოველივეს, რაც კი ყველაზე უფრო გახრწნილია, დადამბლებული, უპრინციპო, გათახსირებული და რენეგატული. ესენი არიან ბატონნი კაც — ისტმენები და სუვარინ - კორშისტები. ესენი არიან „სიმყრალის გოდრები" პოლიტიკაში, იუდები და კაენები, რომელნიც მენშევიკური გაზეთების რედაქციების კარებს არ სცილდებიან, და რომლებსაც პოლიციური სუნი ასდით. ეს ისინი არიან, ვინც ცილსა სწამებს საბჭოთა მუშებს, მსოფლიო რევოლიუციის სახელოვან ფალანგას და საბჭოთა კავშირს. ესენი არიან ბატონნი მასლოვები, რომლებიც ახლა აჭყლოპინებენ კაუცკიანისებურ დადორბლიანებულ ზურნას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში გაბატონებულია თითქმის „ცარიზმი"!? (აი რანაირ ცილისწამების წუმპეში ჩაგორდნენ ეს არამზადები!).

არა მარტო საბჭოთა კავშირის გამოცდილების მიხედვით, არამედ საკუთარი გამოცდილების მიხედვითაც აღნიშნავენ უცხოეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენელნი, რომ ტროცკისტული ჯგუფი ნამდვილად არის არა „მემარცხენე", არამედ პირწავარდნილი მემარჯვენე ჯგუფი. ტროცკისტების წინააღმდეგ მიმართული ტყვია - წამალი — მარცხნით მიმართული ტყვია - წამალი კი არ არის არამედ მარჯვნით. ტროცკის საზღვარგარეთელი თანამებრძოლნი ჰქმნიან თავის საკუთარ პარტიებს, რომლებიც კომპარტიის წინააღმდეგ უაღრესად გაბოროტებულ ბრძოლას აწარმოებენ. გერმანიაში მასლოველები ჰქმნიან მეორე პარტიას, თავის „ლენინისტურ ბუნდ"-ს, „ლენინელთა (?) კავშირს"; (უბადრუკები ჰფიქრობენ გაიძვერულად ამოაფარონ თავი უდიდესი ბელადის სახელს, ისევე როგორც ჩინელი გომინდანელები „რევოლიუციის" ნიღაბს იფარებენ), თანაც ეს მეორე „პარტია" ნამდვილად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ „მარცხნიდან" მიდგმული ფლიგელია.

ტროცკისტულ ჯგუფებსა და „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატიას შორის იდეური კონტაქტია დამყარებული. ორსავე ბანაკში სრულიად ერთნაირად აფასებენ იმას, რაც ხდება საბჭოთა კავშირში. ამ ფაქტს მეათასედ ადასტურებს მენშევიკი თეოდორ დანი (ვენის სოციალ - დემოკრატიულ ჟურნალში „დერ კამპფ"). ტროცკისა და საპრონოვის უკანასკნელი საპროგრამო დოკუმენტების გამო დანი აცხადებს: „ორივე პროგრამის კრიტიკულ ნაწილს რუსი სოციალ - დემოკრატი, ალბად, ბევრს ვერაფერს მიუმატებს. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და მუშათა კლასის მდგომარეობის დახასიათება, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეპოქაში სოციალური და პოლიტიკური განვითარების ტენდენცია კაპიტალისტურ და კერძო მესაკუთრეობის ელემენტების გაძლიერებისაკენ და დიქტატურის პოლიტიკაზე მათი გავლენის ზრდა — ყველაფერი ეს თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა სოციალ - დემოკრატიის კრიტიკისა".

თანხმობა სრულია: „სიტყვა-სიტყვით". კონტრ - რევოლიუციონური ტროცკისტული ჯგუფები საბოლოოდ ჩაიფლნენ სოციალ - დემოკრატიულ ჭაობში. ეს ცხადია საკავშირო კომპარტიისათვისაც და მთელ კომინტერნისათვისაც. „უთანხმოება" ჩვენსა და „მათ" შორის, კომინტერნსა და ოპოზიციას შორის ის უთანხმოებაა, რომელიც არსებობს რევოლიუციონერ მუშასა და მედუქნეს შორის, მებრძოლსა და ოპორტუნისტ ლაჩრის შორის, კომუნიზმსა და სოციალ - დემოკრატიას შორის, რევოლიუციასა და კონტრ - რევოლიუციას შორის.

კომინტერნს ძალიან კარგად ესმის, რომ ტროცკისტული და ტროცკისტისებური ჯგუფების ხვედრითი წონა უმნიშვნელოა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტროცკიზმთან ბრძოლას გულგრილად უნდა მოვეკიდოთ. პირიქით: ტროცკიზმის წინააღმდეგ „გაძლიერებული ბრძოლა" უნდა ვაწარმოოთ, სწორედ ტროცკიზმი წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. რატომ? იმიტომ, რომ ახლა ბრძოლა მწვავდება კომუნიზმსა და სოციალ-დემოკრატიას შორის. როგორც ეტყობა, ეს ბრძოლა შემდეგ უფრო გამწვავდება. ტროცკისტული ჯგუფების როლი ამ ბრძოლის დროს, როგორც აღნიშნულია კომინტერნის აღმასკომის დადგენილებაში, იმაში მდგომარეობს, რომ „ისინი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ხელში წარმოადგენენ ერთ - ერთი უსაზიზღრეს იარაღს კომუნისტების წინააღმდეგ იმ ბრძოლაში, რომელსაც კომუნისტები აწარმოებენ მუშათა კლასის ფართო მასებზე გავლენის მოსაპოვებლად". ამიტომ სოციალ - დემოკრატია და ყველა ისინი, ვინც ბოღმასა და შხამს ანთხევენ კომუნიზმსა და საბჭოთა კავშირზე, ხელით მაღლა იტაცებენ კონტრ - რევოლიუციონერ ტროცკის და მის მეგობრებს. ამიტომაც მსოფლიო კომუნიზმის უზენაესმა ორგანომ გამოიტანა დადგენილება ტროცკიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

„პრავდა", 19 თებერვალი.

# საბჭოთა კავშირის წინადადებები განიარაღების შესახებ

## კომუნისტური აჯანყებები ჩინეთში.--აჯანყებულებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტები

## კომუნისტების გამარჯვება გერმანიაში

### საბჭოთა კავშირის წინადადებები განიარაღების შესახებ

**მოსკოვი**, 20 თებერვალი. 15 თებერვალს განიარაღების კონფერენციის მომმზადებელ კომისიაში წარგზავნილ საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ—ამხ. ლიტვინოვმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა განიარაღების კონვენციის პროექტი, რომელიც კონვენციის სახით აღნიშნავს იმ წინადადებებს, რომლებიც საბჭ. დელეგაციამ წამოაყენა 1927 წ. 30 ნოემბრის დეკლარაციაში კომისიის მე-4 სესიაზე.

**პროექტი ითვალისწინებს საყოველთაო, სრულ და დაუყოვნებლივ განიარაღებას სამი წლის განმავლობაში, მაგრამ ისე, რომ უკვე ერთი წლის გასვლის შემდეგ შეზღუდულ იქნეს შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობა.**

ამასთან შეფარდებით კონვენციის პროექტი უკვე პირველი წლის განმავლობაში ითვალისწინებს: **არმიის დემობილიზაციას 50 პროცენტით, იარაღის ყველა მარაგის მოსპობას, საზღვაო და საჰაერო ძალების მნიშვნელოვანად შემცირებას და სამხედრო დაწესებულებების გაუქმებას. შემდგომ სამ წელში ტარდება არმიების სრული გაუქმება, იმ იარაღის გაუქმება, რომელიც სამხედრო ნაწილებშია ყველა საზღვაო და საჰაერო გემებისა და სამხედრო მასალების დამამზადებელ საშუალებების მოსპობა ან მშვიდობიან მიზნებისთვის შეფარდება, სამხედრო ბიუჯეტების გაუქმება და განიარაღებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეების გადაცემა სამოქალაქო სამინისტროებისათვის.** რჩება მხოლოდ დამცველი რაზმების (საბაჟო, სატყეო რაზმი, მილიცია და სხ) განსაზღვრული რაოდენობა, აგრეთვე პატარა გემების მცირე რაოდენობა (ზღვაზე მეკობრებისაგან თავდასაცავად და სხ.) და იარაღის უმნიშვნელო რაოდენობა კერძო საჭიროებისათვის (ნადირობა ,თავდაცვა და სხ.).

დათხოვნილ ჯარებისა და აგრეთვე სამხედრო მრეწველობის მუშათა პირადი შემადგენლობა გამოყენებული იქნება კულტურულ-ეკონომიური მშენებლობისათვის, ხოლო სანამ ეს უკანასკნელი სამოქალაქო ფრონტზე იშოვიდეს საბუთს, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სახელმწიფოს მიერ.

კონტროლი კონვენციის შესრულებაზე ეკისრება საერთაშორისო მუდმივ საკონტროლო კომისიას, კომისიებს თვითეულ სახელმწიფოში და სარაიონო კომისიებს, რომლებიც ეწყობა თანასწორობის პრინციპზე და მათში მონაწილეობას მიიღებენ საკანონმდებლო დაწესებულებებისა, საზოგადოებრივობისა და მშრომელი კლასების წარმომადგენლები (ადს).

### გერმანიის რეიხსტაგის დათხოვნის წინ

#### ვერ შეთანხმდენ

**ბერლინი**, 19 თებერვალი. მთავრობის მოლაპარაკება ბურჟუაზიული ბლოკის პარტიებთან იმის შესახებ, რომ რეიხსტაგის დათხოვნამდე განხორციელებულიყო საქმიანი პროგრამა, 17 თებერვალს კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. პარტიების უმრავლესობამ შეიტანა მთელი რიგი ისეთი წინადადებები საქმიანი პროგრამის შეცვლის შესახებ, რომელთა მიღება შეუძლებელს გახდიდა მთავრობის საქმიანი პროგრამის თავის დროზე შესრულებას. წინააღმდეგობათა არსებობის გამო საეჭვოა საერთოდ შეთანხმება მთავრობის პარტიებს შორის. თუ შეთანხმება მიღწეულ არ იქნა, მაშინ მოსალოდნელია, რომ რეიხსტაგის დათხოვნა მოხდება მომავალ კვირაში. ამის გამო რეიხსტაგის თავმჯდომარე — ლებემ (სოციალ - დემოკრატი) გამაფრთხილებელი ზომის სახით რეიხსტაგის სხდომის დღის წესრიგში 17 თებერვალს დასვა 1928 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა. (ადს).

#### ახალი რეიხსტაგის მოწვევის ვადა

**ბერლინი**, 19 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ხაზს უსვამს, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს თავისი საქმიანი პროგრამის გატარებას. მთავრობას მხედველობაში აქვს რეიხსტაგის დათხოვნა განახორციელოს იმ ვარაუდით, რომ ახალი არჩევნები დაინიშნოს მაისის მეორე ნახევარში; მთავრობა აყენებს მოთხოვნილებას, რომ რეიხსტაგმაც თავის მხრივ მისცეს საშუალება არჩევნები დაინიშნოს არა უგვიანეს ამ ვადისა. ჰინდენბურგმა აცნობა მთავრობას, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს იმ საპარლამენტო მუშაობის შესრულებას, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა და მხედველობაში იღებს კაბინეტის სურვილს რეიხსტაგის დათხოვნის ვადის შესახებ". (ადს).

### „საარჩევნო კამპანია" პოლონეთში

**ვარშავა**, 19 თებერვალი. უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა რეპრესიები ეროვნული უმცირესობის ბლოკის წინააღმდეგ, რაიც გამოიხატება იმაში, რომ მასიურად აუქმებენ მათ სიებს. ბლოკის სიები გაუქმებულია კოველში და ლომჟაში.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის (პეპე ესოველების) ორგანოს „რაბოტ.ი"-ს ცნობით, ბლოკის მონაწილეთა უმრავლესობას განზრახვა აქვს მთავრობის რეპრესიების საპასუხოდ მოუწოდოს მოსახლეობას ხმა მისცეს გაუქმებულ სიებს. აუქმებენ აგრეთვე მემარცხენე მუშურ-გლეხურ მთლიანობის სიებს. ტარნოვში, ვისლოცკში და აგრეთვე ლომჟის ოლქში გააუქმეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის სიები; სკერნევიცაში გააუქმეს მუშურ-გლეხური მთლიანობის სიები. გახშირდა საარჩევნო ბრძოლის ხელმძღვანელთა დაპატიმრება ადგილებზე. დაპატიმრებულია სეიმის უკრაინელი დეპუტატი ბრატუნი. ვილნოში დაპატიმრებულია პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის თავმჯდომარე **ცზეცზული** და მდივანი **ტარასოვი**, და აგრეთვე ბელორუსული გაზეთის „სოხა"-ს რედაქტორი **პავლე კონი**. უკრაინელ ნაროდნიკ-დემოკრატების ორგანო „დილო" იუწყება, რომ დააპატიმრეს უკრაინის სახალხო დემოკრატიული პარტიის და რადიკალ-სოციალისტების მოღვაწენი. უკრაინის სახალხო-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი **ბელევიჩი** გაჩხრიკეს (ადს).

### კომუნისტური რაზმები კანტონთან

#### რევოლიუციონური ხელისუფლება

**შანხაი**, 19 თებერვალი. პრესის ცნობებით, კაიფინის და ლუფინის მაზრები და აგრეთვე კუნძული ხაინანი (გუანდუნის პროვინციის სამხრეთით), იმყოფება კომუნისტების კონტროლის ქვეშ. (ადს).

#### კომუნისტური აჯანყება

**ლონდონი**, 19 თებერვალი. ჰონკონგიდან მიღებული ცნობებით, გუანდუნის პროვინციაში აჯანყება ხდება, კაიფინის, ლუფინის და ზღვის პირის მაზრების გარდა, აგრეთვე პინში პროვინციაშიაც, ხუნანის და ცზიანსის პროვინციების საზღვარზე.

სანაპირო მაზრებში აჯანყებულები ემუქრებიან ქალაქ ვაიჩჟოუს, კანტონის სამხრეთ - აღმოსავლეთით; აჯანყებულებმა აიღეს პინხოი და ხოიხოუ 80 კილომეტრის მანძილზე კანტონიდან სამხრეთით. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებები და სიკვდილით დასჯა გრძელდება, კომუნისტური აგიტაცია კანტონში გრძელდება.

#### კომუნისტური აჯანყება ხენანში

**შანხაი**, 19 თებერვალი. პრესის ცნობებით, **ტუნგუსტიენში** (ხენანის პროვინცია) დაიწყო კომუნისტური მოძრაობა. (ადს).

#### არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები

**შანხაი**, 19 თებერვალი. ნინბოდან (ჩჟეცზიანის პროვინცია) მიღებული ცნობებით, გომინდანის საქალაქო კომიტეტმა აღმოაჩინა ორი ფარული კომუნისტური ორგანიზაცია. 4 კომუნისტი დაპატიმრებულია. (ადს).

#### აჯანყება პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე.

**შანხაი**, 19 თებერვალი. ნანკინის მთავრობის სააგენტოს ცნობით, ხანკოუდან მიღებულია ცნობა, რომ **სადგურ დუსაის მახლობლად (პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე) დაიწყო აჯანყება, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.** ხუბეის ხელისუფლებამ ფინ-იუი-სიანს მიმართა თხოვნით, რათა ამ რაიონში გაგზავნოს ჯარები აჯანყების ჩასაქრობად (ადს).

### კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

**ბერლინი**, 20 თებერვალი. გუშინ ჰამბურგში შესდგა მუნიციპალიტეტის არჩევნები, რომელიც დანიშნული იყო 1927 წ. 9 ოქტომბრის არჩევნების გაბათილების გამო. 9 ოქტომბრის არჩევნების გაბათილება გამოწვეული იყო ზოგიერთი პატარა პარტიების გასაჩივრებით. ეს პარტიები პროტესტს აცხადებდნენ ფულის საწინდრად შეტანის წინააღმდეგ და წარადგინეს 3000 ხელისმოწერა. არჩევნების ხელახლა დასანიშნად.

გუშინდელ არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 114.000 ხმა, ანუ 4000 ხმით მეტი, ვიდრე 9 ოქტომბრის არჩევნებში. კომუნისტურ კანდიდატებისათვის მიცემულ ხმათა რიცხვი აღემატებოდა აგრეთვე 1927 წელს ჰამბურგში რეიხსტაგის არჩევნების დროს მიცემულ ხმათა რიცხვს.

სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 246.000 ხმა, წინააღმდეგ 9 ოქტომბრის 247.000 ხმისა. ბურჟუაზიული პარტიებიდან დამარცხდენ ნაციონალისტები და მეურნეების პარტია. კორშის „ულტრა-მემარცხენე" ჯგუფის სიამ, რომელსაც ხმა მისცეს აგრეთვე ურბანსის მეორე „ულტრა-მემარცხენე" ჯგუფის წევრებმა—მიიღო 741 ხმა ისე, რომ მათ არც ერთი მანდატი არ შეხვდათ. სოც.-დემოკრატებს ხვდათ 67 მანდატი, ხოლო კომუნისტებს 20. ულტრა-მემარცხენე ჯგუფების ასეთი მარცხი აქ ფასდება, ისე როგორც მათი გავლენის არარაობა: (ულტრა-მამარცხენე ჯგუფები აღნიშნულ არჩევნებამდე ამტკიცებდენ, რომ მათ 9 ოქტომბრის არჩევნებში მხოლოდ იმიტომ არ მიიღეს მონაწილეობა, რომ ვერ მოახერხეს 3000 ხელის მოწერის მოგროვება, ურომლისოდაც არჩევნებში ცალკე სიით გამოსვლა არ იყო ნებადართული). კომუნისტურ წრეებში აღნიშნულ არჩევნებს აფასებენ, როგორც კომპარტიის გავლენის შეუჩერებლივ ზრდას, რაც იმედს იძლევა, რომ რეიხსტაგში კომუნისტებს სრული გარანტია ექნებათ გამოვიდენ ცალკე სიით (ადს).

### შეტაკება ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე

**თეირანი**, 19 თებერვალი. პრესის ცნობით, ინგლისელებმა სიმაგრეების აგების დროს ინდოეთ - ავღანისტანის საზღვარზე, გადალახეს საზღვრის ხაზი, რამაც გამოიწვია შეტაკება ავღანისტანის ჯარებთან. მოკლული და დაჭრილია რამოდენიმე კაცი. (ადს).

### წითელ ფრონტელები ესალმებიან წითელ არმიას

**ბერლინი**, 19 თებერვალი. გუშინ „სპორტის სასახლეში" შესდგა წითელ ფრონტელთა კავშირის მიერ მოწყობილი მიტინგი წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად. „სპორტის სასახლის" ვეებერთელა შენობა, რომელიც იტევს 10.000 კაცზე მეტს, სავსე იყო; მიტინგში მონაწილეობის მიღების მსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ პოლიციამ ალყა შემოარტყა შენობას. მიტინგზე გამოსულმა წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლეოვმა ხაზი გაუსვა, **რომ წითელი არმია არა მარტო საბჭოთა კავშირის დამცველია, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლი რაზმიც. ორატორმა განაცხადა, რომ გერმანიის მუშებმა უნდა მიბაძონ საბჭოთა მაგალითს და დაიპყრან ხელისუფლება გერმანიაში.** მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დასდვეს საზეიმო აღთქმა, რომ დაეხმარებიან საბჭოთა კავშირს და წითელ არმიას, და აგრეთვე დაადგინეს მისალმების დეპეშა გაუგზავნონ წითელ არმიას. (ადს).

### მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის საზეიმო სხდომა

**მოსკოვი**, 20 თებერვალი მოსკოვის პროფსაბჭოს თეატრში შესდგა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის საზეიმო სხდომა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი და კალინინი.

მოხსენება წითელი არმიის ათი წლის თავისა და არმიის მეთაურთა ამოცანების შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო სახ. კომისარის მოადგილემ და სამხედრო-საზღვაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. უნშლიხტმა.

„წითელი არმია,—სთქვა ამხ. უნშლიხტმა,—სამოქალაქო ომის ქარცეცხლში წარმოიშვა. ეხლა, შესვენების პერიოდში ჩვენ უნდა ვემზადოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის. წითელი არმია მზად უნდა იყოს. ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ სამხედრო მშენებლობის ყოველ დარგში. წითელი არმიის სამხედრო მრეწველობა და სამხედრო ტეხნიკა იზრდება.

მეთაურთა შემადგენლობამაც,—აღნიშნა ამხ. უნშლიხტმა,—უნდა შეითვისოს მარქსიზმის და ლენინიზმის მეთოდები და ისწავლოს თეორიის შეთავსება პრაქტიკასთან".

ამხ. უნშლიხტის მოხსენების შემდეგ კრებას მიესალმენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, აკადემიის მასწავლებელთა და მოსკოვის ფაბრიკების წარმომადგენელნი.

კრებამ მისალმებები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო საბჭოს, კომინტერნის აღმასკომის პლენუმს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და თავის შეფს—მოსკოვის საბჭოს (ადს).

# კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

## პლენუმის რეზოლიუცია ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ

### მიღებული ერთხმად 18 თებერვლის სხდომაზე ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო: „ოპოზიცია საკავშირო კომპარტიაში (ბ) და კომინტერნში"

**მოსკოვი**, 20 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ გადაჭრით ბოლო მოუღო ტროცკისტულ ოპოზიციას, გააძევა რა ის პარტიის რიგებიდან. პლენუმი მთლიანად და სავსებით ეთანხმება საკავშირო კომპარტიის გადაწყვეტილებებს და იმ ზომებს, რომლებიც საკავშირო კომპარტიამ განახორციელა საბჭოთა ორგანოების საშუალებით ოპოზიციის ანტისაბჭოთა საქმიანობის აღსაკვეთად. კომინტერნის აღმასკომის პლენუმი თვლის, რომ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ პროლეტარული დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისათვის და სოციალიზმის აღმშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში. პარტიის მე-15 ყრილობამ, ეჭვს გარეშეა, სწორად დასახა საბჭოთა კავშირის მეურნეობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გზები, ინდუსტრიალიზაციის, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს პროლეტარულ სახელმწიფოს გეგმიანი ზეგავლენა ქვეყნის სამეურნეო განვითარებაზე, კერძო კაპიტალისტურ ელემენტების შემდგომი განდევნა, საგლეხო მეურნეობის ფართე კოლექტივიზაცია, მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელთა ფართე მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. იმ დროს, როცა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს კაპიტალის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რაც სხვათა შორის, გამოიხატება სამუშაო დღის გადიდებაში,—საბჭოთა კავშირში ტარდება შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა და თანდათან ფართოვდება და იზრდება ბრძოლა მშრომელ მასების კულტურული დონის ასაწევად.

პლენუმი ესალმება საკავშირო კომპარტიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივებისაკენ და მუშათა და გლეხთა მასსების კიდევ უფრო ფართეთ ჩაბმისაკენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ასი ათასი დაზგის მუშის მიღება პარტიაში, ოპოზიციის მიერ საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის განსაკუთრებითი გამწვავების მომენტში, იმის დამამტკიცებელია, რომ საკავშირო კომპარტია, მისი ხელმძღვანელობა და პოლიტიკა მუშათა კლასის ფართე მასსების უსაზღვრო ნდობით სარგებლობს, რომ მუშათა კლასი თავისი პარტიის ლენინურ მთლიანობაში, ლენინურ ხაზში ხედავს პროლეტარულ დიქტატურის სიმტკიცეს და ძლევამოსილობის საწინდარს. კომინტერნის აღმასკომის პლენუმს მიაჩნია სწორად საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის ანალიზი, მოცემული საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის მიერ, რომელმაც აღნიშნა შემდგომი დამახასიათებელი ტენდენციები მიმდინარე ისტორიულ ხანაში: კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება ბრძოლაში ბატონობის სფეროებისათვის და მსოფლიოს ხელახალი დაყოფისათვის, ბრძოლის გამწვავება იმპერიალიზმსა და დაჩაგრულ კოლონიალურ ხალხებ შორის, იმპერიალიზმის ბრძოლის გამწვავება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ახალ იმპერიალისტურ ომებისათვის წინასწარი პირობების მომწიფება, კაპიტალისტურ ტრესტების ძლიერების ზრდა და მათი თანდათანობითი შეზრდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, სოციალ-დემოკრატიის და რეფორმისტების ზედაფენების თანდათანობითი შეზრდა იმპერიალისტურ ორგანიზაციების პოლიტიკურ სისტემებთან, კაპიტალის შეტევის გაძლიერება მუშათა კლასის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის შემოტევასთან დაკავშირებით მუშათა მასსების გამემარცხენება, რაც გამოიხატება საგაფიცვო ბრძოლის ზრდაში, მუშათა კლასის პოლიტიკურ აქტივობის გადიდებაში, საერთაშორისო პროლეტარიატის სიმპატიების ზრდაში საბჭოთა კავშირის მიმართ, ევროპაში რევოლიუციონურ ელემენტების გაძლიერებაში; საერთო გალაშქრება კომუნისტების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების კაპიტალისტურ ორგანიზაციების და სოციალ-დემოკრატიის მხრივ, სოციალ-რეფორმისტების ცდა გამორიცხონ მუშათა კლასის მასიურ ორგანიზაციებიდან კომუნისტები, რეფორმისტების მხრივ ცილისწამების და წასისინების კამპანიის გაძლიერება კომუნისტების წინააღმდეგ საერთოდ და მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ კერძოდ.

განვითარების მომავალი ხანა აღინიშნება ახალი შეტაკებებით მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის და აგრეთვე გაფართოებულ ბრძოლით სოციალ-დემოკრატიასა და კომუნისტებს შორის მუშათა მასსებზე გავლენის მოსაპოვებლად. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, რომელიც დიდი ხანია არის ბურჟუაზიასთან კოალიციის მომხრე, რომელიც სავსებით მხარს უჭერს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას და კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, ცდილობს შეაჩეროს მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესი და გაიყოლიოს მუშათა კლასი თავისი მოღალატური პოლიტიკის გზით. ამ მიზანს ემსახურება ერთის მხრით უსასტიკესი ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ მათი პროფკავშირებიდან გამორიცხვის გზით, ბურჟუაზიულ დიქტატურის აპარატისთვის კომუნისტების დევნაში დახმარების გაწევის და საზიზღარ სიცრუის და ცილისწამების გზით. მეორეს მხრივ, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია სიცრუის და ცილისწამების კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირისა და საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ, ითვალისწინებს რა, რომ მუშათა კლასის გამემარცხენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს მისი სიმპატიების ზრდა საბჭოთა კავშირისადმი.

სიცრუის და ცილისწამების მთელი ეს მანქანა სოციალ-დემოკრატების მიერ ამუშავებულია იმისთვის, რომ გააქარწყლოს საერთაშორისო პროლეტარიატის სიმპატიები საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმისადმი, იმისთვის, რომ სახელი გაუტეხოს სოციალისტურ აღმშენებლობის რეალურ მიღწევებს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანაში, იმისთვის, რომ ჩამოაშოროს მუშები ბრძოლას კაპიტალიზმის დამხობისათვის, რომ მუშებმა მხარი დაუჭირონ ბურჟუაზიულ პოლიტიკას და კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, რომელიც ტარდება მუშათა კლასის ხარჯზე, მხარი დაუჭირონ „სამრეწველო მშვიდობიანობის" მოღალატურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირისა და საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ცრუ ფარისევლურ როლს თამაშობენ სოციალ-რეფორმიზმის ე. წ. მემარცხენე ფრთის ბელადები მაქს ადლერები, ბაუერები, ლევები, ლონგეები, ლენსბერები და მაქსტონები, რომლებიც, ითვალისწინებს რა გამემარცხენებულ მუშების სიმპატიებს საბჭოთა კავშირისადმი უფრო მოხერხებულად გამოდიან პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ და თავის ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფარავენ ფარისევლურ ფრაზებით საბჭოთა კავშირისათვის თანაგრძნობის და მისთვის „პირობითი" მხარის დაჭერის შესახებ. ამ ტაქტიკის მიზანია კომუნიზმის მხარეზე მუშათა მასსების გადასვლის შეფერხება და ამ მასების დახმარების უზრუნველყოფა სოციალ-დემოკრატიისათვის, გამემარცხენების გზაზე დამდგარ მუშათა მასებისათვის ბრძოლაში ოპორტუნიზმის ეს ე. წ. მემარცხენე ბელადები წარმოადგენენ კომუნიზმის, კომინტერნის და საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო საშიშარ მოწინააღმდეგეებს.

ტროცკიზმის საშიშროება მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში ამჟამად მდგომარეობს იმაში, რომ ტროცკისტები პირდაპირ დახმარებას უწევენ რეფორმიზმის „მემარცხენე" მოლაყბეების პოლიტიკას და იდეოლოგიას აძლიერებენ ოპორტუნიზმის „მემარცხენე" ბელადებს, მათ ბრძოლაში კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ადიდებენ სიცრუის და ცილისწამების საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ რეფორმისტები კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტროცკისტული ოპოზიცია ყველა ძირითად საკითხებში სავსებით გადავიდა ოპორტუნიზმის „მემარცხენე" მოლაყბეთა პოზიციაზე, მან აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი მიიღო. ტროცკისტები, ეფარებიან რა ფრაზებს რევოლიუციისა და საბჭოთა კავშირისადმი ერთგულების შესახებ, ცილს სწამებენ კომუნისტურ ინტერნაციონალს, საკავშირო კომპარტიას და პროლეტარულ დიქტატურას, რომლის საგარეო და საშინაო პოლიტიკას ისინი ისევე ყალბათ და დამახინჯებულათ ხატავენ, როგორც სოციალ-დემოკრატები. ტროცკისტები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს. ფრაქციულ ბრძოლიდან საკავშირო კომპარტიის შიგნით ტროცკისტული ოპოზიცია გადავიდა მეორე პარტიის შექმნის გზაზე, ქუჩებში ბრძოლის გამართვაზე, აშკარა ანტისაბჭოთა გამოსვლებზე, რომლებიც შეიძლება ერთგვარ საფრთხეთ გადაქცეულიყვნენ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, პროლეტარიატის ფართე მასებს რომ უსასტიკესი წინააღმდეგობა არ გაეწიათ მათთვის. ტროცკისტულ ოპოზიციამ თავისი დროშის გარშემო შემოიკრიბა პროლეტარიატის დიქტატურისადმი კლასობრივად მტრული ელემენტები. კიდევ უფრო კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი მიიღო საპრონოვის ჯგუფმა, რომელიც პირდაპირ გამოდის ლენინიზმის წინააღმდეგ და გულახდილათ მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ეს ჯგუფი არც თავისი პროგრამით, არც თავისი ტაქტიკით არ განსხვავდება კორშის, კაცის, ისტმენის, სუვარინის და სხვ. კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებისაგან. პროლეტარიატის დიქტატურას არ შეუძლია დაუშვას და ვერც დაუშვებს კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს, ვისი მხრიდანაც და რომელ დროშის ქვეშაც არ უნდა ხდებოდეს ეს. ტროცკისტული ოპოზიცია, რომელსაც უნდოდა საკავშირო კომპარტიის აფეთქება შიგნიდან, იდეურად და ორგანიზაციულად განადგურებულ იქნა საკავშირო კომპარტიის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის პრინციპიალურ სიმტკიცის და რკინისებურ მთლიანობის წყალობით, და დაიშალა მთელ რიგ ჯგუფებათ. ამ ჯგუფების ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) იწყებს გადასვლას (არა უყოყმანოთ) პარტიის პოზიციაზე, თანდათან სცილდება რა ტროცკიზმს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის აღმასკომის ხაზის სისწორეს, და ნაწილიც მერყეობს პარტიასა და ტროცკისტებს შორის.

ტროცკისტების მომხრეთა დარჩენილი უმნიშვნელო ჯგუფი დამარცხდა საკავშირო კომპარტიაში და ეხლა ცდილობს თავისი მუშაობის ცენტრი საბჭოთა კავშირიდან გადაიტანოს კომინტერნის სხვა სექციებში. ტროცკისტულ ოპოზიციის ნამდვილი ოპორტუნისტული სახე ყველაზე უფრო ნათლად სჩანს იმ პლატფორმაში, რომელიც ტროცკისტებმა წამოაყენეს მათი მონათესავე ჯგუფების შესამჭიდროებლათ სხვა ქვეყნებში. ტროცკისტული ოპოზიცია პირველ რიგში მიმართავს აშკარა ოპორტუნისტულ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს, როგორიცაა სუვარინი და პაზა საფრანგეთში. მან კავშირი შეკრა მასლოვის ანტიპროლეტარულ წვრილბურჟუაზიულ ჯგუფთან გერმანიაში, ჯგუფთან, რომელიც ამჟამად ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის გადახრის შესახებ „ფაშიზმისა და ცარიზმისაკენ". ეს ჯგუფი გერმანიაში ტროცკისტულ ჯგუფის უძლიერეს დასაყრდენს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გარეთ. ეს ჯგუფი ერთის მხრივ დაუკავშირდა კორშის კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს ჰამბურგში არჩევნებზე საერთო გამოსვლისათვის, ხოლო მეორეს მხრივ მან კავშირი გააბა მემარცხენე სოციალ დემოკრატიასთან. [illegible] ცდილობს დაარსოს დამოუკიდებელი პარტია „ლენინის კავშირის" ცრუ სახელწოდებით. ის ცდილობს გახდეს ყველა ოპოზიციონურ ჯგუფების გაერთიანების საერთაშორისო ცენტრად კომუნისტურ ინტერნაციონალისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტროცკისტული ოპოზიცია ცდილობს გადაიყვანოს თავის მხარეზე რენეგატები როსმერი და მონატი. ტროცკისტულ ოპოზიციის გარშემო თავს იყრიან ისეთი ანტიპროლეტარული ოპორტუნისტული ელემენტები, როგორიცაა გულის ჯგუფი ჩეხო-სლოვაკიაში, როლანდ გოლსტი გერმანიაში და [illegible] სოციალ-დემოკრატები ბელგიაში. ტროცკისტებს მიჰყვება იტალიის ემიგრანტების ჯგუფი საფრანგეთში, ჯგუფი, რომელიც იზიარებს კორშის კონტრ-რევოლიუციონურ პლატფორმას და, დაბოლოს, ამერიკის კომპარტიიდან გამორიცხული ლორე და სხვები, რომელთაც მხარს უჭერს ამერიკის გერმანელთა სოციალ-დემოკრატია.

მუშათა მოძრაობის ყველა უვარგისი ელემენტები, კომუნისტურ მოძრაობის აშკარა ოპორტუნისტული ელემენტები, კომინტერნის რიგებიდან გაძევებული ყველა რენეგატული ჯგუფები გაერთიანებული არიან ამჟამად ტროცკისტულ პლატფორმის ნიადაგზე საბჭოთა კავშირის, საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად, თამაშობენ რა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ უსაზიზღრეს იარაღის როლს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. კომინტერნის აღმასკომის პლენუმს მიაჩნია, რომ ევოლიუციამ სოციალ-დემოკრატიზმისაკენ, რომელიც განვლო ტროცკისტულმა ოპოზიციამ, მისმა აშკარა ანტისაბჭოთა პოზიციამ, რომელიც თავიდან ბოლომდე მტრულია პროლეტარიატის დიქტატურისადმი, მისმა გამთიშველმა მეთოდებმა კომუნისტურ პარტიებში შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ტროცკისტულ ოპოზიციაში ყოფნა და მის შეხედულებათა გაზიარება არ შეიძლება მომავალში შეთავსებულ იქნეს კომუნისტურ ინტერნაციონალში ყოფნასთან.

კომუნისტურმა პარტიებმა უსასტიკესი ბრძოლა უნდა აწარმოონ ტროცკისტულ ჯგუფების ლიკვიდაციისათვის. ეს ბრძოლა პირველ ყოვლისა მიმართულ უნდა იქნეს ზედაფენების წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად საჭიროა განვაგრძოთ იდეოლოგიური ბრძოლა იმ მუშების დასაპყრობათ, რომლებიც მერყეობენ, მაგრამ, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი ოპოზიციასთან.

კომუნისტურმა პარტიებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ აგრეთვე მუშაობა ტროცკისტულ ოპოზიციისათვის ნიღაბის ასახდელათ მუშათა კლასის ფართე მასებში, ვინაიდან კომუნისტების მიერ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის გამწვავება ნიშნავს ბრძოლის გამწვავებას ტროცკისტების ანტიკომუნისტურ ჯგუფის წინააღმდეგ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე სხვა ქვეყნებში (ადს).

ბიბლიოთეკა

# კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

## კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო

### ამხ. ბენგელსის სიტყვა

მოსკოვი, 20 თებერვალი. ბენგელსი (ჰოლანდია) მთლიანად და სავსებით იზიარებს ამხ. ბუხარინის დებულებებს.

„ყოვლად ეჭვს გარეშეა,—ამბობს ის,—რომ ტროცკი მხოლოდ იმ მომენტებში თამაშობდა დადებით როლს, როცა მას იტაცებდა სტიქიური ხალხთა მოძრაობის აზვირთებული ტალღა და დადგა თუ არა მშენებლობის პერიოდი, ტროცკი კვლავ დასცილდა ბოლშევიზმს". იგივე ითქმის ყველა იმათ შესახებ, რომლებიც ჰოლანდიაში წინად მიემხრენ კომინტერნს, ხოლო ამჟამად ეწევიან მენშევიკურ-ტროცკისტულ პროპაგანდას. დამახასიათებელია როლანდ გოლსტის მაგალითი. თავის ლექსთა უკანასკნელ კრებულში „კომუნისტი" პოეტი ქალი, რომელსაც პოლიტიკური ბელადათ მოჰქონდა თავი, სწერს რელიგიის ჭეშმარიტებაზე და აცხადებს, რომ ის „ამხანაგების წრეში მუდამ უცხოდ გრძნობდა თავს", „დასცილდა ქარავანს" და სხ. ამავე დროს ის მუშათა ნაციონალურ სამდივნოს ორგანო „კლასსენკამპფ"-ში იცავს ტროცკის და მოითხოვს მეორე და მესამე ინტერნაციონალის შეერთებას იმ მოსაზრებით, რომ თუ პროფესიონალური მოძრაობის დარგში მოითხოვენ გაერთიანებას, ამავე საბუთით უნდა მოვითხოვოთ მთლიანობა პოლიტიკური მოძრაობის დარგშიაც.

ჰოლანდიის მუშათა ნაციონალური სამდივნოს ბელადები მხარს უჭერენ როლანდ გოლსტს. „მაგრამ,—ამბობს ბენგელსი,—ამ ორგანიზაციებში შემავალი მუშები, რომელთაც მუშათა ნაციონალური სამდივნო აერთიანებს, პროფესიონალური მოძრაობის დარგში ფიქრობენ იხელმძღვანელონ წითელ პროფინტერნისა და ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის მითითებებით, ხოლო პოლიტიკის დარგში გადაჭრით უარყოფენ ტროცკიზმს.

ჰოლანდიის მცირერიცხოვან ტროცკისტებს შორის, რომლებიც ინტელიგენტებისაგან შესდგება, სრული გზა-აბნეულობაა. როლანდ-გოლსტი თვით აცხადებს, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ რამდენად სწორია საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის ის შეფასება, რომელიც ტროცკიმ მოგვცა. მაგრამ ამას, როლანდ-გოლსტის სიტყვით,—სრულიადაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, „მთავარია" ის, რომ ტროცკი უნდა ჩავთვალოთ „ოქტომბრის რევოლუციის ცოცხალ სიმბოლოდ".

— ჰოლანდიის კომუნისტურმა პარტიამ,—ათავებს თავის სიტყვას ბენგელსი,—სავსებით მთლიანად შეისწავლა ოპოზიციის საკითხი, გამოირკვა, რომ პარტიის რიგებში ტროცკისტული ოპოზიციის არც ერთი მომხრე არაა. ჰოლანდიის კომპარტია შემჭიდროვებული რიგებით იცავს კომინტერნის ხაზს და განაგრძობს ახსნა-განმარტებით კამპანიას ჰოლანდიის მუშათა მასებს შორის ტროცკისტული ოპოზიციის რაობის შესახებ. ჰოლანდიის კომპარტია უკვე დარწმუნდა, რომ ჰოლანდიის მუშებს აინტერესებთ არა რევოლუციის მიერ ამოტივტივებული ცალკე პიროვნებები, არამედ ლენინური მოძღვრება და მისი ცხოვრებაში გატარება.

### ამხ. შიულერის სიტყვა

შიულერი (ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი) ფიქრობს, რომ ამჟამად ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ახალ ფაზაში გადავიდა. ყველა აქტიური ოპოზიციონერები, მცირე გამონაკლისის გარდა, გამორიცხული არიან კომინტერნის ყველა სექციებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ბრძოლა, რომელსაც ოპოზიციონერები აწარმოებდენ კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, იღებს ახალ სახეს და ამჟამად უმთავრესად სწარმოებს გარედან. ამიტომ ბრძოლა იქნება უფრო მწვავე და ტროცკისტები ამ ბრძოლას გააჩაღებენ სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ ელემენტებთან მჭიდრო კავშირში.

— ეს გარემოება,—ამბობს შიულერი,—გვავალებს, რომ ჩვენც, როგორც კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, ვაწარმოოთ უფრო გადამჭრელი ანტი-ტროცკისტული ბრძოლა.

კომინტერნის სექციებში ძალიან ცოტა დარჩა ოპოზიციის მომხრეები, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვებრძოლოთ გაურკვევლობის ყოველგვარ ნაშთს, რაც კომინტერნის ზოგიერთ სექციებში საკმაო ინფორმაციის უქონლობის შედეგია.

— რაც შეეხება ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს,—ამბობს შემდეგ ამხ. შიულერი,—ჩვენ სავსებით და მთლიანად ვიწონებთ კომუნისტური ინტერნაციონალისა და საკავშირო კომპარტიის მიერ აღებულ გადამჭრელ ხაზს. კომუნისტური ახალგაზრდობის რიგებში ოპოზიციამ მხოლოდ მცირერიცხოვანი მომხრეების შოვა შესძლო. რა თქმა უნდა, იქ, სადაც კომპარტიებში ოპოზიციის უფრო აქტიური ჯგუფი იყო, მაგალითად გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში და ბელგიაში, ეს გარემოება გავლენას ახდენდა ახალგაზრდობის ორგანიზაციებზეც, მაგრამ (და ეს უნდა აღინიშნოს) ოპოზიციამ გაცილებით ნაკლებად მოიკიდა ფეხი კომკავშირში, ვიდრე პარტიებში. ოპოზიციის სუსტი გავლენა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალზე აიხსნება არა მარტო იმით, რომ პორაჟენცული განწყობილება გამოძახილს ვერ პოულობს ახალგაზრდობაში, არამედ იმითაც, რომ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები ჩვენს ორგანიზაციებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში. და ბოლოს, დიდი როლი ითამაშა ამ მხრივ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი ცალკე სექციების გაძლიერებულმა პოლიტიკურმა აქტივობამ.

შემდეგ შიულერი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმმა გარკვევით და არაორაზროვნად განაცხადა, რომ ის უყოყმანოდ უერთდება საკავშირო კომპარტიისა და კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებებს ტროცკისტული ოპოზიციის საკითხში და რომ ის მომავალშიაც მტკიცედ დაიცავს ამ ხაზს.

ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში,—ამბობს შიულერი,—ჩვენ გადაჭრით უნდა გამოვააშკარაოთ ტროცკისტული ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიული ბუნება. ოპოზიციის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ არსებას საკმაოდ მოწმობს საფრანგეთის ოპოზიცია და მისი ოპორტუნისტული გამოსვლები საფრანგეთის კომპარტიის ბოლშევიკურ საარჩევნო ტაქტიკის წინააღმდეგ. ამავე დროს საფრანგეთის ოპოზიციის მაგალითი ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ აუცილებელია გაერთიანებული იქნეს ბრძოლა ოპოზიციისა და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ. დისკუსიის დროს საფრანგეთის კომპარტიაში ერთი-ერთმანეთთან დაკავშირებით იხილავდენ საკითხებს ოპოზიციისა და იმ ახალი ტაქტიკის შესახებ, რომელსაც საფრანგეთის კომპარტიის ღია წერილი ურჩევდა. და ეს პარტიის ბოლშევიკური მთლიანობისა და გაბედულობის გამოჩენის საუკეთესო მეთოდი აღმოჩნდა. ტრენის, ჟირონა და სხვების გამორიცხვა პარტიიდან საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს განწმენდის პროცესს, რომელიც აუცილებელია საფრანგ. კომპარტიაზე წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენის ნაშთის აღმოსაფხვრელად.

სავსებით და მთლიანად უერთდება რა ამხ. ბუხარინის დებულებებს იმ სოციალ-დემოკრატიული ზედაფენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ბურჟუაზიასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის ემზადებიან, შიულერი აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლასთან ერთად უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული მუშაობა მუშათა მასებში.

ჩვენ უნდა გავაფართოვოთ მუშაობა,—ამბობს ამხ. შიულერი,—ყველა წარმოებებში, ყველა ადგილობრივ ჯგუფებში და ყველა საარჩევნო ოლქებში. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კამპანია ქვედა ფენებთან მთლიანი ფრონტის შესაქმნელად იმ ბრძოლაში, რომელსაც მუშათა მასები აწარმოებენ ყოველდღიური მოთხოვნილებებისათვის კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ და სხ.

— ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი სავსებით იზიარებს იმ საერთო ხაზს და პერსპექტივებს, რომელიც დასახულია ამხ. ბუხარინის მოხსენებაში. და ჩვენ სიტყვას ვაძლევთ კომინტერნს,—ამბობს შიულერი,—რომ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი და აგრეთვე მისი ცალკე სექციები, მაქსიმალურ დახმარებას გაუწევენ კომინტერნს ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში და ლენინური ბოლშევიკური ხაზის დაცვაში.

### ამხ. ჩილბუმის სიტყვა

ამხ. ჩილბუმი (შვეცია) ფიქრობს, რომ ტროცკისტებს შეცდომით უწოდებენ ოპოზიციონერებს,—მათ უნდა უწოდოთ სოციალ-დემოკრატები, ვინაიდან ისინი ნამდვილად ასეთები არიან. თუ ჩვენ ტროცკისტებს შემდეგშიაც ოპოზიციონერებს უწოდებთ, მაშინ მუშებს შორის შეიძლება შეიქმნას შემცდარი შეხედულება, თითქოს ტროცკისტები კომპარტიას მარცხნიდან აკრიტიკებენ. ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას.

ამჟამად შვეციაში სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის ძლიერდება მემარცხენე ტენდენციები. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა პროფკავშირებში, სადაც მუშები სულ უფრო ხშირად აძლევენ პროფბიუროკრატებს კითხვას: —რატომ უარყოფენ ისინი იმ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა პროფკავშირები გვთავაზობენო. უწევენ რა ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ფართო მასების თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი თანდათანობით იზრდება, სოციალ-დემოკრატები ვერ ბედავენ ეხლა საბჭოთა სახელმწიფოს გინებას და მთელი მათი ტაქტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ხალხი გაუტეხონ არა საბჭოთა კავშირს, არამედ კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატებს ხშირად მოჰყავთ ტროცკის არგუმენტები.

თავის შემდგომ მუშაობაში კომპარტიამ მხედველობაში მიიღოს საბჭოთა კავშირისადმი ფართო მასების სიმპატიის ზრდა და სოციალ-დემოკრატების ცილისწამებით აღსავსე კამპანიას უნდა დაუპირისპიროს თავისი ფართო კონტრ-კამპანია.

შვეციის კომპარტიაში, რომელიც ჯერ კიდევ 1926 წელს უყოყმანოდ შეუერთდა საკავშირო კომპარტიის პოლიტიკას, ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მერყეობას ოპოზიციის საკითხში. როგორც წინად, შვეციის კომპარტია სავსებით და მთლიანად უჭერდა მხარს ძმურ საკავშირო კომპარტიას. მიუხედავად იმ ცდებისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიის ბელადები მიმართავენ, მათ მახინაციებს არა აქვს და არც ექნება რაიმე გავლენა.

### ამხ. ტორრესის სიტყვა

ტორრესი (საფრანგეთი) თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია იზიარებს ამხ. ბუხარინის დებულებებს.

— საფრანგეთის დელეგაცია,—ამბობს ტორრესი,—ფიქრობს, რომ ტროცკისტული ოპოზიცია დაადგა კომუნიზმისა და პროლეტარული რევოლუციისადმი მტრულად განწყობილთა გზას. ჩვენ გამოვდივართ იმ თვალსაზრისიდან, რომ კაპიტალიზმის გაძლიერებული შეტევა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ქმნის ტროცკისტულ განწყობილებას და ხელს უწყობს გარკვეულ მემარჯვენე ტენდენციების წარმოშობას კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებში. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მემარჯვენე ტენდენციების აღნიშვნა.

ჩერდება რა საერთაშორისო მდგომარეობის იმ შეფასებაზე, რომელიც ამხ. ბუხარინმა მოგვცა, ტორრესი ადასტურებს ამ შეფასებას საფრანგეთის მაგალითით.

— საფრანგეთში,—ამბობს ტორრესი,—მსხვილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებმა შექმნეს ბლოკი ფულის სისტემის სტაბილიზაციისა და მრეწველობის რაციონალიზაციის ჩატარების მიზნით. ამ კავშირის პოლიტიკური გამოხატულებას წარმოადგენს ეგრედწოდებული „ეროვნული მთლიანობა".

საფრანგეთის სოციალისტური პარტიაც საქმით მხარს უჭერს ნაციონალურ გაერთიანებისა და მუშათა კლასის უფლებების შელახვის პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკის დარგში სოციალ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის, რეინის ოლქის ვადამდე დაცლის და მომხრეა „რეპარაციების საკითხის მოწესრიგების", რაც, რა თქმა უნდა, გერმანიის მუშათა კლასის ხარჯზე მოხდება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკისათვის კოლონიალურ საკითხში დამახასიათებელია ბლიუმის განცხადება, რომელმაც კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მიცემის პროექტს „უბედური ხუმრობა" უწოდა, სოციალისტური პარტია მომხრეა ძლიერი არმიისა, რომელიც მეტწილად ფერად-კანიან ჯარებისაგან შესდგება და რომელიც საჭირო მომენტში რევოლუციონურ მუშების წინააღმდეგ გამოსვლას შესძლებდა. ამ ახალი სიტუაციისა და სოციალისტურ და რეფორმისტულ ბელადების როლის შეფასებასთან დაკავშირებით, იბადება კითხვა,—საჭიროა თუ არა ჩვენი ტაქტიკის გადასინჯვა. ჩვენ უპასუხებთ: უსათუოდ საჭიროა. ეს საჭიროა მით უფრო, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხოლოდ ეხლა იგებს ნელა და დიდი სიძნელით სიტუაციის შეცვლას, საჭიროა მით უფრო, რომ რეფორმისტული ბელადები მეტად მოხერხებულ მანევრებს ახდენენ. მათ მანევრებს მიზნად აქვს დაჩრდილონ კლასობრივი ბრძოლის იდეა და ეს იდეა შესცვალონ „რეაქციის წინააღმდეგ დემოკრატიის ბრძოლის" იდეით. ჩვენი ტაქტიკის გადასინჯვა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ მთლიანი ფრონტის ტაქტიკაზე. ეს ტაქტიკა უნდა გავაგრძელოთ ეხლანდელ სიტუაციასთან შეფარდებით. მთლიანი ფრონტი უნდა ტარდებოდეს წარმოებებში მუშათა კლასის ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაცავად. პოლიტიკური ამოცანების დარგში ჩვენ იმავე დასკვნებამდე მივედით, როგორიც ამხ. ბუხარინს გამოჰყავს თავის მოხსენებაში. საჭიროა უფრო მტკიცე კურსი, საჭიროა ერთგვარი გადახვევა მარცხნივ, საჭიროა აქტიური მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში, საჭიროა პირი ვიბრუნოთ მსხვილი ქარხნების იმ მუშათა მასებისაკენ, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯება კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან. საჭიროა გაფართოებული ბრძოლა „ეროვნული მთლიანობისა" და მისი დამცველების წინააღმდეგ სოციალისტურ და რეფორმისტულ ბანაკიდან.

როგორია საფრანგეთის კომუნისტური მოძრაობის პერსპექტივები? ჩვენ უახლოვდებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდს, პერიოდს, როცა მსხვილი ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატებისა და რეფორმისტების დახმარებით ფართო მანევრებს ახდენს მუშათა მოძრაობის შესასუსტებლად. ამიტომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ყოველგვარ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. არ უნდა დაუშვათ არავითარი იდეოლოგიური აბნეულობა ჩვენს რიგებში. ეს ამოცანა მოითხოვს ენერგიულ ბრძოლას როგორც ტროცკიზმის, ისე სხვა ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში და კომუნისტურ ინტერნაციონალში.

# სანაპირო რაზმების კომუჯრედთა მდივნების ა.-კ. თათბირი

### ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. მ. ორახელაშვილი საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით მიესალმა თათბირის დელეგატებს და მათი ხაზით იმ ავანგარდს, რომელიც დარაჯად სდგას საბჭოთა საზღვრებზე.

დაახასიათა რა მწვანექუდიანებს საპატიო როლი პროლეტარული დიქტატურის მთელს სისტემაში, ამხ. ორახელაშვილმა ხაზი გაუსვა სანაპირო რაზმების მუშაობის სიძნელეს.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი გადავიდა მოხსენების მთავარ თემაზე და აღნიშნა, რომ მეხუთმეტე ყრილობას უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით; და სწორედ ეხლა საერთაშორისო ბურჟუაზია შეუსვენებლივ ემზადება პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, ხედავს რა საკავშირო კომპარტიის სახით კომინტერნის ხელმძღვანელ პარტიას, რომელიც თანდათან მტკიცდება და ძლიერდება.

მეორეს მხრივ მეხუთმეტე ყრილობამ პასუხი გასცა ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის და კავშირის საშინაო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხებზე და, დაბოლოს, ერთსულოვნად გადასჭრა საკითხი ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ჯგუფების შესახებ, ბოლო მოუღო რა ტროცკიზმს.

თუ მეთოთხმეტე ყრილობისათვის ერთნაირი მდგომარეობა იყო როგორც კაპიტალიზმის ეკონომიკის სფეროში, ისე ევროპის და ამერიკის პოლიტიკაშიაც, სამაგიეროთ მეხუთმეტე ყრილობისათვის ეკონომიკაში და პოლიტიკაში ვხედავთ ზოგიერთ ახალ პროცესებს. იმპერიალიზმის წრეებში საბჭოთა კავშირის ზრდა იწვევს სავსებით რეალურ შიშს, მით უმეტეს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ახასიათებს მერყეობის საშიში ნიშნები, რაც მომავალში სრული დაშლის მომასწავებელია.

ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ „სტაბილიზაციაქმნილ" ევროპას და ამერიკას აღარ ჰყოფნის ბაზრები პროდუქციის გასასაღებლად, ნედლი მასალის გასატანად, კაპიტალების საექსპორტოდ, ვინაიდან კოლონიებმა განავითარეს თავისი საკუთარი ინდუსტრია და გაღატაკებულ მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა შემცირდა და მცირდება. „კაპიტალიზმის რაციონალიზაციას" არ შეუძლია შეაჩეროს განწირულ წესწყობილების ლპობა და გახრწნა.

ბურჟუაზია მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ცდილობს ანაზღაუროს გადაულახავი დაბრკოლებები მუშა ძალიდან ზედმეტი მოგების მიღებით სამუშაო დღის გადიდებისა და სამუშაო ხელფასის შემცირების გზით. ამის შედეგათ ევროპაში და ამერიკაში ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო წესწყობილების „რეკონსტრუქციას". ნაქები „დემოკრატია" ადგილს უთმობს ფაშიზმს. ფაშიზმის ელემენტები ჩნდებიან ისეთ ქვეყნებშიაც, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და თვით ნაქები მეშჩანური - დემოკრატიული შვეიცარია, რომელიც დიდი ხანია მოწინავე ქვეყნად ითვლებოდა: ეხლა კი ეს „დემოკრატიული" ქვეყანა ფეხქვეშ სთელავს თავშესაფარის უფლებას და უბრუნებს ფაშისტურ იტალიას ჯარის კაცებს, რომლებიც გაიქცნენ არმიიდან და გადავიდნენ „შთამომავლობით დემოკრატიის" ტერიტორიაზე.

ევროპის სოციალ-დემოკრატია ჩვენს თვალწინ ხდება ბურჟუაზიის მესამე პარტიად, ის არის ბურჟუაზიის უმთავრესი და ერთგული დამხმარე ხალხთა მასების დამონების საქმეში, რევოლუციონური პროცესის უმთავრესი მუხრუჭი.

აღნიშნული პროცესი არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ბურჟუაზიისათვის საჭიროა ბაზრების ხელში ჩაგდება და მუშათა კლასის უსაზღვროთ შევიწროება. არის მეორე მხარეც:

მთელს დასავლეთ ევროპაში ადგილი აქვს მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესს. ჩვენ უკანასკნელ დროს დავინახეთ ამ გამემარცხენების მრავალი გამოხატულება. ეს არის არა მარტო გაფიცვა ინგლისში და ვენის ამბები, არამედ ისეთი ამბებიც, როგორიცაა ეხლანდელი გაფიცვა გერმანიაში; 800.000 მეტალისტის საპასუხო ლოკაუტი, რომელსაც მოელიან 22 თებერვლისთვის — მეტად დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც მოწმობს, რომ მუშების გამოსვლა ევროპაში ძლიერდება რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც, ეკონომიური გამოსვლები პოლიტიკურ გამოსვლებათ იქცევიან.

კაპიტალიზმის ერთგვარი სტაბილიზაციის და მუშათა მასების ერთგვარი დაღლილობის ყინული უკვე დაიძრა. ყინულის ამ მოძრაობის ერთად - ერთ ხელის შემშლელს წარმოადგენს ევროპის სოციალ - დემოკრატია, რომელიც ღალატობს მუშათა კლასს, გამოდის რა ყველგან ბურჟუაზიის მოციქულად, „სამრეწველო მშვიდობიანობის" მოციქულად. მხოლოდ ამ სოციალ - დემოკრატიულ ბარიერზე გადაბიჯებით დასძლევს ევროპის მუშათა კლასი კაპიტალიზმის წინააღმდეგობას.

კომინტერნისა და ჩვენი პარტიის მუშაობა მიმართულია უმთავრესად მსოფლიო სოციალ დემოკრატიის მოღალატურ საქმიანობის გამომჟღავნებისაკენ.

მთავარი პოლიტიკური ძალები, რომელთა შორის ხდება შეტაკება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მუშათა მასებზე გავლენის მოსაპოვებლად, არის ერთის მხრივ კომუნისტები და მეორეს მხრივ სოციალ - დემოკრატია, —ეს ბურჟუაზიის ერთგული, ნდობით აღჭურვილი პირი.

როგორია ჩვენი მიღწევები და ამოცანები შინაური აღმშენებლობის საქმეში?

ჩვენ განვდევნეთ ბურჟუაზია არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური ასპარეზიდანაც.

ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაცია სწარმოებს არა მარტო დეკრეტების წესით, არამედ ფაქტიურადაც. ინდუსტრიალიზაციის პროგრამაში გამონახულია განვითარების გენერალური ხაზი, რომელიც დასახული იყო პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის მიერ. მეხუთმეტე ყრილობამ ჯამი გაუკეთა იმას, რაც ამ სფეროში გაკეთებულია ორი წლის განმავლობაში.

რასაკვირველია, საქმე რიცხვობრივი ზრდის პროცესით არ გათავებულა; ჩვენ ვხედავთ განვითარებას სოციალიზმისაკენ — ინდუსტრიალიზაციას სოციალისტურ რელსებზე.

ძირითად ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის ტემპი და მიმართულება. მაგალითი ისტორიაში არ მოგვეპოვება. პარიზის კომუნა — მხოლოდ დრამაა, კონკრეტიული მასალა მას არ დაუტოვებია. ჩვენმა პარტიამ უკანასკნელ დროს უდიდესი მუშაობა შეასრულა სოციალიზმისაკენ მიმავალ გზის ეტაპების დასახვისათვის. ჩვენი აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ჩვენი პარტიის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვამარცხებთ სტიქიონს, მიმართულებას ვაძლევთ ჩვენი შემდგომი აღმშენებლობის პროცესებს.

ეს გეგმა იძლევა ჩვენი მეურნეობის განვითარების ძირითად გზებს არა მარტო მრეწველობის სფეროში, არამედ სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სფეროშიაც.

შემდეგ შეეხო რა ოპოზიციის პლატფორმას ჩვენი კავშირის მეურნეობის საკითხში, ამხ. ორახელაშვილმა აღნიშნა მისი უსაფუძვლობა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შეტევას გლეხურ სექტორზე. ოპოზიციის პლატფორმა ემუქრებოდა როგორც გლეხური მეურნეობის და პროლეტარულ სოციალისტურ მრეწველობის კავშირს, ისე პროლეტარიატის და გლეხობის პოლიტიკურ კავშირს.

პარტია არ გაჰყვა ოპოზიციის დამღუპველ გზას; ის ლენინიზმის პრინციპების მიხედვით კვლავ განაგრძობს სოციალიზმის აღმშენებლობას მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის კავშირის საფუძველზე, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის საფუძველზე.

როგორ გადასჭრა პარტიამ მეხუთმეტე ყრილობაზე საკითხი სოფლის სოციალიზაციის შესახებ?

ლენინის მიერ დასახული ძირითადი გზა— კოოპერაციის გზა უკვე გამართლებულია ცხოვრების მიერ. მოხმარებისა და გასაღების ხაზით ჩვენმა კოოპერაციამ უკვე მკვიდრი საფუძველი მოიპოვა სოფლად. მეხუთმეტე ყრილობამ დღის წესრიგში დასვა საკითხი სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ, ე. ი. საკითხი მრავალი მილიონ ხელმოკლე სოფლის მეურნეობათა ჩაბმის შესახებ განსაზოგადოებულ მეურნეობის ფორმებში მსხვილ მანქანიზაციაქმნილ მეურნეობის საფუძველზე. ოპოზიციის განცხადება თვითეულ ღარიბ გლეხისთვის ცხენის მიცემის აუცილებლობის შესახებ სისულელეა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს ასეთ ტვირთს, და გარდა ამისა ეს ღონისძიება გამოსადეგია მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში, ჩვენთვის კი საჭიროა საკითხის საფუძვლიანად გადაჭრა. ხელმოკლე მეურნეობათა განსაზოგადოების პირობებში შესაძლოა უაღრესად განვითარებულ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და მაშასადამე გადაჭრა საკითხის ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ სოციალისტური გზით.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილმა აღნიშნა, რომ მეხუთმეტე ყრილობამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასვა საკითხი ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ჩვენს ყოველდღიური აღმშენებლობის საქმეს. ამიტომ უნდა დაისვას საკითხი მესამე (პირველი ოქტომბრის და მეორე ტექნიკურ - საწარმოო რევოლუციის შემდეგ) რევოლუციის — კულტურულ რევოლუციის შესახებ. ეს პრობლემა ყოველთვის წარმოადგენდა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების საგანს, მაგრამ მის გადაჭრას მთელი სიგრძე - სიგანით მხოლოდ ეხლა შეუდექით.

შეეხო რა ოპოზიციას ამხ. ორახელაშვილმა აღნიშნა, რომ მეხუთმეტე ყრილობა ჩვენი პარტიის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია იმით, რომ მან სრული გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციაზე. უკანასკნელს ანტილენინური სული შეჰქონდა ჩვენს პარტიაში. ოპოზიციის ზღაპრები ლენინურ ხაზიდან გადახვევის შესახებ საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში გადაიქცა ნამდვილ ამბათ ტროცკისტულ ოპოზიციის წვრილბურჟუაზიული ბუნების შესახებ.

პარტიასთან ბრძოლის პროცესში ოპოზიციამ დაამტკიცა, რომ ის არის მოსახლეობის წვრილ - ბურჟუაზიულ ფენების იდეოლოგიის გამომხატველი, იმ ფენების, რომლებსაც ავიწროებდა და ავიწროებს პროლეტარული დიქტატურა.

ზედმეტია ხელ-ახლა ჩამოთვლა იმ ბრალდებების, რომლებსაც ოპოზიცია უყენებდა პარტიას მენშევიკური გადახრის შესახებ. თვით ოპოზიციის რიგებში მოხდა განხეთქილება, რომლის შედეგათ ჩვენ ვხედავთ ერთის მხრივ „შეურიგებელ ტროცკისტებს", ხოლო მეორეს მხრით — ყოფილ ლენინელებს, რომლებიც დააფრთხო თვალთმაქცმა ტროცკიზმმა, მაგრამ რომლებიც დარწმუნდნენ ამაში და სულით დაუბრუნდნენ ლენინურ პარტიას, დაჰყარეს რა ორგანიზაციულად და იდეურად იარაღი ლენინურ პარტიის წინაშე.

რაც შეეხება აქაურ, უმთავრესად ქართველ და სომეხ ოპოზიციონერთა ბელადებს, ისინი, მიუხედავად მათი ლენინური წარსულისა გაუსწორებელ ტროცკისტებათ რჩებიან. ეს გასაგებია. ისინი იყვნენ წვრილ - ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტიპიური გამომხატველნი, ნაციონალ - უკლონისტები, რამაც დაუნათესავა ისინი ტროცკისტებს. ეს კავშირი გრძელდება მეხუთმეტე ყრილობის შემდეგაც.

ტროცკისტულ ოპოზიციის უკანასკნელი დოკუმენტები, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ბუხარინი კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი პარტიის მოქმედების სისწორეს გაუსწორებელ ოპოზიციონერების მიმართ.

თავის მოხსენებს დასასრულ, ამხ. ორახელაშვილმა ერთხელ კიდევ აღნიშნა ჩვენი წითელი საზღვრების დამცველ სანაპირო რაზმების მუშაობის განსაკუთრებული პირობები.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწიეს ამ სიძნელეებს და უკანასკნელ წლებში ბევრი რამე გააკეთეს სანაპირო რაზმელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მწვანექუდიანებმა უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის წარმომადგენელნი საბჭოთა კავშირის საზღვრებზე; ამიტომ ისინი განსაკუთრებით სათუთად უნდა მოეპყრან ადგილობრივ მოსახლეობას და ამავე დროს უნდა იყვნენ საბჭოთა კულტურის გამტარებელნი. იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევიან ჩვენი სანაპირო რაზმელები, ადგილობრივ მოსახლეობა შეიმუშავებს თავის აზრს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

დასასრულ, ამხ. ორახელაშვილმა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით უსურვა მოსაზღვრე რაზმელებს წარმატება ყოველდღიურ მუშაობაში და გამოსთქვა რწმენა, რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ წითელ საზღვრებს ეკონომიურ და პოლიტიკურ კონტრაბანდისაგან.

### რეზოლუცია

### ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების გამო.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო ერთ ხმად მიღებულია შემდეგი რეზოლუცია:

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერების ზრდა წარმოადგენს უდიდეს რევოლუციონურ ფაქტორს. კაპიტალისტურ ქვეყნებში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. იზრდება რევოლუციონური და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამწვავებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის და იწვევს ახალ შეიარაღებულ თავდასხმის უშუალო საფრთხეს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოზე.

მე-15 ყრილობა,—ისახავდა რა იგი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას, წარმოების სოციალისტურ რაციონალიზაციას, დაქსაქსულ წვრილ გლეხურ მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაკეთების და მასების კულტუროსნობის აწევის ამოცანებს,—მთელი სააღმშენებლო მუშაობის ამოცანად წამოაყენა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცება.

ამ უდიდეს ამოცანების განხორციელება მოითხოვს პარტიისაგან ძალთა უდიდეს დაძაბვას, ენერგიას და მტკიცე ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ მთლიან და ერთად-ერთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ რიგების შეურყეველი შემჭიდროების პირობებში.

პარტიის მე-15 ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს სანაპირო დამცველ რაზმების პარტორგანიზაციებისაგან:

თავის რიგების შემდგომ განმტკიცებას, მთელ პარტიულ მასის იდეოლოგიურ სიმტკიცის და ბოლშევიკურ გამოწრთობის ზრდას;

სანაპირო ზოლის პარტორგანიზაციების როლის გაძლიერება მოსახლეობის შორის მუშაობაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმდინარე ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად.

ნაციონალურ საკითხის სწორ შეგნებას სანაპირო დაცვის მთელი პირადი შემადგენლობის მიერ და ყურადღებით მოპყრობას მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა, ჩვეულებებისა და ადათებისადმი.

ამ ამოცანების შესასრულებლად სანაპირო ზოლის პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ მშრომელ მასებს ჩვენი საზღვრების დაცვის ამოცანები სოციალისტურ აღმშენებლობის განხორციელებისათვის სავსებით საღი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად სანაპირო ზოლის მოსახლეობაში.

# პარტიული ცხოვრება

## ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამგეთა თათბირი

### მეექვსე სხდომა

### ამხ. დ. გვაზავას მოხსენება

17 თებერვლის საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. დ. გვაზავას მოხსენება—ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბეჭდვითი ქვე-განყოფილების მუშაობა, ამბობს მომხსენებელი—მჭიდროდ დაკავშირებულია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპგანყოფილების მუშაობასთან.

სამაზრო კომიტეტებში ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების უქონლობის გამო ამ მუშაობას აწარმოებენ ადგილობრივი აგიტპროპ განყოფილებები, მაგრამ ისინი ვერ იჩენენ ჯეროვან ყურადღებას ამ საქმისადმი. ჩვენი პრესა კი ძალიან ჩქარა იზრდება, ყოველდღიურად მატულობს გაზეთების ტირაჟი. მაგალითისათვის შეგვიძლია მივმართოთ ციფრებს. საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა"-ს ტირაჟი ძლივს უდრიდა 7 ათას ცალს; საქ. კომპარტიის (ბ) გაზეთი „კომუნისტი" კი გამოდის 30 000 ეგზემპლიარი. მეტი მაგალითის მოყვანა არაა საჭირო. მეტი მაგალითის ნათელ სურათს გვიხატავენ ჩვენ პრესის ზრდისას.

მკითხველი მასის ზრდასთან ერთად იზრდება გაზეთების თანამშრომელთა მთელი არმია—მუშ-გლეხკორები. მათი რიცხვი საქართველოში აღწევს 5.000 კაცს. სამწუხაროდ მეტად მცირე პროცენტი (4) მოდის ქალზე. მუშ-გლეხ-კორების რიცხობრივ ზრდას ხარისხობრივად ჩამორჩება მათი მუშაობა. მომავალში უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება მუშ-გლეხკორთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების საქმეს.

რაც შეეხება მაზრებში ბეჭდვითი სიტყვის დარგში მუშაობას, იგი საგრძნობლად მოიკოჭლებს.

მომხსენებელი ეხება რა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშ-გლეხ-ქალთა განყოფილების ჟურნალს „მშრომელი ქალი", აღნიშნავს მის გაუმჯობესებას და მუშა-გლეხ-ქალთა ფართე მასებთან დაახლოებას. ჟურნალი როგორც შინაარსით, აგრეთვე ფორმით მისაღებია და სავსებით აკმაყოფილებს ძირითადი მკითხველის მოთხოვნილებებს.

ქალთა შორის ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის დარგში ჩვენი მორიგი ამოცანებია—მუშ-გლეხკორთა მოძრაობის გაძლიერება და განსაკუთრებით, კორესპონდენტ ქალთა რიცხვის გაზრდა.

ამხ. დ. გვაზავას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. იაგორაშვილი (ლეჩხუმი), ლომთათიძე (თელავი), ჩირქეშვილი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა-გლეხ-ქალთა გან-ება), თალაკვაძე (აჭარისტანი), ბრეგვაძე (სვანეთი), ციკოლია (აფხაზეთი) და ვარო ჯაფარიძე.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ჩირქეშვილის ინფორმაციული მოხსენება—ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის—8 მარტის—ჩატარების შესახებ.

# საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის პლენუმი

პარასკევს, 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ბეჟადიანის მოხსენება—ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. ბეჟადიანი შეეხო პურის დამზადებისა და ექსპორტის საკითხებს და აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ნაცვლად პურის ექსპორტისა, მიღებულია სათანადო ზომები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და აგრეთვე დანარჩენი დარგების ნაწარმოებთა საზღვარგარეთ გაზიდვისათვის.

თავშეუნახავ საექსპორტო პროდუქტების როგორიცაა: თევზი, ხიზილალა, კვერცხი, ხილეულობა და სხვ. უზრუნველსაყოფად ამჟამად ამიერ-კავკასიაში შენდება მთელი რიგი მაცივარებისა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული ხალიჩების წარმოების საქმეს. საექსპორტო გეგმა მიმდინარე წელს ძალიან გადიდებულია.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა აგრეთვე საექსპორტო და დამამზადებელ ორგანიზაციების შორის ერთგვარ შეუთანხმებლობას ურთიერთ მუშაობაში და განაცხადა, რომ ამ მხრივ საჭიროა მდგომარეობის გამოსწორება. მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები ჩვენი ექსპორტის ზრდისა და გამოცოცხლებისათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: მასხიშვილი, ადამიანი, იდუჟონი; კონიაკი, ჩერნიაკი, შანტურია, ალიხანოვი, ოზნიანსკაია, ტურვართანოვი და სხ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ბეჟადიანმა ჯამი გაუკეთა რა კამათს, აღნიშნა, რომ ექსპორტის საკითხების გარკვევა აუცილებელია უფრო ფართო მაშტაბით—საექსპორტო და სამრეწველო მშენებლობის საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა ამიერ-კავკასიის ერთიანი სამეურნეო ორგანოს ანუ ამიერ-კავკ. ს. მ. უ. ს. შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების მიწოდების საქმე როგორც თბილისისათვის, აგრეთვე ამიერ-კავკასიისათვის მოგვარებულია და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება.

ამხ. ბეჟადიანის მოხსენების გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ნუცუბიძის ინფორმაციული მოხსენება წითელი არმიის 10 წლისა. და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის დღესასწაულების ჩატარებისათვის გამართულ დემონსტრაციაში მესამე რაიონის მონაწილეობის შესახებ.

# კომკავშირში

## უჯრედის მუშაობა სუსტია

ზემოკვეხის კავშირის ა. ლ. კ. კ. უჯრედის მუშაობა ერთ დროს საუკეთესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს მდგომარეობა შეიცვალა.

სრული ორი თვე არის, რაც უჯრედში არავითარი ორგანიზაციული მუშაობა არ მიმდინარეობს. უჯრედის მდივანი მუშაობდა მე-3-ე საცხობში 1 ცვლაზე და რაიკომის მითითებით გადაიყვანეს მეორე ცვლაზე. ამის გამო მდივანმა ვეღარ შესძლო უჯრედში მუშაობა. მივმართეთ უჯრედის ბიუროს წევრებს. მათ გვიპასუხეს, ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება შეუძლებელიაო. ამით დღეს დღეობით უჯრედი დაშლის გზაზე ადგას. საჭიროა სათანადო ზომების მიღება უჯრედის გამოსაცოცხლებლად.

ახალი.

დღეს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

## საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი

რაიკომის პრეზიდიუმის წევრებისა და საქპროფსაბჭოს ფრაქ. მონაწილეობით.

**დღის წესრიგშია:**

პურის დამზადების კამპანიის შესახებ, თბილისის კომიტეტის თებერვალ-ივნისის თვეების სამუშაო გეგმის დამტკიცება. სამეურნეო-ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც.-ით შემცირების შესახებ. საკლუბო მუშაობის შესახებ.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი
ლ. სუხიშვილი.

# დირექტივები საქ. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესადგენად

## საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლუცია

1. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველოსათვის არ არსებობს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთი მთლიანი მტკიცედ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პლენუმი მაინც აღნიშნავს უდავო წარმატებას სამეურნეო მშენებლობის დარგში და თანაც მისი სოციალისტური სექტორის შეუფერხებელ ზრდას კერძო კაპიტალის წილის შემცირების ხარჯზე.

მშენებლობის დარგში უკვე ჩადენილ შეცდომათა აცილებისათვის და მისი უკეთესად განვითარებისათვის, ცეკას პლენუმი საჭიროდ სცნობს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის, — როგორც ფედერატიული და საკავშირო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, — განვითარება დაფუძნებული იყოს გეგმაზე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად საჭირო წინასწარ პირობებს უნდა წარმოადგენდეს:

ა) ბუნებრივ სიმდიდრეთა გამორკვევა და შესწავლა;

ბ) ჩვენი ქვეყნის მატერიალურ შესაძლებლობათა საკითხის გამორკვევა და

გ) ჩვენი მიღწევების შედეგები სოციალისტურ მშენებლობაში.

ზემონათქვამის გარდა, მშენებლობაში დღევანდლამდე არსებული მავნე პარალელიზმის მოსაშორებლად, გეგმის შედგენის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს შრომის განაწილების პრინციპი ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის.

2. კაპიტალურ მშენებლობაში პარალელიზმის ასაცილებლად და უდიდესი შედეგების მისაღწევად, საჭიროა წინასწარ გამოირკვეს, თუ მრეწველობის რომელი დარგები უნდა განვითარდეს ამიერ - კავკასიის თვითეულ რესპუბლიკაში და რა წესით.

საქართველოს სამრეწველო მშენებლობის საკითხი არსებითად მრეწველობის შექმნის საკითხს წარმოადგენს, რომელიც დამძიმებულია ჩვენი ქვეყნის სპეციალური პირობებით;— ქვეყნის, რომლის ისტორიული წარსული კი დაბრკოლებას წარმოადგენდა ბუნების მნიშვნელოვან შესაძლებლობათა ნორმალურად გამოყენებისათვის.

რადგან ჯერ კიდევ საკმაო არ არის ის შედეგები, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ ამ დარგში შვიდი წლის მუშაობის განმავლობაში, პლენუმს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მრეწველობის ზრდის ტემპის დაჩქარება და უახლოეს წლებში მისი ხვედრითი წონის გაძლიერება სახალხო მეურნეობის სისტემაში.

პლენუმი აღნიშნავს განსაზოგადოებული მეურნეობის უდავო ზრდას და სოციალისტური სექტორის გამაგრებას, და ამასთანავე, იმ გარემოებასაც, რომ კოოპერატიული მრეწველობის როლი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. მისი გაძლიერებისათვის საჭიროა სხვადასხვა ზომის მიღება, კერძოდ, იმ გლეხების თანხების მიზიდვა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან საწარმოო კოოპერაციაში.

სახელმწიფო მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობაც, რომლის დანიშნულებას შეადგენს ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობის გაძლიერება.

ცეკას პლენუმი სცნობს, რომ ადგილობრივი მრეწველობის ზრდა უფრო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მშენებლობის რესპუბლიკანურ გეგმასთან და ადგილი არ უნდა ჰქონდეს „პარტიზანულობის" გამოჩენას.

რადგან შინამრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში და აგრეთვე სოფლად უმუშევრობის შენელებისათვის, საჭიროდ იქნას ცნობილი კოოპერაციაში ჯერ - ჯერობით შეუკავშირებელ მარტოხელა შინამრეწველების შემდგომი ჩაბმა სარეწაო კოოპერაციაში, მათთვის ყოველნაირად ხელის შეწყობა, როგორც ნედლეულით მომარაგების მხრივ, ისე წარმოების ტექნიკის გაუმჯობესების მხრივ.

პლენუმი სცნობს, რომ საქართველოს შემდგომი სამეურნეო განვითარება უნდა მიმართული იყოს როგორც მრეწველობის უკვე არსებული დარგების გაძლიერებისა და განმტკიცებისაკენ, ისე იმ ახალი დარგების განვითარებისაკენ, რომლებსაც საქართველოში საკმაო ნედლეულის საფუძველი აქვთ.

უმთავრესი ყურადღება კი უნდა მიექცეს წარმოების შემდეგ ძირითად სახეებს; ესაა: 1) სატყეო და ქაღალდის, 2) აბრეშუმის, 3) გემო - კვების (თამბაქოს, ჩაი და სხვა), 4) საშენი მასალის და 5) სამთამადნო წარმოება.

ამასთანავე ერთად, საჭიროდ იქნას ცნობილი საქართველოში საკავშირო მნიშვნელობის ქიმიურ - ფარმაცევტიული მრეწველობის შექმნისათვის საჭირო ნედლეულისა და ტექნიკურ შესაძლებლობათა შესწავლა.

შესაქმნელად ნავარაუდევ მრეწველობის დარგთა, კერძოდ სამთამადნო მრეწველობის ყოველმხრივი დასაბუთებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეცნიერულ გამოკვლევას და გეოლოგიურ ძიებას და ამ მიზნით საკმაო თანხები უნდა გაიღაიდოს; სამისოდ საქმეში ჩაბმულ იქნან კვალიფიციური სპეციალისტების კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე საბჭოთა კავშირიდან და საზღვარგარეთიდან მოწვეულნი. რადგან უახლოეს წლებში პრაქტიკულად უნდა გადაწყდეს ტყვარჩელის ნახშირის დამუშავების საკითხი, დაევალოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქართველოში ლითონის მრეწველობის შექმნის შესაძლებლობა.

3. ჩვენი მშენებლობა ძალიან ხშირად მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს მტკიცედ გამორკვეულ ხარჯთაღრიცხვისა, თანხებისა და დროის ეკონომიისა, სათანადო ფხიზელი ტექნიკური მეთვალყურეობისა, საკმაო ეკონომიური დასაბუთებისა და საერთოდ მტკიცე გეგმის გარეშე. შემდეგში ეს დეფექტები უნდა აღმოიფხვრას. გარდა ამისა, ჩვენი მშენებლობის ერთ - ერთი მთავარი ნაკლია ჯერ კიდევ დიდი საამშენებლო ინდექსი, რომლის შესამცირებლად ჩვენში სამეურნეო ორგანოებმა ძალიან ცოტა გააკეთეს, კერძოდ, განხორციელებული არაა დადგენილება მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების შესახებ. საამშენებლო ინდექსის შემცირებისათვის ბრძოლა ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული, უნდა დაწესდეს განსაზღვრულ პირთა და ორგანიზაციების მტკიცე პასუხისმგებლობა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

პლენუმი აღნიშნავს საქართველოს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების ჯერ - ჯერობით უმნიშვნელო შემცირებას და ხაზს უსვამს, რომ ამ დარგში მიცემული დირექტივის განხორციელება შემდეგშიაც უნდა წარმოადგენდეს მრეწველობის მთავარ ამოცანას. გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს იმ მოვლენას, რომ ზოგიერთ ადგილებში აღმასკომები ჰბერავენ სხვადასხვა წარმოებას, (ბარიტი, ინფუზორიტი, ლითოგრაფიული ქვა), რაც საგრძნობლად აძვირებს მათ თვითღირებულებას და აფერხებს მათ განვითარებას.

სრულიად დროულად და საჭიროდ იქნას ცნობილი საკითხის დასმა იმის შესახებ, რომ გაერთიანდეს ამა თუ იმ ფორმით თამბაქოს და ხე-ტყის მრეწველობა რესპუბლიკანური მასშტაბით (აჭარისტანისა და აფხაზეთის თამბაქოსა და სატყეო ორგანიზაციებიანად), ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას სათანადო სახ. კომისართა საბჭოს ხელმძღვანელი მონაწილეობა.

რადგან საკურორტო საქმის რაციონალური ექსპლოატაციას და ყველა კურორტის მთლიან ხელმძღვანელობას დიდი მნიშვნელობა აქვს, დაევალოს ცაკის პრეზიდიუმს, რომ დაამუშაოს აგრეთვე საქართველოს, აფხაზეთის და აჭარისტანის კურორტების გაერთიანების ფორმების საკითხი.

რადგან საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მშენებლობას, რომელსაც აწარმოებს აზნეფთი (ნავთსადენი და ბათომის ნავთის გადამქაჩავი ქარხანა) და რადგან მისი დამთავრება სასურველია, — პლენუმი საჭიროდ სთვლის მოუწოდოს საქართველოს და აჭარისტანის ყველა ორგანოს, რომ ამ მშენებლობას ყოველმხრივად ხელი შეუწყონ და მისდამი ყურადღება გამოიჩინონ.

სამრეწველო მშენებლობის ზრდასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს კომუნალური მეურნეობის განვითარებას. ეს უკანასკნელი თავისი მხრით დაკავშირებულია კომუნალური ბანკის გაძლიერებისა და გამაგრების საჭიროებასთან, მისი სახსრები უნდა გადიდდეს როგორც ახალი თანხების მიზიდვით, ისე იმ მხრივ, რომ სახელმწიფო ბანკმა კრედიტი საკმაოდ უნდა მისცეს მას.

4. მუშათა საკითხის დარგში საჭიროა გეზის აღება იქით, რომ კვლავ უფრო გაძლიერდეს შრომის ნაყოფიერება, გადიდდეს ხელფასი, გაუმჯობესდეს შრომის პირობები და მოხდეს გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის დროს საჭიროა შემდეგი წინასწარი პირობები: ჯერ ერთი, საწარმოო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ საკმაო ნედლეული და საჭირო მასალები, გამსაღებელი ბაზრები, დამატებითი კვალიფიციური მუშა - ხელი და ტექნიკური პერსონალი; მეორე, საჭიროა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება (ამისთვის საჭიროა: სამუშაო დღის შემჭიდროება, მოწყობილობის უკეთესად გამოყენება, რაციონალიზაცია, ტექნიკურად გაუმჯობესება და ხელ - ახალი მოწყობა, საბინაო ფონდის მხრით დამატებითი მუშახელის უზრუნველყოფა).

ცეკას პლენუმი საგანგებოდ აღნიშნავს საწარმოო თათბირთა მუშაობის გაძლიერების საჭიროებას, რადგან ეს არის ჩვენი წარმოების რაციონალიზაციის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი საშუალება. უკანასკნელ წლებში საბინაო მშენებლობის თვალსაჩინო ზრდა მაინც ჩამორჩება მუშათა ბინების გადიდებულ საჭიროებას, რის დასაკმაყოფილებლადაც უნდა მივიღოთ ყოველგვარი ღონისძიება და მაქსიმალურად გავადიდოთ საცხოვრებელი ადგილი.

ეს მშენებლობა განსაკუთრებით უნდა გააძლიეროს კოოპერაციამ და მრეწველობამ, რათა ახალ საწარმოო დაწესებულებათა აშენებასთან ერთად შენდებოდეს მუშებისათვის საჭირო საცხოვრებელი ბინები.

მიღებულ იქნას ზომები, რათა არა მარტო ახლად აშენებულ საწარმოო დაწესებულებებში, არამედ უკვე არსებულებშიაც, სასტიკად დაიცვან უშიშროების ტექნიკისა და მუშათა ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მოთხოვნილებანი.

მიუხედავად სამრეწველო მშენებლობის განვითარებისა და მთელი სახალხო მეურნეობის გაძლიერებისა, ჩვენში მაინც უმუშევართა რიცხვი შედარებით თვალსაჩინოა, იგი იზრდება, უმთავრესად, იმის წყალობით, რომ სოფლიდან მოდის მოჭარბებული მოსახლეობა. უმუშევრობასთან ბრძოლა, უნდა სწარმოებდეს არა მარტო სოციალური დაზღვევის, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის და საწარმოო კოლექტივების საშუალებით, არამედ უმუშევრობის ზრდის ხელშემწყობი მიზეზების აცილების გზითაც. კერძოდ, საჭიროა: 1) გადასახლება - გადმოსახლების რაციონალურად მოგვარება, 2) მიწად - მოწყობის და შინაგანი გადასახლების გზით ზედმეტი მოსახლეობის განტვირთვა, 3) ჭარბად დასახლებული რაიონების ინდუსტრიალიზაციისა და შრომის ტევადი კულტურების განვითარების გაძლიერება.

5. სამეურნეო მშენებლობაში არსებული დეფექტები და შემდეგში მთელი მუშაობის რაციონალიზაციის საჭიროება პარტიას უსახავს საკითხს იმის შესახებ, რომ სათანადო მუშაკების შერჩევა მოხერხებით ხდებოდეს, დამყარდეს ორგანიზაციების და თვით მუშაკების, — როგორც სამეურნეო მუშაკების, ისე საინჟინერო - ტექნიკური ძალების, — ნამდვილი პასუხისმგებლობა.

საჭიროა გულდასმით შემოწმდეს და შესწავლილ იქნას ჩვენი საინჟინერო - ტექნიკური ძალებისა და სხვა სპეციალისტების კადრი, შეცვალოთ ისინი, თუ საჭირო იქნება, ახალი, როგორც ადგილობრივი, ისე გარედან მოწვეული მეცნიერულ - ტექნიკური ძალებით.

ამავე დროს საჭიროა გაძლიერდეს ჩვენი მშენებლობისათვის სასარგებლო მუშაკების არსებული კადრის კვალიფიკაცია, ხოლო სამისოდ საჭიროა მათი გადამზადება და სასწავლებლად გაგზავნა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. რადგან განვითარების გზაზე დამდგარ მრეწველობას უფრო და უფრო მეტად სჭირდება კვალიფიციური მუშა - ხელი, ამიტომ საჭიროა დავაჩქაროთ და გავაძლიეროთ სათანადო კვალიფიკაციის მუშათა კადრების მომზადება, სამისოდ უნდა კი გაფართოვდეს პროფტექნიკური განათლების არსებული ქსელი.

6. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, როგორც სამრეწველო - აგრარულ ქვეყანაში, შემდეგში უნდა მიმდინარეობდეს შრომის ტევად ტექნიკურ კულტურების (ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო, ჩაი, ვენახი, კანაფი და სხვ), და ინტენსიურ მესაქონლეობის (მატყლი, ხორცი, რძის პროდუქტები და სხვ.) განვითარების ხაზით.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანები, მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზისის შექმნა და მიწის მწვავე ნაკლებობასთან ბრძოლა გადაჭრით მოითხოვს მთელ რიგ მსხვილ სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებას საქართველოში, რისთვისაც საჭიროა: ა) ენერგიულ ზომების მიღება დაწყებულ სამელიორაციო სამუშაოთა (ალაზნის, ტირიფონის ველის და სხვ.) დასამთავრებლად, ბ) დაწყებულ იქნას სამგორის ველის მორწყვის პროექტის შედგენა და განხორციელება, კოლხიდის დაბლობის ჭაობების ამოშრობა, და აგრეთვე ადგილობრივ სარწყავ სისტემების რეკონსტრუქცია ბორჩალოს და თბილისის მაზრების მებამბეობის რაიონებში.

ამ ღონისძიებებთან ერთად პლენუმს აუცილებლად მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მდინარეთა ნაპირების გამაგრებაზე.

სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მიმართ ცეკას პლენუმს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი ღონისძიებები: 1) ხორბლეულ მეურნეობის, მისი ტექნიკისა და მოსავლიანობის რაციონალიზაცია, ტექნიკურ კულტურების — ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ყანაფის, ვენახის, სამრეწველო მებოსტნეობის, საწამლე ბალახების და მთრიმლავ მცენარეების შემდგომი განვითარების ტემპის დაჩქარება.

ტექნიკურ კულტურების მიმართ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს: ა) ფასების პოლიტიკას; ბ) ამ რაიონებისათვის პურის გეგმიანად მიწოდების, გ) ფართო კრედიტს (განსაკუთრებით ხელმოკლე ჯგუფებისათვის) პირველადი პროდუქციის გადამუშავების საკითხების მოწესრიგებას, დ) ყოფა - ცხოვრების საკითხებს და ე) აგრონომიულ ღონისძიებებს (მანქანიზაცია, მინერალური სასუქი, მავნებლებთან ბრძოლა). 2) მესაქონლეობის დარგში საჭიროა შემდეგი ღონისძიებანი: ინტენსიფიკაცია და ნაყოფიერ, სამრეწველო მესაქონლეობაზე გადასვლა, სარძე მეურნეობის (ყველის და ერბოს დამზადება) განვითარება, წვრილ მესაქონლეობის დარგების — მეცხვარეობის (ხორცი, მატყლი), მეღორეობის და აგრეთვე მეფრინველეობის განვითარება.

ამავე დარგში საჭიროა: ა) ეკონომიური ზეგავლენა მესაქონლეობის ეკონომიკაზე და მისი მოწესრიგება (კოოპერატიული შეკავშირება, გასაღება, წარმოება, დამზადება და სხვ.); ბ) საკვების საკითხის გადაჭრა (როგორც საძოვრების, ისე ბალახის თესვის შემდგომი განვითარების საკითხები); გ) სავეტერინარო დახმარების გაძლიერება და დ) აგრონომიული ღონისძიებები მესაქონლეობის განვითარებისათვის (ჯიშის გაუმჯობესება, ბაგაზე კვება და სხვ.).

ამასთან ერთად საჭიროა აგრო-ქსელის გაძლიერება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრონომების მიზიდვას სოფლის ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში, აგრონომიის, მიწადმოქმედების განყოფილებათა და პარტიის მუშაკების მუშაობა შეთანხმებულ უნდა იქნას აგრონომიულ დახმარების და პროპაგანდის საკითხებში.

7. ცეკას პლენუმს მიაჩნია, რომ პარტიის მორიგ ხაზს სოფლად მუშაობაში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განმტკიცება მისი კოოპერატიულად შეკავშირების საქმეში. ამიტომ მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ: 1) წვრილ გლეხურ მეურნეობათა უშუალო კოლექტივიზაციას (კომუნები, არტელები, მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობები), 2) ცალკე საწარმოო პროცესების კოოპერაციის სპეციალურ სახეებად ჩამოყალიბება (კარაქის დამამზადებელი არტელები და სხვ.), 3) უმარტივეს ტიპის საწარმოო კოოპერატივების — სამანქანო, სათესლე, სამელიორაციო და სხვა ამხანაგობათა მოწყობა.

მიწათმოწყობის სამუშაოთა დაგვიანება აიხსნება საშუალებათა და მომზადებულ ტექნიკური ძალების ნაკლებობით. ამიტომ პლენუმი ადგენს: 1) დამთავრებულ იქნას მიწათმოწყობა რესპუბლიკის ძირითად რაიონებში დაწესებულ ვადაზე, რისთვისაც გამონახულ იქნას საჭირო საშუალებები, 2) გამორკვეულ იქნას მიწით სარგებლობის ფორმები საქართველოში, 3) დატვირთულ იქნას მიწისმზომელთა სამუშაო დღე, ამასთან ერთად გადიდებულ იქნას მათი რიცხვი ახალ მუშაკთა კადრის მომზადებით და 4) მთელი ყურადღება მიექცეს ხელმოკლე ფენების მეურნეობათა მიწათმოწყობას, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნას სახელმწიფოს ხარჯზე.

საბჭოთა მეურნეობების შესახებ, რომლებიც წარსულთან შედარებით ორგანიზაციულად და ეკონომიურად განმტკიცდნენ (კერძოდ მათ გაადიდეს ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის რაოდენობა და გააძლიერეს თავისი აგროკულტურული მუშაობა გლეხურ მეურნეობათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და სხვ.), — ცეკას პლენუმი აღნიშნავს: 1) საბჭოთა მეურნეობების საჭირო საშუალებებით სუსტ უზრუნველყოფას და ამის გამო გრძელვადიან კრედიტების გაცემის საჭიროებას, 2) საქართველოს სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგებისათვის არათანაბარ ყურადღების მიქცევას (ყველაზე უფრო დიდი ყურადღება ექცევა მევენახეობა - მეღვინეობას) და მემინდვრეობისა (უმთავრესად, ტექნიკურ კულტურების) და მესაქონლეობისადმი ყურადღების გაძლიერების საჭიროებას

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის დარგში ცეკას პლენუმი აღნიშნავს ადგილობრივ საშუალებათა გამოყენების (გლეხთა ანაბარების და სხვ.) სისუსტეს, მკაცრ საზოგადოებრივ კონტროლის არარსებობის საშუალებათა გამოყენებაში და სესხების დიდი დაგვიანებით დაბრუნებას. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ადგილობრივ საშუალებათა მოსაზიდავად, დაწესებულ იქნას გრძელვადიანი კრედიტი, პირველ რიგში, ღარიბ გლეხობისათვის, შეწყვეტილ იქნას ადგილობრივ ორგანოების უშუალო ჩარევა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობების და ბანკების საქმიანობაში და განხორცი-

# წითელი არმია ა-კ. რესპუბლიკებში

(საკ. კ. პ. ცეკას თეზისებისათვის წითელ არმიის ათი წლის თავის შესახებ)

1. ამიერ-კავკასიაში განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა წითელი არმიის ინტერნაციონალური როლი, წითელი არმიის, როგორც ისეთი ძალის, რომელიც აქტიურად ეხმარება მშრომელებს თავის და საერთაშორისო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, ამ ბურჟუაზიის აგენტურასთან—მენშევიკებთან, დაშნაკელებთან და მუსავატელებთან ბრძოლაში.

ამიერ-კავკ. მუშებსა და გლეხებს, რომლებიც აჯანყდენ ბურჟუაზიის, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში შეიარაღებული დახმარება აღმოუჩინეს მე-11 არმიის ნაწილებმა, რომელიც მოქმედებდა როგორც ფაქტორი, რამაც დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებელი პროცესი ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში.

წითელი არმიის შეიარაღებული დახმარების გარეშე მუსავატელების, მენშევიკების და დაშნაკელების ბატონობა აგრეთვე . იქნებოდა უფრო ხანგრძლივი და ამის გამო უფრო მძიმე გახდება აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელთათვის.

2. კომპარტია, ერთგულად იცავდა რა თავის ძირითად პრინციპებს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დარგში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში თავის უმთავრეს ამოცანად ისახავს ეროვნული ჯარის ნაწილების, როგორც ყველა პროლეტარული რესპუბლიკების მთლიანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის განუყოფელი ნაწილების, შექმნას.

ეროვნული ნაწილების შექმნა ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ. სწარმოებდა თვით ამხ. ლენინის უშუალო დირექტივებით. თავის მიმართვაში საქართველოს კომუნისტებისადმი 1921 წ. 3 მარტს იგი იძლევა შემდეგ დირექტივას: „აუცილებელია მუშებისა და უღარიბესი გლეხების დაჩქარებით შეიარაღება იმ მიზნით, რომ შეიქმნას ქართული წითელი არმია“. ცოტა ამაზე უფრო გვიან იგი ამხ. ორჯონიკიძეს სწერს: „აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქმნას გადაწყვეტილება ქართული წითელი არმიის გაძლიერების შესახებ“.

3. ეროვნული ნაწილების შექმნას ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეხვდა, რომელნიც გამოწვეული იყო მეფის მთავრობის წარსული პოლიტიკით ამიერ-კავკასიის მიმართ. არ გვქონდა სამოსწავლო ნივთები, წესდებები, არ არსებობდა უფროსთა და სათანადო პოლიტიკური შემადგენლობა. ჩვენ გვიხდებოდა ყველაფრის ხელახლად შენება, რომლის დროსაც ვემყარებოდით მუშურ-გლეხური არმიის იმ ნაწილების გამოცდილებას, რომელთაც გადაიტანეს სამოქალაქო ომი.

ამხ. ლენინის დირექტივების შესასრულებლად ამიერ-კავკ. კომპარტიებმა თავისი საუკეთესო ძალები ჩააბეს შეიარაღებული ნაწილების შექმნის საქმეში. მოწყობილ იქნა სკოლები უფროსთა კადრის შესაქმნელად მუშათა და გლეხთაგან. მოწყობილ იქნა სამხედრო-პოლიტიკური სკოლები პოლიტიკურ მუშაკთა სწავლებისათვის. გაჩაღებული მუშაობა სწარმოებდა სამხედრო-პოლიტიკური სწავლებისათვის საჭირო წესდებებისა და სახელმძღვანელოების გადასათარგმნად. მშრომელთა ნებისყოფამ და პარტიის დაუღალავმა ხელმძღვანელობამ სძლია ყველა დაბრკოლებანი და მოგვცა ის შედეგი, რომ შემდეგ მოწყობილი ეროვნული ნაწილები, მუშ.-გლეხ. წითელი არმიის ათი წლის თავზე, სამწყობრო და პოლიტიკური სწავლების მხრივ იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის საერთო მიღწევათა დონეზე.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია შესაძლებელს ხდის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში მიიღონ მონაწილეობა ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის იმ ხალხებმაც, რომელნიც წინედ არ მსახურობდენ არმიაში.

4. პარტიის გავლენის გაძლიერების პროცესი თავის გამოხატულებას პოვებს მუშურ-გლეხური არმიის რიგებშიაც. თუ 1923 წელს არმიაში იყო პარტიის წევრთა და კანდიდატთა 9,2 პროც., 1928 წელში ეს პროცენტი აღწევს 11,4-მდე. კომკავშირელთა რიცხვი 1925 წელში შეადგენდა 9,5 პროც.; 1928 წელში შეადგენს 18,7 პროც.

შერჩევის ამოცანა, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა უფროსთა შემადგენლობის წინაშე მდგარი მოთხოვნანი, უძნელესი ამოცანა იყო ეროვნული ნაწილების შექმნისათვის ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში. ამავე დროს მიღწევანი ამ დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინოა. საშუალო მეთაურთა შემადგენლობის შორის არის პარტიის წევრთა და კანდიდატთა—50,6 პროც.; უმცროს მეთაურთა შემადგენლობის შორის—21,2 პროც., საშუალო მეთაურთა შემადგენლობის შორის არის 21,6 პროცენტი კომკავშირელი და უმცროს მეთაურთა შორის—31,1 პროც. კომკავშირელი. ეს ნათლად მოწმობს პარტიის დიდ გავლენას წითელ-არმიელთა შემადგენლობის აღმზრდელთა ძირითად კადრს შორის. მუშურ-გლეხური არმიის ეროვნული ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის უდიდესი ნაწილია მუშები და გლეხები.

ამასთან არის მნიშვნელოვანი წრე სპეციალისტთა, რომელნიც მთელი თავის ძალ - ღონეს ანდომებენ წითელი ნაწილების შექმნის საქმეს.

აღიზარდა გამოცდილ პოლიტიკურ მუშაკთა მნიშვნელოვანი კადრი, რომელმაც თავისი სიცოცხლე დაუკავშირა მუშაობას წითელი არმიის ნაწილების განმტკიცებისათვის.

5. ფართოდ განვითარდა ეროვნულ ნაწილებში პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ხელს უწყობს მებრძოლი—მოქალაქის აღზრდას. წითელარმიელთა შემადგენლობის 1-მესამედზე მეტი არიან საკლუბო წრეების აქტიური მონაწილენი, ათაზე მეტი სამხედრო, პოლიტიკური, საერთო - საგანმანათლებლო და სხვა ჯგუფები ლენინის კუთხეებთან მუშაობაში აბამენ წითელარმიელთა ქვედა საფეხურის უდიდეს აქტივს. ეროვნული ნაწილების შემადგენლობის 47 პროც. არის აქტიური მკითხველი ბიბლიოთეკებში. ეროვნული ნაწილების პარტიული ორგანიზაციები წევრთა მნიშვნელოვან რაოდენობას აგროვებენ არმიელთა შორის, მათი ჯარში ყოფნის განმავლობაში — საკმაოა აღვნიშნოთ, რომ 1908 წელში დაბადებულ წითელარმიელთა გაწვევის დროს უპარტიოთა რიცხვი შეადგენ და 74,8 პროც., ხოლო მათი დათხოვნის დროს მხოლოდ 61,2 პროც. თუ გაწვევის დროს არის 50 პროც. წერა - კითხვის უცოდინარი, არმიიდან წერა - კითხვის უცოდინრად ბრუნდებიან მხოლოდ ცალკე პირნი, რომელთაც ვერ სძლიეს წერა - კითხვის შესწავლის საქმე.

ყველა ეს ცნობები გვიჩვენებენ, თუ რამდენად ასრულებენ ეროვნული ნაწილები თავის ამოცანას — მებრძოლ - მოქალაქეთა აღზრდის ამოცანას და როგორ უწყობენ ხელს კულტურულ რევოლუციას ამიერ - კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში იმით, რომ სოფელს ყოველ წლიურად აძლევენ არმიაში ყოფნის დროს მომზადებულ საზოგადოებრივ მუშაკთა მნიშვნელოვან კადრს.

6. უდიდეს მიღწევად ეროვნული ნაწილების მშენებლობის საქმეში აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ტერიტორიალური ნაწილების სისტემა, რომელიც საკმაოდ ფართოდ განვითარდა და განმტკიცდა. ტერიტორიალური ნაწილები, როგორც აუცილებელი ელემენტი, შევიდა ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ქალაქებისა და სოფლების მშრომელი მოსახლეობის ცხოვრებაში.

ტერიტორიალური ნაწილების მიერ მოწყობილი სამხედრო კუთხეების ქსელი საკმაოდ მტკიცე ბაზას წარმოადგენს სამხედრო მუშაობისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

კადრის კავშირი ცვალებად შემადგენლობასთან წლითი - წლობით მტკიცდება. მუშურ გლეხური წითელი არმიის მეორე ათი წლის უდიდეს ამოცანას წარმოადგენს ცვალებადთა უფრო ფართოდ ჩაბმა სწავლების საქმეში არმიელთა შეკრების პერიოდში.

7. მუშურ - გლეხური არმიის ნაწილები ამიერ - კავკასიაში, როგორც ეროვნული, ისე რუსული, სავსებით შეეთვისნენ მოსახლეობას, უწევენ მას, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის, კულტურულ და ხანდახან შრომით დახმარებას და ამის გამო სარგებლობენ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა მასების მხურვალე სიმპატიებით.

**საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი.**

# ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მუშა - მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგების მიზნით, მთავრობის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლებიც. კომისიამ ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა მთელ საქართველოში (აფხაზეთისა და აჭარისტანის გამოკლებით).

კომისიამ გამოარკვია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მუშაკების შტატში, პედაგოგიურ პერსონალის გამოკლებით და ავტონომიური რესპუბლიკების გარდა, ირიცხება 5.124 კაცი, სახელმწიფო ბიუჯეტი კი ითვალისწინებს მხოლოდ 4.586 კაცს. ფაქტიურად შტატი ნორმალურზე მეტია 538 კაცით, ანუ 11,7 პროცენტით, რის გამო ხელფასზე თვიური ზედმეტი ხარჯები შეადგენს 21,1 პროც-ს. ზედმეტი ხარჯები უმთავრესად მოდის სახკომისარიატებზე (ცაკი, სახკომსაბჭო, განსახკომი, შინსახკომი, სახელმწ. საგეგმო კომისია, მიწსახკომი, ს. მ. უ. ს., იუსტიციის სახკომისარიატი, ჯანსახკომი და სხვ:) თვიური ხელფასის ფონდი, სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ჩატარების შემდეგ, ფაქტიურ ხელფასზე მეტია 4.132 მან. ანუ 1,2 პროცენტით.

---

ღებულ იქნას საერთო ხელმძღვანელობა.

აღებულ იქნას კურსი მთელი ღარიბი გლეხობის და საშუალო გლეხობის უმრავლესობის უახლოეს დროში კოოპერატიულად შეკავშირებაზე, რისთვისაც გადადებულ იქნას კოოპერაციის მიერ ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირებისათვის გადიდებული თანხები. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მუშაობაში გლეხ - ქალების, და შინამრეწველობის სხვადასხვა დარგებში (მესაქონლეობა, მეფრინველეობა) მომუშავეთა ჩაბმას. საჭიროა გაძლიერებულ იქნას ეგრედწოდებულ „ველურ“ კოოპერატივების ორგანიზაციულად შეკავშირება. გაფართოებულ იქნას სასოფლო - სამეურნეო მანქანების გამქირავებელ პუნქტების ქსელი, განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში ხელმოკლე მეურნეობებისათვის. დროულად ჩაითვალოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სპეციალურ სახეების მოწყობა, როგორც კოოპერატიულ გასაღებისა და მიწოდებიდან საწარმოო კოოპერაციაზე გადასვლის გზა. მოწონებულ იქნას „კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მოწყობა „სოფლის კავშირთან“ და მოწყობილ იქნას აგრეთვე საძეო კოოპერაციის სექცია.

8. საქონლის ბრუნვის დარგში ცეკას პლენუმი იძლევა წინადადებას: 1) უახლოეს ვადაში განხორციელებულ იქნას ყრილობის გადაწყვეტილება სოფლისათვის საქონლის მიწოდების გაძლიერების შესახებ, რისთვისაც სოფელს დაეთმოს შემოზიდულ სამრეწველო საქონლის მთავარი მასსა. 2) შეთანხმებულ იქნას ცალკე ორგანოების დამამზადებელი ოპერაციები, აღებულ იქნას კურსი კერძო დამამზადებლის შემდგომ განდევნაზე, განსაკუთრებით მებაღეობის და მებოსტნეობის პროდუქტების დამზადების დარგში, 3) გადიდებულ და განმტკიცებულ იქნას კოოპერატიული ორგანიზაციები, მიღებულ იქნას საჭირო ზომები განსაზოგადოებულ სავაჭრო სექტორის გადიდებისათვის, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, 4) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეორე ხარისხოვან საქონლის ექსპორტის გაძლიერებას, ამ მიზნისათვის მოეწყოს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების აპარატი, 5) გაგრძელდეს ფასების შემდგომი დაკლება, რაც გატარებულ იქნას არა დაგროვების ხარჯზე, არამედ აპარატის რაციონალიზაციის ხარჯზე და 6) მოგვარებულ იქნას სადუქნო და სარევიზიო კომისიების მუშაობა.

გაძლიერებულ იქნას დახმარება შინა - სამრეწველო კოოპერაციისათვის, რათა მან შესძლოს უახლოეს დროში შეაკავშიროს შინამრეწველთა დაქსაქსული მასსა.

9. სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მიმოსვლის საშუალებათა ფართოდ განვითარებული ქსელი. ამ მიზნით გლეხთა შრომითი ბეგარის გამოყენების გარდა საჭიროდ იქნას ცნობილი რესპუბლიკანური საგზაო ფონდის გაძლიერება საფუძო გადასახადებიდან ანარიცხის დაწესების საშუალებით; ამ ანარიცხის სიდიდის გამორკვევა დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს.

პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებს შავი ზღვის რკინისგზას საქართველოს და მთელი ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობისათვის, რისთვისაც ადგენს, ეთხოვოს სათანადო უმაღლეს ორგანოებს ამ გზის დამთავრებისათვის საჭირო თანხების გადადება.

ელექტრომშენებლობის დარგში საჭიროდ იქნას ცნობილი დამთავრება და თავის დროზე სრულ დატვირთვისათვის მომზადება, როგორც იმ სადგურებისა, რომლებიც უკვე აგებულია; ისე იმ სადგურებისაც, რომლებიც ეხლა შენდება (ზაჰესი, აბჰესი, აწჰესი და რიონჰესი).

უახლოეს წლების აშენებლობის გეგმაში შეტანილ იქნას ჰიდროსადგურების აგება აფხაზეთში და აგრეთვე ეკონომიურად გამართლებულ მცირე სასოფლო - სამეურნეო სადგურების ქსელის განვითარება.

ამასთან ერთად დაევალოს ს. მ. უ. საბჭოს მოაწყოს მუშობა საქართველოს წყლის ენერგეტიულ რესურსების შემდგომი შესწავლისათვის (ფარავნის ტბა, ენგური).

10. ჩვენს წინაშე წამოჭრილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად, კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად, საჭიროა პირველ რიგში გაძლიერებულ იქნას საგეგმო ორგანოების მუშაობა, რისთვისაც ეს ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ კვალიფიციურ მუშაკების საკმაო რაოდენობით, ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს გეგმიანობის გაძლიერებას ადგილობრივ მუშაობაში.

11. პლენუმს დროულად და საჭიროდ მიაჩნია უახლოეს პერიოდში საქართველოს რაიონებად დაყოფა საერთო ეკონომიკის მქონე მაზრების გაერთიანების საფუძველზე, რისთვისაც ავალებს საქართველოს სახკომსაბჭოს დამუშაოს ეს საკითხი ერთი თვის ვადაში.

---

# საკურორტო ყრილობა

## ყრილობის გახსნა

გუშინ, 20 თებერვალს, სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა სრულიად საქართველოს პირველი საორგანიზაციო-სამეცნიერო საკურორტო ყრილობა. ყრილობას ესწრება ყველა კურორტების, სამაზრო აღმასკომების, ავტონომიური ერთეულების და დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები—სულ 300 დელეგატამდე.

### ამხ. ვ. კუტაიძის სიტყვა

მოკლე მისასალმებელი სიტყვით ყრილობას ხსნის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. ვ. კუტაიძე. თავის სიტყვაში ამხ. კუტაიძე ვრცლად ჩერდება ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადასჭრას ყრილობამ.

თავისი სიტყვის დასასრულ ამხ. კუტაიძე აღნიშნავს, რომ თუ წინად საქართველოს კურორტები მხოლოდ პრივილეგიურ კლასების წარმომადგენელთა განცხრომის ადგილად იყო მიჩნეული, საბჭოთა ხელისუფლების დროს კურორტებს ეძლევა სულ სხვა დანიშნულება—ჩვენი კურორტები უნდა გადაიქცეს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის ფაბრიკათ. მიმდინარე ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს ისეთი ღონისძიებები, რომელთა გატარება ცხოვრებაში საქ. კურორტებს გადააქცევს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ერთ უმთავრეს ფაქტორად.

### არჩევნები

ამხ. ვ. კუტაიძის წინადადებით ყრილობა ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს 21 კაცის შემადგენლობით, სამდივნოს, სამანდატო კომისიის და სარედაქციო კოლეგიას.

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობა ერთხმად ირჩევს—ამხ. სტალინს, კალინინს, რიკოვს, ვოროშილოვს, სემაშკოს. ს. ორჯონიკიძეს, ბუხარინს, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, მამია ორახელაშვილს, შ. ელიავას, ლ. ქართველიშვილს, მ. კახიანს და გ. ყურულაშვილს.

არჩევნების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეგლამენტი, რის შემდეგ მოისმინა

### მისალმებები:

ყრილობაზე პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოდის აზერბეიჯანის ჯანსახკომის წარმომადგენელი ექ. ოლეინიკოვი. იგი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ყრილობის მუშაობის შედეგს, ვინაიდან საქართველოში საკურორტო მუშაობას დიდი ისტორია აქვს, ხოლო აზერბეიჯანში ეს კიდევ ახალი საქმეა და ამიტომ გამოცდილებაც მცირეა. შემდეგი მისალმებით გამოდიან აფხაზეთის ჯანსახკომის წარმომადგენელი ანჩაბაძე, აჭარისტანიდან—რუხაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან—პროფ. ნათიშვილი, ჯანსახკომის სამეცნიერო საბჭოს სახელით—პროფ. ალადაშვილი, საქართველოს სამედიცინო საზოგადოებიდან—მ. მიქელაძე, საქ. წითელი ჯვარის საზოგადოებიდან—ექ. ვ. ფანცხავა, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოდან—ექ. აბრამაშვილი, უკრაინის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოდან—ქებურია, თბილისის აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებიდან—ექ. აბაკელია და ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტიდან—პროფ. ლამბარაშვილი ექ. დ. ჯავახიშვილი, ექ. მაისურაძე, ვ. ანდღულაძე (მედსანშრომის კავშირის სახელით) ექ. ლორთქიფანიძე (ქუთაისიდან) და ექ. დავითიანი—კავკასიის სამედიცინო საზოგადოებიდან.

მისალმებების მოსმენის შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა.

# ხელოვნების მუშაკთა მერვე ყრილობა

## საზეიმო სხდომა

გუშინ ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მე-8 ყრილობა რომელმაც დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: ცენტრალურ გამგეობის მუშაობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, განათლების კომისარიატის მოხსენება, მომავალი ამოცანები ორგანიზაციულ სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ დარგებში და არჩევნები.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: სტალინი, ორჯონიკიძე, ტომსკი, მახარაძე, ლუნაჩარსკი, ყურულაშვილი, ლოზოვსკი, ლევანდოვსკი, კანდელაკი.

ამხ. შენტოვის წინადადებით ყრილობამ პატივი სცა კავშირის ძველი წევრის სახელმწიფო ოპერის რეჟისორის ახლად გარდაცვლილ გურესის ხსოვნას.

### ხელოვნების კავშირის მისალმება წითელ არმიას

ხელოვნების კავშირის სახელით წითელი არმიის ათი წლის თავის შესრულების გამო მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. დ. დიასამიძე, რომელიც შემდეგ სიტყვებით მიმართავს ყრილობაზე სტუმრად მოსულ წითელ არმიელებს: ჩვენი ყრილობა სწორედ იმ დროს იხსნება, როდესაც სრულდება სახელოვანი წითელი არმიის ათი წლის თავი და ხუთი წელი, მას შემდეგ, რაც ჩვენმა კავშირმა იკისრა კულტშეფობა წითელ არმიის ნაწილებზე. ხელოვნების მუშაკებმა კარგად იციან წითელი არმიის გმირული წარსული, მისი ღვაწლი და ამაგი სოციალისტური სამშობლოს წინაშე. წითელი არმიისადმი სიყვარული, მეგობრობით გამსჭვალულნი ხელოვნების მუშაკნი მუდამ მოხარული იქნენ სამსახური გაუწიონ მისთვის და შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინათ მისი კულტურული მოთხოვნილება. ჩვენი კავშირი არ გადაუხვევს ერთხელ აღებულ პასუხისმგებლობას და გააგრძელებს იმ სახელოვანი არმიის ერთგულ სამსახურს, რომელიც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე სდგას.

### წითელი არმიის წარმომადგენელთა სიტყვა

წითელი არმიის ნაწილების სახელით ყრილობას მისალმებით მიმართავენ ამხ. მანტურაიშვილი და ამხ. აზბუკოვი, რომელნიც მოკლე მიმოხილვას უკეთებენ წითელი ჯარის ნაწილებში წარმოებულ კულტურულ მუშაობას და განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ როლს, რომელსაც ხელოვნების მუშაკთა კავშირი თამაშობს წითელი არმიის კულტურულ ცხოვრებაში. კავშირი ხელოვნების მუშაკთა და წითელი არმიის შორის,—ამბობს ამხ. აზბუკოვი,—შემთხვევით არ არის. სამოქალაქო ომის პერიოდში წითელ არმიელებს ხშირად გვერდში უდგენ ხელოვნების მუშაკნი, რომელთა მხატვრული სიტყვით აღფრთოვანებული წითელი არმიელები მედგრად მიიწევდენ წინ მშრომელთა ხალხის მტრის გასანადგურებლად“.

წითელ არმიელების სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში დასასრულ მათ უპასუხებს ამხ. შენტოვი, რომელიც ულოცავს წითელ არმიას ათი წლის თავს და უსურვებს მას გამარჯვებას მომავალ ბრძოლებში.

კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოგზავნილ მისასალმებელ დეპეშის მოსმენით თავდება ყრილობის საზეიმო სხდომა.

# ვეტერინარულ მუშაკთა ყრილობა

## პირველი სხდომა

გუშინ საღამოს პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ვეტერინარულ მუშაკთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობა მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა მედსანშრომის კავშირის ც.-გ. თავმჯდომარემ ალ. ჯიჯაძემ.

პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაზე.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობა—საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. ჯიჯაძემ.

მომხსენებელმა ყრილობას გააცნო მედსანშრომის კავშირის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 11.000 კაცამდე. ცენტრალური გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადგილებთან ცოცხალი კავშირის გაბმას. ამ მიზნით ადგილებზე ეწყობოდა ცენტრ. გამგეობის სესიები, იმართებოდა პლენუმები სამაზრო პროფორგანოების მონაწილეობით, ეწყობოდა პროფრწმუნებულებისა და ადგილკომების წარმომადგენელთა თათბირები და სხვა.

კულტმუშაობის მხრივ მომხსენებლის სიტყვით, გასული საანგარიშო პერიოდი უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევათა პერიოდათ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეს და მოჰყავს ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობს 1.134 ექიმი, უმუშევარია მხოლოდ 84 ექიმი, რაც ძალიან მცირე პროცენტად უნდა ჩაითვალოს. კბილის ექიმთა რიცხვი უდრის 224 კაცს, მათ შორის უმუშევარია 25. ვეტერინარულ მუშაკთა რიცხვი უდრის 212 კაცს, მათ შორის არც ერთი უმუშევარი არ არის. უმუშევრობა უფრო დიდია დაბალ პერსონალს შორის და მათთან ერთად უმუშევართა რიცხვი აღწევს 1.600-ამდე.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება სატარიფო-ეკონომიურ საქმიანობაზე, კავშირის წევრთა მუშაობის პირობებზე, ხელფასის ზრდაზე და სხვ.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ვეტსექციის რესპუბლიკანურ ბიუროს წარმომადგენელის ა. კვიტაშვილის მოხსენება სექციის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა შეეხო სექციის ბიუროს საქმიანობის ყველა დარგებს.

ა. კვიტაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

# ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს მეოთხე პლენუმი

## მეორე სხდომა

### კოლხელშეკრულებათა კამპანიის შედეგები

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შეფტელის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების კამპანიის შედეგების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩასატარებლად არ იყო ხელსაყრელი პირობები, რასაც ართულებდა ის გარემოება, რომ თვით ვადა კოლექტიურ ხელშეკრულების კამპანიის დასამთავრებლად ძალიან მოკლე გამოდგა. მიუხედავად ამისა, კამპანია წარმატებით ჩატარდა. დამატებითი ფონდები გამოყენებულ იქნა თავის პირდაპირ დანიშნულების მიხედვით; ფონდები მოხმარდა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებას. სატარიფო რეფორმაში გატარებულია ახალი ცხრილები, სამრეწველო წარმოებებში მუშები გადაყვანილია ყოველდღიურ საათობრივ ხელფასზე და სხვა. კოლხელშეკრულებათა კამპანიაში ჩაბმული იქნენ კავშირის ფართო მასები, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კოლხელშეკრულებათა განხილვაში. იმ კოლხელშეკრულებათა რიცხვი, რომლებიც განსახილველად გადაეცა შრომის სახკომის ორგანოებს, ჩატარებულ კამპანიის დროს ძალიან ნაკლები იყო. მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ სატარიფო რეფორმა გატარებულია არა სავსებით. ზოგიერთ შემთხვევაში მუშათა ფართო მასებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხილვაში არ მიუღიათ მონაწილეობა, სამეურნეო ორგანოები ხშირად მოუმზადებელი აღმოჩნდენ კოლხელშეკრულებათა გადასინჯვისათვის, სამეურნეო მუშაკების მონაწილეობა საზოგადო კრებებზე კოლხელშეკრულებათა განხილვაში უმნიშვნელოა, ხშირია წინანდელი ხელშეკრულებების შეუსრულებლობის შემთხვევები და სხვა.

შემდეგისათვის ამიერ-კავკ. პროფსაბჭო საჭიროდ სცნობს შემდეგ ღონისძიებების მიღებას: ფართო კამპანიის ჩატარებას დადებულ ხელშეკრულებათა ასახსნელად და განსამარტებლად,—ყურადღების გაძლიერებას შრომის დისციპლინის და ნაყოფიერების ამაღლებისადმი, მტკიცე ზედამხედველობის დაწესებას ახლად დადებულ კოლხელშეკრულებათა გატარებაზე, ამ ხელშეკრულებათა მიხედვით გატარებულ ხელფასის რაოდენობის შედეგების აღრიცხვას და სხვ.

რეზოლუციის მიღების შემდეგ პლენუმი დამთავრდა.

# თათბირი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესახებ

გუშინ, საღამოს საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოსთან გაიხსნა ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო აღმასკომების წარმომადგენლების და ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უბნის უფროსების თათბირი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის შესახებ.

### ინჟ. ა. კაციტაძის სიტყვა

თათბირი გახსნა საქ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსმა ინჟ. ა. კაციტაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა ჩვენი გზების მდგომარეობა. მან სთქვა, რომ ჩვენი გზების უმეტესი ნაწილი საჭიროებს შეკეთებას. განსაკუთრებით ადგილობრივ მნიშვნელობის გზები, უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამხ. კაციტაძეს მოჰყავს საბუთები იმის შესახებ, რომ იქ, სადაც უბნის უფროსების მუშაობა შეთანხმებულია სამაზრო აღმასკომებთან — გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხოლო სადაც ასეთ შეთანხმებულობას ადგილი არ აქვს — საწინააღმდეგო სურათი არსებობს.

### ინჟ. ი. ანდრონიკაშვილის მოხსენება

პირველი მოხსენებით თათბირზე გამოვიდა საქ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების განყოფილების გამგე ინჟ. ი. ანდრონიკაშვილი.

მოხსენებას უმეტესად ინსტრუქტიული ხასიათი ჰქონდა. მან პირველ ნაწილში მომხსენებელი შეეხო ამ გზების მდგომარეობას, საიდანაც გამოირკვა, რომ წინასწარ შეკრებილი ცნობებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე საქართველოში უდრის—3.413 კილომეტრს, მაგრამ ეს ცნობები საბოლოოდ არ არის მიჩნეული და საჭიროებს შესწორებას. თუ როგორია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ქსელი ჩვენში საბოლოოდ უნდა გამოირკვეს ამ თათბირზე.

მეორე ნაწილში მომხსენებელმა მიუთითა იმაზე, თუ როგორ უნდა წარმოებდეს მუშაობა ამ გზების მშენებლობაში.

### ფინანსების მიწოდება საგზაო მშენებლობისათვის

შემდეგ გამოვიდა საქ. ფინსახკომის წარმომადგენელი ვ. ორჯონიკიძე, რომელმაც თათბირს გააცნო საგზაო მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების საქმე და კერძოდ საფუძო გადასახადის გამოყენების საკითხი.

როგორც მომხსენებლის სიტყვიდან გამოირკვა საერთო ბიუჯეტში, საგზაო მშენებლობისათვის თანხების მიწოდების ნაწილი წელს საგრძნობლად გაზრდილია.

აქვე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამაზრო აღმასკომების უმეტესი ნაწილი საგზაო მშენებლობისათვის გადადებულ თანხებს იყენებენ არა დანიშნულებისამებრ.

ეს კერძოდ დამტკიცდა აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში თბილისის აღმასკომის მიმართ, რომელსაც ამ მიზნისათვის გადადებული თანხა გამოუყენებია ქალაქის კეთილმოწყობაზე (პლეხანოვის პროსპექტის მოკირწყვლა ჩაუტარებიათ ამ თანხების ხარჯზე) იმ დროს, როდესაც მაზრის ფარგლებში არსებული გზები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

თბილისის მაზრას კი ბიუჯეტის ამ ნაწილიდან ეძლევა ერთი - მესამედი მთელი იმ თანხისა, რომელიც გაცემულია მთელ რესპუბლიკაზე საგზაო მშენებლობისათვის.

### სექციები

დასასრულ თათბირმა აირჩია ოთხი სექცია. რომელთაგან ერთს დაევალა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის საპერსპექტივო და ოპერატიულ გეგმების შედგენის წესის გამომუშავება, მეორეს — ამავე გზებზე მუშაობის წარმოების და ტექნიკური ზედამხედველობის საკითხების დამუშავება, მესამეს—შრომის საგზაო ბეგარის გამოყენების საკითხების განხილვა და მეოთხეს — ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიის საბოლოოდ შედგენა.

სექციები მუშაობას შეუდგებიან დღეიდან. მათი მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება თათბირის მეორე სხდომა, რომელზედაც დეტალურად განიხილავენ თითოეულ სექციის დასკვნებს.

# თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების მორიგი სხდომები.

### კომუნალური სექციის მუშაობა

კომუნალურ სექციის გუშინდელმა სხდომამ მოისმინა ამხ. დოლიძის საანგარიშო მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სექციას ჰყავს 526 წევრი, ჩატარდა სულ 181 სხდომა, რომელზედაც გარჩეულია 391 საკითხი, წევრთა დასწრება საშუალოდ უდრიდა 60-70 პროცენტს. სექციის მიერ გადაწყვეტილია შემდეგი საკითხები: მოწესრიგებულია ტრამვაის მოძრაობის საკითხი, გაიაფებულია ტრამვაის ბილეთები, გაყვანილია წყალსადენი განაპირა უბნებში, გაფართოებულია გოგილის აბანო — აბანოებში შემოღებულია საზმარ ნივთების სტერილიზაცია, სექციის დახმარებით გამომუშავებულია ქუჩებზე მოძრაობის სავალდებულო დადგენილების პროექტი, გადაწყვეტილია მომავალი წლისათვის ელბაქიძის დაღმართის გაგანიერება და ხანპირით ქუჩის გაყვანა კარლ მარქსის ხიდამდე. მიღებულია აგრეთვე ზომები ელექტრო - ქსელის გაყვანის გასაიაფებლად და ტელეფონის ქსელის გასაყვანად განაპირა უბნებში. ქალაქის სხვადასხვა რაიონებში მასსიური მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილია 11 კომისია, რომელშიდაც შედის 470-მდე წევრი და რომელსაც ევალება კანალიზაციის, წყალსადენის, ელექტროგაყვანილობის, კერძო და საბჭოთა სახლების მდგომარეობის შესწავლა და სხვა.

### ჯანმრთელობის სექციის მუშაობა

ჯანმრთელობის სექციამაც მოისმინა თავის მუშაობის საანგარიშო მოხსენება. სექციაში შედის 94 წევრი და 156 მიმაგრებული ამხანაგი მუშათა აქტივიდან. სექციის მიერ გარდა საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობისა ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: გამოკვლეულია:—ჯანმრთელობის განყოფილების აპარატი, ცენტრალური პოლიკლინიკა, ვენეროლოგიური დისპანსერი, ტუბერკულოზის დისპანსერი, როზა ლიუქსემბურგის სახ. ფაბრიკის საბავშვო ბაგები, ცენტრალური საავადმყოფო, მეშვიდე კონსულტაცია, საოლქო სამმართველო, ცენტრალური კლინიკ. ინსტიტუტი, სანიტ. ჰიგიენ. ინსტიტუტი, მალარიის დისპანსერი და თვალის საავადმყოფო, სახლის სანიტარულ უფროსების მოწყობაში ჩაბმულია 85 წევრი, მუდმივ კომისიებში მუშაობდა 12, მუშათა კომისიებში 57, სხვადასხვა ხასიათის დავალებათა შესასრულებლად 42. წევრთა დასწრება სექციის სხდომებზე უდრის 75 პროც. სექციის მიერ მიღებულ დადგენილებათა 60 პროცენტი გატარებულია ცხოვრებაში, 20 პროცენტის გატარება დაკავშირებულია ფინანსიურ შესაძლებლობასთან, მხოლოდ დანარჩენის გაუტარებლობა აიხსნება სათანადო ორგანიზაციების უყურადღებობით.

### საფინანსო სექციაში

### ლომბარდის მუშაობა

საფინანსო სექციამ მოისმინა ლომბარდზე მიმაგრებულ აქტივის მუშაობის შედეგები. აქტივს დაწვრილებით შეუსწავლია ლომბარდის ფინანსიური მდგომარეობა, მუშაობის პირობები, კანცელარია, შტატი და საჭიროდ სცნობს შემდეგ ღონისძიებებს: ლომბარდისათვის საბრუნავ თანხის გადიდებას, აპარატის რაციონალიზაციას, მოსამსახურეთა სრულ დატვირთვას, ხარჯების 20 პროცენტამდე შემცირების ხაზებით გატარებას და სხვ. სექციამ მიმაგრებულ აქტივის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ამავე სხდომაზე სექციამ მოისმინა აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება იმ წინადადების შესახებ, რომელიც სექციის კომისიამ აღმასკომს წარუდგინა ლომბარდის მუშაობის გასაუმჯობესებლად. აღმასკომის პრეზიდიუმი შესაძლებლად სცნობს შემოღებულ იქნას დამგირავებელთა სოციალური აღრიცხვა. ამას თან ერთად ლომბარდის გასული ორი წლის მოგება დაახლოვებით 90 ათას მანეთამდე ლომბარდს რჩება მისი ძირითადი თანხის გასაძლიერებლად. მოგების სწორი აღრიცხვის მიზნით აღმასკომის მიერ საბრუნავ საშუალებათა გასაძლიერებლად გადებულ 221 ათას მანეთს ერიცხება ნორმალური პროცენტი. პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, აგრეთვე მომავალი წლის პირველი კვარტლისათვის ლომბარდის განყოფილების გახსნას პლეხანოვის პროსპექტზე. პრეზიდიუმმა დაადგინა ითხოვოს ქალაქის ბანკს, ა.-წ. მეოთხე კვარტალისათვის გაუხსნას ლომბარდს 50 ათასი მანეთის კრედიტი.

### სკოლების გამოკვლევა და შესწავლა

განათლების სექციამ მოისმინა და დაწვრილებით განიხილა სკოლებზე მიმაგრებულ წევრებისათვის გამომუშავებული კითხვათა ფურცლის სქემის პროექტი. ამ კითხვების სქემის ამოცანას შეადგენს სკოლის სამეურნეო ცხოვრების და პედაგოგიური მუშაობის ყოველმხრივ შესწავლა. პირველი ჯგუფის კითხვები შეეხებიან სასკოლო შენობებისა და ინვენტარის მდგომარეობას, სკოლის ბიუჯეტს, ლაბორატორიების კაბინეტების გამოკვლევას და სხვ.

საკითხების მეორე ჯგუფი საბჭოს წევრს აცნობს სკოლის პედაგოგიურ მუშაობას, წევრს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს პედაგოგიურ საბჭოს საქმიანობას და გაეცნოს სწავლების იმ ახალ მეთოდებს, რომლის შემოღებაც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით.

### ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაცია

სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ მოისმინა ამხ. აკიმოვის მოხსენება ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციის შესახებ, რომელიც, მომხსენებლის გადმოცემით, უკანასკნელ წელს ფინანსიურად შესამჩნევად გამტკიცდა. საბრუნავ თანხებში ასი ათასი მანეთით დაიკლო სესხად აღებულმა საშუალებამ, კოოპერაციამ შესძლო თავისი ქსელის გაფართოება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთელ ხაზზე. ფასები ყოველგვარ საქონელზე — ყველა პუნქტებზე, — გათანაბრებულია. გატარებულია აგრეთვე სრული ათი პროცენტით ფასების დაკლება პირველი საჭიროების საქონელზე. სატრანსპორტო კოოპერაციის ქსელი გაფართოებულია თვით ქალაქში, სადაც მისი სავაჭრო პუნქტები, მიუხედავად ობიექტიური დაბრკოლებებისა, მაინც აკმაყოფილებენ რკინისგზელ მომხმარებლების საჭიროებათა დიდ ნაწილს.

# სასამართლო

### სოფიევებს შეეცვალა სასჯელი

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა ავდი სოფიევს დახვრეტა შეუცვალა ათი წლის თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლიაციით, ამნისტიის შეუფარდებლად.

მამედ სოფიევს 10 წლის თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა ერთი მესამედით.

### მკვლელობა

გთხოვთ შემპატიოთ,—ასეთი სიტყვით მიმართა სასამართლოს ევგენი ურუგაძემ.

რის პატიებას ითხოვს ევგენი ურუგაძე? მან მოკლა ხანჯლით მოქ. ხამხიშ ქაჯაია, რომელსაც არ მოსწონდა, რომ მის გერთან ნინოსთან (ქმარშვილიან ქალთან) რომანი ჰქონდა ურუგაძეს.

სასამართლომ ურუგაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

# შემთხვევები

### ქალის გატაცება

გუშინწინ, საღამოს სოფ. პატარა ლილოს (თბილისის მაზრა) გზაზე მოქ. ლავრენტი ყარაგარაშვილს თავს დაესხა ხანჯლებით შეიარაღებული სამი პირი. ბოროტმოქმედებმა სიკვდილის მუქარით გაიტაცეს ყარაგარაშვილთან ერთად მიმავალი მისი ნათესავი ქალი თამარ კაჭიაშვილი (15 წლისა). მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად და გატაცებულ ქალის აღმოსაჩენად.

### თავდასხმა

გუშინ, საღამოს სოღანლუღის შარა-გზაზე თბილისიდან მიმავალ გლეხებს: ოგანეზ ფუსტის, კარლ ვაისპეკს და მიხეილ დობროვოლსკის თავს დაესხენ შეიარაღებული პირები და სიკვდილის მუქარით გაძარცვეს ისინი.

თავდამსხმელთა ვინაობა გამოურკვეველია.

### დაჭრა

კვირას, 19 თებერვალს, საღამოს შალვა ვახტანგის ძე სიხარულიძემ „ნაგანის“ რევოლვერით მძიმედ დაჭრა ევტიხი ნიკოლოზის ძე მგალობლიშვილი (მცხოვრები მალაქის ქ. № 50). სიხარულიძე დაპატიმრებულია. დაჭრის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

### ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს მინა პარკაძის ბინა (პეტრიაშვილის ქ. № 20); წაიღეს 150 მანეთის ნივთები. ამავე დღეს მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მარიამ სვანიძის ბინა (სასამართლოს ქ. № 8); წაიღეს 215 მანეთის საოჯახო ნივთები. გაქურდეს ელიზბარ კალანდაძის ბინა (სომხის ბაზარი № 29); წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

გუშინ მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მელიტონ მოისწრაფიშვილის ბინა (კლარა ცეტკინის ქ. № 5); წაიღეს 600 მანეთის ნივთები.

# პროფ. ნ. ს. კახიანის დაკრძალვა

კვირას—19 თებერვალს მიწას მიაბარეს მშრომელი ხალხის მეჭირნახულე, იშვიათი დოსტაქარი პროფ. ნიკოლოზ კახიანი.

დილის ათ საათიდან სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურიცხვმა ხალხმა მოიყარა თავი: უნივერსიტეტის ახლო მდებარე მოედნები და ქუჩები გაივსო სტუდენტობით, დიდძალ მუშა-მოსამსახურეებით და თბილისის და რესპუბლიკის ჯანმრთელობის ორგანიზაციების წარმომადგენლებით. 11 საათისათვის მოზღვავებული საზოგადოებით ქუჩების გაჭედვის გამო, მელიქიშვილის ქუჩაზე სრულიად შეჩერდა ტრამვაის მოძრაობა.

კახიანის სიკვდილით სამკურნალო მეცნიერებამ დაჰკარგა საუკეთესო ძალა, ოპერატიულმა ხელოვნებამ საუკეთესო ხელოვანი, მოსწავლე ახალგაზრდობამ იშვიათი მასწავლებელი და საყვარელი მეგობარი. ამ დღეებში ჩვენ ვიდღესასწაულებთ ჩვენი მეცნიერების განმტკიცების ათი წლის თავს. ამ ზეიმს ფიზიკურად ვერ დაესწრება პროფ. კახიანი, მაგრამ მისი ადამიანური ბუნების უკვდავი ნაწილი—მისი მეცნიერული ნაშრომის სახით,—დაამშვენებს ამ ზეიმს, ამხელს ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების მიღწევებს და საუკუნოთ უკვდავჰყოფს მის ხსოვნას ჩვენს შორის.

ფოტო—ა. კოგანის

გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან

### სამოქალაქო პანაშვიდი

განსვენებულის კუბო დასვენებული იყო უნივერსიტეტის შესავალ დარბაზში, რომელიც სამგლოვიაროდ იყო მორთული. კუბოსთან რიგ რიგობით საპატიო ყარაულებად იდგნენ სახელ. უნივერსიტეტის პროფესორები, მასწავლებლები სტუდენტები და საზოგადო მოღვაწეები, ხოლო გამოსვენების წინ საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და შრომის სახ. კომისარი ამხ. ს. თოდრია. 12 საათიდან სამგლოვიარო ნომრებს ასრულებდა ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმებიანი ორკესტრი. სახელმწიფო აკადემიურმა გუნდმა კომ. კ. ფოცხვერიშვილის ხელმძღვანელობით რამოდენიმეჯერ შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნები.

### გამოსვენება უნივერსიტეტიდან

პირველ საათზე განსვენებულის ცხედარი დარბაზიდან გამოასვენეს—საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძემ, ა. კ. მთავრობის თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავამ, საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდ. მოადგ. ამხ. ს. ჯუღელმა, საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ლადო სუხიშვილმა, პროფ. მაჭავარიანმა, პროფ. ქუთათელაძემ, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. ილ. მამულიამ, იუსტ. სახ. კომისარმა ამხ. ი. ვარძიელმა, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ზ. მაჩაიძემ და საქართველოს ფინ. სახ. კომისარმა ამხ. გ. მგალობლიშვილმა.

ცხედარი დაასვენეს უნივერსიტეტის ეზოში, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მთავრობის, სახელმწ. უნივერსიტეტის გამგეობის და სტუდენტობის წარმომადგენლებმა.

### ამხ. ს. თოდრიას სიტყვა

საქართველოს მთავრობის სახელით ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ადამიანის, ნიჭიერი მეცნიერის და საუკეთესო მკურნალის პროფ. კახიანის გარდაცვალების გამო. პროფ. კახიანმა დააობლა როგორც თავისი ოჯახი, ისე ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტი, რომლის ათი წლისთავს წინ უძღვის მისი დაკარგვით გამოწვეული გლოვა. განსაკუთრებით საგრძნობია ეს დანაკლისი მშრომელი ხალხისათვის, რომელსაც იშვიათად ჰყოლია ისეთი გულკეთილი და იმავე დროს ისეთი მცოდნე და გამოცდილი მკურნალი, როგორიც განსვენებული იყო. მით უფრო სამძიმოა ახეთი მოღვაწის დაკარგვა, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც თითზე ჩამოსათვლელი ჰყავს დიდი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი სამეცნიერო ძალები. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც დიდათ აფასებს სახალხოთ თავდადებულ მოღვაწე-მეცნიერებს, გამოსთქვამს თავის გულითადს და განსვენებულის ხსოვნის უკვდავსაყოფად არ დაზოგავს თავის ძალღონეს, შეავსოს მისი გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი.

### სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის წარმომადგენლის ამხ. ძიძიგურის სიტყვა.

ძვირფასო პროფესორო, შენს დაკარგვას მწვავედ იგრძნობს მშრომელი საქართველო, პროლეტარული სტუდენტობა, მთელი სახელმწიფო უნივერსიტეტი და განსაკუთრებით საქირურგიო კათედრა, რომელიც დიდხანს ვერ ეღირსება შენისთანა ხელმძღვანელს. დიდია ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება, მაგრამ შენი უკვდავი ხსოვნა იმედს არ წაგვიკვეთს და შენი ღვაწლით გამხნევებული ძირს არ დავხრით შენ მიერ მაღლა აწეულ მეცნიერების დროშას.

### რკინის გზის საავადმყოფოსთან

სიტყვების დამთავრების შემდეგ პროფესურის, სტუდენტობის და სამკურნალო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ცხედარი წამოასვენეს ა. კ. რკინის გზის საავადმყოფოსაკენ. პროცესიას, რომელსაც ეჭირა მთლიანად მელიქიშვილისქუჩა, წინ მოუძღოდა ამიერ კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები, განსვენებულის ოჯახი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა, ჯანმრთელობის და სამეცნიერო ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენელნი. უკრავდა რამოდენიმე სამხედრო მუსიკა. მელიქიშვილის ქუჩის, ჟორესის, პლეხანოვის პროსპექტის და სადგურის ქუჩების გავლით ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე პროცესიამ მიაღწია რკინის გზის საავადმყოფოს-

სამგლოვიარო პროცესია ლენინის ქუჩაზე

თან, რომლის გარშემო აურაცხელ ხალხს, უმთავრესად რკინის გზელებს მოეყარა თავი. რკინის გზის საავადმყოფოსთან წარმოითქვა რამოდენიმე სიტყვა.

### ექ. ნემსაძის სიტყვა.

რკინის გზის საავადმყოფოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ექ. ნემსაძემ (საავადმყოფოს დირექტორმა), რომელმაც განსვენებული დაახასიათა, როგორც საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე,—რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა რკინის გზის პროლეტარიატს შორის თავის იშვიათი ოპერაციული ხელოვნებით, ავადმყოფებისადმი სათუთი მოპყრობით და ყურადღებით. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე განსვენებულის ღვაწლი, როგორც საუკეთესო პედაგოგის და ახალგაზრდა ექიმთა უბადლო ხელმძღვანელის.

### რკინისგზის პროფკავშირთა წარმომადგენლის სიტყვა

რ. გ. პროფკავშირთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პროფ. კახიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოახმარა მუშათა კლასის ფიზიკურ გაჯანსაღებას. თავისი იშვიათი მზრუნველობით, ამხანაგური მოპყრობით და მასხურა სამართლიანი სიყვარული არა მარტო თბილისის და საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა საწარმოო ცენტრების რკინისგზელთა შორისაც, რომლებმაც პროფ. კახიანის სახით დაჰკარგეს ერთი საუკეთესო მეცნიერი, ჯანმრთელობის ერთგული მუშაკი და გულშემატკივარი ამხანაგი.

რკინისგზის საავადმყოფოსთან სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ფსიქიატრიული საავადმყოფოს გამგე პროფ. ასათიანმა, განსვენებულის ასისტენტმა ექ. ზაქარაიამ, და რკინის გზის საავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფების წარმომადგენელმა.

### დიდუბის სასაფლაოზე

დაახლოვებით ხუთ საათზე განსვენებულის ცხედარი მიასვენეს დიდუბის სასაფლაოზე დამზადებულ სამარესთან, სადაც უკანასკნელად დაიხარა დროშები მისი ცხედრის წინაშე.

აქ დამარხვის წინ სიტყვები წარმოსთქვეს სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის, თბილისის საბჭოს, საქ. პროფკავშირთა საბჭოს და ბაღდათის რაიონის მოსახლეობის წარმომადგენლებმა.

### ამხ. ილ. მამულიას სიტყვა

თბილისის საბჭოს სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ილ. მამულია, რომელიც ასე ახასიათებს განსვენებულს: პროფ. კახიანის გამოცდილ მაჯას არა ერთი მშრომელის სიცოცხლე უხსნია, მას არა ერთი მუშა და გლეხი დაუბრუნებია თავის წარმოებისა და მიწისათვის. მან საქმით დაუფასებელი სამეცნიერო და სამკურნალო მოღვაწეობით დაამტკიცა თავისი უანგარო სიყვარული მუშებისა და გლეხებისადმი. და მის დასაკრძალავად არ არის უკეთესი ადგილი,—ვიდრე დიდუბე,—რომელიც ამ მოკლე ხანში გადაიქცევა ჩვენი წარმოების ცენტრად და მრავალ ათას მუშათა საცხოვრებელ რაიონად. ის, ვინც მუდამ მშრომელ ხალხთან იყო, დეე მას თან დარჩეს განუყრელად.

### ბაღდათის რაიონის წარმომადგენლის სიტყვა

ყველამ იცის, ვინ იყო კახიანი მეცნიერებისა და მუშათა კლასისათვის, მაგრამ ბევრისათვის უცნობია, თუ რას წარმოადგენდა იგი იმ რაიონის გლეხობისათვის, სადაც იგი დაიბადა და გაატარა ბავშობა. ბაღდადის რაიონის გლეხობისათვის იგი იყო თავდადებული მოჭირნახულე, უანგარო გულშემატკივარი, რომელიც ყოველ ზაფხულ უფასო მკურნალად ევლინებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხობას.

ისტორია არ ითმენს სიცარიელეს. იგი აუცილებლად შეავსებს მის მიერ განთავისუფლებულ ადგილს, — მაგრამ ბაღდადის რაიონის გლეხობა, ვინ იცის, როდის ეღირსება ასეთ ძვირფას, თავის წყლულების დამშუშებელ მოამაგეს.

### საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლის ამხ. მაჩაიძის სიტყვა

მუშათა კლასი,—ამბობს ამხ. მაჩაიძე,—რომელსაც ისტორიამ ჩააბარა ხელისუფლება, თავის დიქტატურის განმტკიცებისათვის საჭიროებს სამეცნიერო ძალების დახმარებას.

ფოტო—ა. კოგანის

პროფ. კახიანი პირველი იყო იმ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელიც თავისი ცოდნით და გამოცდილებით გვერდში ამოუდგა მუშათა კლასს და გაუწია მას უანგარო სამსახური. საქართველოს მუშები არ დაივიწყებენ პროფ. კახიანს, როგორც მშრომელი ხალხის მოამაგე მეგობარს.

### დაკრძალვა

ამხ. მაჩაიძის სიტყვის შემდეგ განსვენებულის ცხედარი ჩაუშვეს სამარეში, მრავალი გულმოკლული მეგობრების და ამხანაგების ცრემლებმა დაასველა მისი ახლად გათხრილი საფლავი, რომელიც აურაცხელ სხვადასხვა დაწესებულებების და ამხანაგ-მეგობრებისაგან მიძღვნილ მწვანე ყვავილოვან გვირგვინებით შეიმოსა.

# ქრონიკა

### 8 მარტის აღსანიშნავად

8 მარტის—ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მედსანშრომის კავშირის ცენ. გამგეობამ გადასწყვიტა 1-ლ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტთან გახსნას საბავშო ბაგა, გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან დედათა და ბავშთა კონსულტაცია. კავშირმა აგრეთვე გადასწყვიტა აჭარისტანში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში, ოზურგეთში და ლეჩხუმში მოაწყოს დედათა და ბავშთა კონსულტაციები.

### ა. კ. რკ. გზ. გამგეობის ახალი თავმჯდომარე

ა. კ. რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. პოზდეევი. ამხ. პოზდეევი უკანასკნელ ხანებში იყო ჩრდილოეთ-დასავლეთის რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარეთ.

გუშინ ღამით ამხ. პოზდეევი ჩამოვიდა თბილისში.

ა. კ. რკ. გზათა გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. ივანოვი დანიშნულია ჩრდილოეთ-დასავლეთის რკ. გზათა გამგეობის თავმჯდომარეთ.

### კონფერენცია

ხვალ, საღამოს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება განათლების სამაზრო განყოფილებების გამგეთა მე-6 კონფერენცია. კონფერენციას აგრეთვე დაესწრებიან ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების კომისარიატების წარმომადგენლნი.

კონფერენციის დღის წესრიგი: 1) განათლების სახ. კომისარიატის მუშაობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა—მომხ. ამხ. დ. კანდელაკი, 2) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმა—მომხ. ამხ. მარ. ორახელაშვილი, 3) განათ. კომისარიატის ერთი წლის მუშაობის გეგმა, 4) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხები და სხ.

### საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო შრომის სასახლის დიდ დარბაზში ა.-წ. 21 თებერვლისათვის, გადადებულია და შესდგება ოთხშაბათს, ა.-წ. 22 თებერვალს, საღამოს 6 საათზე. პლენუმი გაიხსნება შრომის სასახლის დიდ დარბაზში. დღის წესრიგშია:

1) მოხსენება აჭარისტანის პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ 1927—28 წელში. (მომხ. ამხ. კუნჭულია).

2) საქპროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება (ამხ. მინაძე).

3) საქპროფსაბჭოს 1927 წლის საფინანსო ანგარიშების და 1928 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

4) ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების დროს საუკეთესოდ მომუშავე ადგილკომების დაჯილდოვება. (ამხ. ანთიძე).

### თბილისის აღმასკომში

◆ ახალი აბანო. აღმასკომმა დაადგინა საბურთალოზე ააგოს ახალი აბანო.

◆ კერამიკული ქარხანა. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება მცხეთაში აგებს კერამიკულ ქარხანას, ქარხანა ამუშავებული იქნება 2 წლის შემდეგ.

◆ საბინაო ამხანაგობები. წელს თბილისში დაარსდა 16 ახალი საბინაო - სააღმშენებლო ამხ.-ბა.

◆ მასწავლებელთა ხელფასის გასადიდებლად თბ. აღმასკომმა განათლების განყოფილებას გადასცა 179.5883 მანეთი.

### სხვადასხვა

◆ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო თედო ბეგიაშვილის წიგნი — „ლიტერატურული საუბრები“ ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის. წიგნს დართული აქვს ლიტერატურული ლექსიკონი.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ერევნიდან—ნიკოგოსოვს, მოსკოვიდან—სრაბიანს, ბაქოდან—პერუხინს, ბათომიდან—ვარშანიძეს, ხარკოვიდან—სანოვიჩს, ლენინაკანიდან—დავიდოვს, ბაქოდან—ბაკურს.

### სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში: ლინოვსკი—ცვალებადელი სოფლად, გვ. 44, ფ. 25 კაპ. ლაგოვსკი—არტილერიის ქვემეხები და ყუმბარები, გვ. 34, ფას. 20 კაპ. ივანოვი—როგორ გადადიან ჯარები მდინარეს, გვ. 32, ფასი 20 კ. ცეიტლინი—რადიოომში გვ. 40. ფასი 25 კ. ხარიტონოვი—წითელი არმია პროლეტარული დიქტატურის მახვილი—ფ. 20 კ. სნეგირიოვი—კავკასიის წითელდროშოვანი არმია. ფ. 15 კაპ. „ქართული მწერლობა“ (სამხ. სალიტ. ჟურნ.) № 1. (იანვარი) ფასი 60 კაპ.

### ჟურნალი „ტეხნიკა და ცხოვრება“

გამოვიდა ჟურნ. „ტეხნიკა და ცხოვრების“ მორიგი ნომერი. შინაარსი: ინჟ. ა. ჩიქოვანი—რიონჰესი; ინჟ. ა. ლემანი—დაწნევის ქვეშ თუჯის პედვის და ჩამოსხმის შესახებ; ნ. ვოზნესენსკი—მარადი მოძრაობის მანქანათა შესახებ; ინჟ. ი. კომპანიონი—სათბობი მასალები, მათი რაციონალური მოხმარება და მრეწველობით ხარჯვა; ინჟ. ს. ფიცხელაური—საბინაო მშენებლობა საქართველოში ექ. ა. ხმალაძე—ვენტილიაციის საკითხი მრეწველობაში მეტეოროლოგიურ ფაქტორის თვალსაზრისით; დ-რი ფრ. ზერგერი—ჰიდროსადგურებთან კაშხალების გათბობა; ინჟ. გ. ბარამიძე—როგორ უნდა აშენდეს შენობა, რომ მიწისძვრამ ვერაფერი დააკლოს; ინჟ. დ. ბერეკაშვილი—ხე-ტყე და ქიმიური დამუშავება; დ. ს—ე—ქაღალდის ქარხნის აგების საკითხისათვის; ტეხნიკის ინფორმაცია, ადგილობრივი ინფორმაცია, პროფესიონალური ცხოვრება, სასარგებლო ცნობები, ვარჯიშობა და პრაქტიკული ამოცანები და ტერმინოლოგია.

# ლიტერატურა

### მოხსენებებისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავის გამო.

მიხ. კახიანი—მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-5 ყრილობაზე, (ცეკას ორი წლის მუშაობის ანგარიში).
მახვეე—ქართულ ემიგრაციის შესახებ.
ფ. მახარაძე—მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში.
მიხეევ—საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში.
ლავ. ქართველიშვილი—დირექტივები საქ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. (მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმზე. გაზ. „კომუნისტი“ № 41—42).
М-амия — Путь грузинской Жиронды.
სერ. ორჯონიკიძე—მენშევიკების ავანტიურა საქართველოში.
ლევ. ღოღობერიძე—ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა.
Шафир — Тайны меньшевистского царства.
Мещеряков — В меньшевистском раю.
რუბენი—ქართული ჟირონდის გახრწნა
კ. სულაქველიძე—რა მოხდა. (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება).
ყარიბი—მეტის ატანა შეუძლებელი.

# რკინისგზეზე

### ახალი ცდები სურამის უღელტეხილზე

გუშინ საღამოს თბილისიდან ხაშურში გაემგზავრა სპეციალური მატარებელი, რომელსაც გაჰყვა ავტომატიური მუხრუჭის გამომგონი ფ. პ. კაზანცევი.

ამ მატარებლით სურამის უღელტეხილზე წარმოებული იქნება ცდები შერეული (ავტომატიური და ხელით) დამუხრუჭებით.

ცდების მიზანია გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია მატარებლების შედგენის გამარტივება ისე, რომ გადიდდეს მოძრავ შემადგენლობას ბრუნვა.

ცდების დროს გამოყენებული იქნება სპეციალური მზომავი ვაგონი. ცდებს უხელმძღვანელებს სპეციალური კომისია ინჟ. გვანცელაძის მეთაურობით და გზათა კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით.

### დაჯახება

18 თებერვალს ღამით სამანევრო მუშაობის დროს სადგ. ბალაჯარაში ერთმანეთს დაეჯახნენ ორთქლმავლები. ორთავე ორთქლმავალი დაზიანდა. ადამიანთა მარცხი არ ყოფილა.

### სისუფთავის დაცვა ვაგონებში

ა. კ. რკინის გზის გამგეობამ კვლავ გასცა განკარგულება სამგზავრო ვაგონებში სისუფთავის დაცვაზე სასტიკი ყურადღების დევნების შესახებ.

შემუშავებულია მტკიცე რეგლამენტი, თუ რომელ სადგურებზე და სახელდობრ როდის უნდა ხდებოდეს ვაგონების დაგვა.

# ხელოვნება

## სახელმწიფო აკადემიური ოპერა.

### „ქეთო და კოტე", მუს. ვ. დოლიძისა

„ქეთო და კოტე"-ს ამ სეზონში პირველ წარმოდგენის დროს (ა. წ. 18 თებერვალს) მაყურებელთა შორის ადგილი ქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა საერთოთ კომიკურ ოპერასა და ოპერეტტას შორის და რომლის ნიშნებია „ქეთო და კოტე"-ს შინაარსში. ჩვენის აზრით, ეს საკითხი სრულიად ამოწურულია იმ გარემოებით, რომ „ქეთო და კოტე" წარმოადგენს სურათს ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრებიდან, არავითარი ფარსის ელემენტები მასში არ მოიპოვება და ამიტომ იგი არის კომიკური ოპერის და არა ოპერეტტას ნიშნების მატარებელი. თუ შევეხებით ამ ოპერის მუსიკალურ შინაარს, დავინახავთ, რომ მისი მრავალი ადგილი არის ზემოთქმულ ყოფა-ცხოვრების სრულიად დამახასიათებელი და შეადგენს ოპერის პერსონაჟების ტიპიურ კუთვნილებას, რა გარემოებას ოპერეტტაში აქვს ადგილი მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. „ქეთო და კოტე"-ში არა აქვს ადგილი ცალკე პერსონაჟების განზრახ გამასხარავებას და აუდიტორიის საღი სიცილი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო უახლოვდება ტიპიურ სინამდვილეს მსახიობთა შემოქმედება. ყველა ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ „ქეთო და კოტე" არის ნამდვილი კომიკური ოპერა და არა ოპერეტტა ან ფარსი.

მეორე საკითხი, თუ რამდენად ჩაითვლება ეს კომიკური ოპერა ქართულ მუსიკის სტილის გამომხატველად—უფრო რთულია, ვინაიდან ჩვენის აზრით, ის საქალაქო-ბაზრული ჰანგები, რომელნიც აუცილებლად ახასიათებენ ოპერის საქალაქო ბაზრულ პერსონაჟებს, ქართული მუსიკის ბუნებრივ წყობის გამომხატველად ვერ ჩაითვლებიან. ქალაქ-ბაზარი საერთოდ ამახინჯებს ყოველ მუსიკის ორიგინალობას, მაგ., შეაქვს მუსიკაში სხვადასხვანაირი შთამავლობის ელემენტები; სწორედ ამისთანა დამახინჯებული მუსიკალური სტილი არის ქალაქ-ბაზრის პერსონაჟების დამახასიათებელი. სხვანაირი მუსიკის შეტანა ოპერაში ავტორის მიერ მოკლებული იქნებოდა სიმართლეს და ჩაითვლებოდა მხატვრულ ნაკლად. იმავე დროს ქალაქ-ბაზრის მუსიკალურ შემოქმედების კომპილიატური ხასიათი, რომელიც სავსებით გატარებულია ვ. დოლიძის ოპერაში,—აშორებს ამ ოპერას ქართულ მუსიკას.

ამ ოპერის წარჩინებად ჩაითვლება შესანიშნავი სცენიური სტრუქტურა, მოქმედების მშვენიერი განვითარება, ჰანგების სხვადასხვანაირობა, მაყურებელთა ყურთა-სმენის და თვალის დაუღალავად თავისკენ მიპყრობა. ოპერის დიდ ნაკლად ჩაითვლება ქართულ სიტყვიერების მუსიკ. მოხაზულობასთან დამამახინჯებელი შეზავება და, ჩვენის აზრით, ავტორი ვალდებულია ოპერის ქართული ტექსტი გადაამუშაოს ისე, რომ ზემოთქმულს ადგილი აღარ ქონდეს. ეს მოსაგები იქნებოდა, როგორც თვით ოპერისათვის ისე ქართული ენის სისუფთავისათვის.

**ალ. წუწუნავას** მიერ ამ ოპერის დადგმის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. ვფიქრობთ, რომ ყველა ქართულ ოპერათა შორის ეს დადგმა ჩაითვლება ალ. წუწუნავას დიდ მხატვრულ ნიჭის საუკეთესო დამამტკიცებლად.

მსახიობთა შემოქმედება ამ საღამოს, როგორც ვოკალობის, ისე სცენიურ განხორციელების მხრივ, სტოვებდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას. მაკარის როლი **შარაშიძეს** მშვენივრად ეხერხება, არ ემჩნევა სცენიურად არავითარი გადაჭარბება და იძლევა კარგ ხმოვანებას. ძალიან კარგია **ვეხაძე** თავად ფალავანდიშვილის როლში შესანიშნავად ასრულებს **ნეიმანი** მაჰანკალ ბაბალეს როლს. ჩვეულებრივად კარგია **ქურხული** კინტოს როლში. **სვანიძეს** კი აკლია მეორე კინტოს როლში უტყუარი ყარაჩოღულობა. **ბლანკმანი** ქეთოს როლს ასრულებს ვოკალურად უნაკლისოდ, მაგრამ ვაჭარ მაკარის „განათლებულ" ქალის სურათს საკმარისად ვერ იძლევა. რაც შეეხება **კავსაძეს** კოტეს როლში, იგი, ჩვენის აზრით, არის ყოველ მხრივ უნაკლო. მოცეკვავე **დიმიტრიევს**, რომელმაც განიმეორა ბალეტმეისტერ სერგეევის მიერ შექმნილი სურათი ცეკვის მასწავლებლისა, სჭირდება მეტი თავისებურობის შეტანა და ცდა საკუთარ შემოქმედებისა.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ-ფაშაევი

**კოტე მელვინეთ-უხუცესი**

## „თეატრი დღეს"

### (ამხ. შვეიცერის—პესიმისტის მოხსენება წ. ა. და ფლოტის სახლში).

კვირას, 19 თებერვალს, წითელ არმიის და ფლოტის კლუბში თბილისის რუსული დრამის რეჟისორმა შვეიცერმა (პესიმისტმა) წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „თეატრი დღეს". მომხსენებელმა ეს თემა დაჰყო სამ მთავარ ნაწილად: რას თამაშობენ (რეპერტუარის საკითხი), როგორ თამაშობენ (თეატრალური ფორმის საკითხები) და ვისთვის თამაშობენ (მაყურებლის საკითხი). ამ სამი ძირითადი საკითხის თვალსაზრისით განიხილა მომხსენებელმა თანამედროვე თეატრის განვითარების გზები—ოქტომბრის რევოლიუციის პირველი წლიდან, ვიდრე უკანასკნელ დრომდე.

ძველი თეატრი,—აცხადებს მომხსენებელი,—თავისი მეშჩანური დრამით და ინდივიდუალურ გმირებით ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების მეორე დღესვე ჰკარგავს თავის მიმზიდველობას და თანდათან სულს ჰლაფავს. იწყება ახალი თემის, ახალი შინაარსის ძებნა. თეატრალური ხელოვნების ძიების პირველ პერიოდს ახასიათებს განყენებულ—კოსმიურ რევოლიუციონური თემების გაშლა. ჩნდებიან პიესები ზოგადი რევოლიუციონური ლოზუნგებით, სქემატიურ ჩარჩოში მოცემულ უსისხლოხორცო გმირებით. თანდათანობით ამ ახალ იდეებით გამსჭვალულ რეპერტუარს ხორცი ესხმის, ივსება ყოველდღიური შინაარსით,—კოსმიურ-განყენებულ იდეებიდან თანდათან ხდება უფრო საჭირ-ბოროტო კონკრეტულ თემებზე გადასვლა. ამ პერიოდში პიესებს აკლია დრამატურგიული ღირსებები, სამაგიეროდ დაჯილდოვებული არიან რეალურ ცხოვრებასთან დაახლოვების თვისებით, საჭირბოროტო საკითხების რეალური ტრაქტოვკით წლიდან-წლამდე ეს პროცესი თანდათან უფრო ღრმავდება. უკვე გამოხატულ ახალი თემის დამუშავებაში ებმებიან მწერალთა უფრო და უფრო მეტი კადრები, ნაყოფიერება დრამატურგიის სფეროში უფრო და უფრო იზრდება. ახალი რეპერტუარის განვითარების ამ სტადიას ახასიათებს ის, რომ დრამატურგობას ხელს ჰკიდებენ საბჭოთა ისეთი მწერლებიც, რომელნიც საზოგადოებაში ცნობილი იყვნენ, როგორც მხატვრული პროზის ნიჭიერი ავტორები (ვს. ივანოვი, ტრენევი, ბაბელი, ლეონოვი და ლავრენევი). ეს პროცესი, რომლის უკანასკნელი პერიოდის ნაყოფს წარმოადგენს ლავრენევის პიესა „რღვევა"—ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, იგი ისევ ძლიერდება და ღრმავდება, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალი რეპერტუარის შექმნისაკენ უკვე გაკაფული გზა უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო ბრწყინვალე მიღწევებით დაგვაჯილდოვებს.

როგორ თამაშობენ ჩვენი თეატრები, ე. ი. როგორია თეატრალური ფორმების განვითარების ისტორია ამ ათი წლის განმავლობაში? ოქტომბრის პირველ წლებში ძველი აკადემიური თეატრები არ ღალატობდნენ თავიანთ ტრადიციებს და კაი ხანს შერჩენ წინად გამომუშავებულ თეატრალურ ფორმებს. ამავე დროს იქმნებიან ახალი თეატრები—უმთავრესად ახალი ფორმების ძიების საფუძველზე. მეიერხოლდისა და მოსკოვის პროფსაბჭოს თეატრი სცდილობენ ახალ ფორმებში განასახიერონ არა მარტო ახალი დრამატურგიის პროდუქცია, არამედ კლასიკოსების ნაწარმოებნიც. მათ შესძლეს თეატრის ფორმალური განახლება, თუმცა ადგილი ჰქონდა ულტრა-მემარცხენე გადახრებსაც. ახალმა თეატრებმა იმდენად განამტკიცეს თავიანთი პოზიციები, რომ რამოდენიმედ მათი ფორმალური გავლენის ქვეშ მოექცენ ძველი აკადემიური თეატრებიც. ამჟამად შემდეგ მოვლენას აქვს ადგილი: ე. წ. მემარცხენე თეატრები იხრებიან მარჯვნივ, ხოლო „მემარჯვენენი"—მარცხნივ და აშკარად ხდება უკვე გამონახულ თეატრალურ ფორმების სტაბილიზაცია—მტკიცდება თეატრის სინტეთიური ფორმა რიტმის, მუსიკის, განათების და სხვა ტეხნიკურ მიღწევათა თანაბარი გამოყენების საფუძველზე.

ასეთივე ევოლიუცია განიცადა თანამედროვე თეატრმა მაყურებლის მხრივ. რევოლიუციის წინადროინდელი თეატრების მაყურებელს წარმოადგენდა ინდივიდუალური, უორგანიზაციო, ე. წ. სტიქიური აუდიტორია. მასა წ ნაწილი თეატრებისა იყო ჭრელი, უსახო, გაურკვეველი. თეატრს და აუდიტორიას შორის შუამავალი იყო სალარო, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გაჩნდა ახალი მაყურებელი, დაიწყო მუშაობა ორგანიზაციულ აუდიტორიაზე, პროფორგანიზაციების საშუალებით თეატრის აუდიტორიაში იჭრება ორგანიზაციული მასა, რომელიც თეატრს აძლევს თავის კლასიურ ხასიათს, ამოქმედებს თავისი კლასიური დაკვეთის მიხედვით. ეს პროცესი თანდათან ძლიერდება და ღრმავდება.

ასეთია ამხ. პესიმისტის მოხსენების შინაარსი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დრამატურგმა ლავრენევმა, შესტოვმა, ანჩარსკიმ, სიტკოვსკიმ და ეციკოვმა,—რომელნიც დაეთანხმენ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ მთავარ დებულებებს—თანამედროვე თეატრის განვითარების შესახებ.

**ვ—ნი.**

## ხელოვნების ქრონიკა

### „ქმარი ხუთი ცოლისა"

ოთხშაბათს, 22 თებერვალს, მუშათა თეატრში ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება ორიგინალური კომედია-სატირა თავგზანასი: „ქმარი ხუთი ცოლისა" ანუ „უცნაური რეჟისორი". პიესა აშენებულია ანტონოვის ცნობილ კომედიის ქარგაზე.

წარმოდგენა ჩატარებული იქნება გროტესკულ სტილით. მთავარ როლებში: **შ. გომელაური, მურუსიძე, რომანიშვილი, კვანტალიანი, აბესაძე და სხ.**

**— დიდი კონცერტი.** დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი კონცერტი-საღამო. მთელი შემოსავალი გადაიდება უცხო-ენათა უმაღლეს კურსების ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

**— „რღვევა" ოპერის თეატრში.** სამშაბათს, 28 თებერვალს ოპერის თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

**— თამარ წერეთლის კონცერტი.** 27 თებერვალს და 5 მარტს ოპერის თეატრში გაიმართება თამარ წერეთლის კონცერტი.

**—** მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

**—** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „აიდა".

**— „რღვევა".** რუსთაველის თეატრში დღეს და ხუთშაბათს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

**— პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში** ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", ს. ზუბურიშვილის რეჟისორობით.

# ბიბლიოგრაფია

## „ФИНАНСОВАЯ ПОЛИТИКА СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ ЗА 10 ЛЕТ».

გვ. 102 ფ. 20 კ.

წინამდებარე ბროშიურა ღირსია აუცილებლად მკითხველის ყურადღებისა. მასში მოთავსებულია რამოდენიმე ავტორის მოკლე, მაგრამ საინტერესო მიმოხილვა საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკისა გასული ათი წლის განმავლობაში. ამ კრებულის მიზანია—როგორც რედაქცია ლაპარაკობს—გააცნოს მკითხველს მოკლე ისტორია საბჭოთა ფინანსებისა და ის მიღწევანი, რომელიც გვაქვს ჩვენ საფინანსო პოლიტიკის სხვადასხვა დარგში. ასეთია მაგ. შედეგები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის, სახელმწიფო კრედიტის, ფულის ბრუნვის და სხვა დარგებში. ამასთანავე ერთად კრებულში გარკვეულია ის ამოცანებიც, რომელიც აქვს დასახული საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკის სფეროში.

როგორც ვიცით, საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკამ განვლო რამოდენიმე საფეხური. ეს საფეხურებია: „სამხედრო კომუნიზმის" პერიოდი, მეორეა—ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლები, სანამ შეიქმნებოდა ფულის მტკიცე ნიშანი, მესამე პერიოდი ერთგვარი მოსამზადებელი ხანა იყო ფულის რეფორმის მოსახდენად, ხოლო მეოთხე ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირში შემოღებული იქნა ფულის მტკიცე ერთეული.

კრებულში მოთავსებულ წერილების ავტორნიც სწორედ ამ პერიოდებს განიხილავენ და აცნობენ მკითხველს გადასახადების, ფულის ბრუნვის, ბიუჯეტის და კრედიტის სფეროში მომხდარ ცვლილებებს. კრებული იხსნება ამხ. ბრონსკის წერილით „საფინანსო პოლიტიკა ათი წლის განმავლობაში". ავტორი ჩერდება იმ პერიოდზე, როდესაც მოხდა ფულის არაჩვეულებრივი, ისტორიაში გაუგონარი გაფასება. ეს მდგომარეობა საბაბი შეიქნა, რათა წამოჭრილიყო ფულის სავსებით თავიდან მოცილების, მეურნეობის უფულო სისტემის შესაძლებლობის თეორია. „1919 წელში—ლაპარაკობს ავტორი,—წამოიჭრა ფულად სისტემიდან საბუჰალტერო ანგარიშზე გადასვლის შეხედულება, წამოიჭრა „შრომის ბარათების"; ე. წ. ტრედების შემოღების აზრი. მაგრამ ამასთანავე ერთად დავიწყებულ იქნა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მრავალი მილიონი წვრილი, კერძო მეურნეობა, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ ქვეყნის წარმოებაში. დავიწყებულ იქნა, რომ ფულადი სისტემა ისპობა მეურნეობის საქონლურ ხასიათთან, კლასების მოსპობასთან ერთად. ფულის განდევნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონელი იქცევა პროდუქტათ და ნაწილდება გეგმისებურათ და როდესაც გეგმიანად ხდება ქვეყნის საწარმოო ძალების გადაადგილება".

ლენინი ამხ. ბრონსკის თქმით, ილაშქრებდა იმ შემცდარი აზრის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლებლად სცნობდა ფულის სავსებით უკუგდებას. ამხ. ლენინის შეხედულებით უფულო მეურნეობა უტოპიაა მანამ სანამ საქმე გვაქვს საქონლის გაცვლა-გამოცვლასთან და სანამ არ გაგვინხორციელებია [illegible] პროდუქტთა [illegible] გაცვლა-გამოცვლა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კი, „სამხედრო კომუნიზმის" ნატურალურ გაცვლა-გამოცვლის მაგიერ კვლავ შემოიღო თუმცა სულ სხვა პირობებში სწორე საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

ამიტომ საჭირო გახდა თითონ მეურნეობაც, ფულის ბრუნვის დაკანონება, რომელსაც სამსახური უნდა გაეწია საქონლის ბრუნვისათვის. ამან კი გამოიწვია ძიება მტკიცე ფულის ერთეულისა, ნატურალიზაციაქმნილ გადასახადების ფულად საფუძველზე დაყრდნობა და საერთოდ ყოველგვარი ანგარიშის წარმოება ქვეყანაში მტკიცე ფულის ნიშნებით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკიდან მთელი 3 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა მტკიცე ფულის ერთეული და ამით აიხსნება მრავალი რეფორმის ცდა, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ ხნის განმავლობაში. მრავალი ცდა, ბოლოს დაგვირგვინდა მყარ საბჭოთა ვალიუტის შექმნით. „ახალი ფული უნდა ყოფილიყო გამოშვებული საქონლის რაოდენობის ზრდასთან და ქვეყნის ყველა ეკონომიურ შესაძლებლობათა გაშლასთან ერთად".

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ მოხდა ძირითადი ცვლილებანი არა მარტო ფულის ბრუნვის და გადასახადების, არამედ ბიუჯეტის და კრედიტის სფეროშიც. ბიუჯეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ გვქონია მანამდე, სანამ არ იქნა შექმნილი ფულის მტკიცე ერთეული, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საიმედო გამზომი. შეუძლებელი იყო სწორი ბიუჯეტის შედგენა „სამხედრო კომუნიზმის" დროს, როდესაც არსებობდა სასურსათო გაწერა და სახელმწიფოს შემოსავლის ყველა წყაროები ნატურალიზაციაქმნილი იყო. ბიუჯეტი ვერ შეიქმნებოდა ვერც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, როდესაც ფულის სრული გაფასება მოხდა და მარცხით დამთავრდა ფულის გამტკიცების პირველი ცდები. საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის წინა პერიოდების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა, გარდა ამისა მისი შერეული ხასიათი. ადგილობრივი ბიუჯეტის გამოუყოფლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მკაცრი ცენტრალიზაციის გამო და [illegible] „ფულად წყაროებთან ერთად ბიუჯეტის შემადგენლობაში ისეთი წყაროების შეტანა, რომელნიც წარმოადგენდნენ მხოლოდ ნატურალურ შემოსავალთა პირობით ფულად ექვივალენტებს".

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საკრედიტო სისტემამ. აშკარაა, ვიდრე ფულადი მეურნეობა არ იყო აღდგენილი შეუძლებელი ხდებოდა საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებაც, საკრედიტო მეურნეობის შექმნა. ამიტომ ფულად მეურნეობის აღდგენას—როგორც ლაპარაკობს კრებული ერთ-ერთ წერილში ამხ. ლიფშიცი მოჰყვა საკრედიტო მეურნეობის შექმნა. აღდგენილ იქნა თითქმის ყველა სახე კრედიტის, რომელიც მეფის დროს არსებობდა, (როგორიცაა: სახელმწიფო კრედიტი, კომუნალური, კოოპერატიული, კერძო, კერძო მეურნეული), მაგრამ ისინი სულ სხვაგვარ პრინციპზეა აგებული და სულ სხვა მიზნებს ემსახურება, ვიდრე კაპიტალისტურ პირობებში. განსაკუთრებით მცირე ასპარეზი დაეთმო კერძო მეურნეულ კრედიტს, რადგან ჩვენში მეურნეობის ყველა დარგებში იმდენად შევიწროებულია კაპიტალისტური ელემენტი, რომ ის სულ უმნიშვნელო როლს თამაშობს. კრედიტი საბჭოთა სახელმწიფოში (გარდა კერძო მეურნეობისა) მიზნად ისახავს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის განვითარებას, კოოპერაციისათვის დახმარების გაწევას, მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის ხელის შეწყობას და საშუალო გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენით სოფლად დიფერენციაციის სასურველი გზით წარმართვას და სხვა.

ასეთია კრებულში მოთავსებულ წერილების დედა აზრი. ჩვენ ფრიად საჭიროთ მიგვაჩნია მისი თარგმნა ქართულ ენაზე.

**დ. გვაზავა.**

# კინო

## დისპუტი კინოზე

კვირას, 19 თებერვალს, ხელოვანთა სასახლეში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების გაერთიანებულ სხდომაზე ამხ. ვ. სუტირინმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა კინემატოგრაფიისა და პროლეტარულ მწერლობის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია სწრაფი ნაბიჯით იზრდება, მაგრამ ამ ზრდას თან სდევს ზოგიერთი შეცდომები, რომლებიც გამომდინარეობს ორი მომენტიდან: კინემატოგრაფიის თეორიიდან და პრაქტიკიდან (სცენარის და კინო-მუშაკების კადრების საკითხი).

სცენარის საკითხი მწვავედ სდგას როგორც ჩვენში, ისე ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ამ კრიზისის მიზეზები სხვადასხვაა. ამერიკასა და ევროპაში კინომ ამოწურა ყველა თემები, თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურული ცხოვრება კი აღარ იძლევა მასალას სცენარისათვის. სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში. რევოლიუციონური ცხოვრება უამრავ მასალას იძლევა კინო-სცენარისათვის. მაგრამ ჩვენში თუ მაინც აქვს ადგილი სცენარების კრიზისს, ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: ჩვენ გვყავს პროლეტარული იდეოლოგიის მატარებელი მუშაკები, რომლებსაც შეუძლიათ ბევრი რამ საინტერესო სთქვან, მაგრამ ისინი არ იცნობენ სცენარის შედგენის ტეხნიკას.

ამავე დროს არის ხალხი, რომელიც იცნობს კინემატოგრაფიის ტეხნიკას, მაგრამ მათში არ არის გამომუშავებული მტკიცე პროლეტარული იდეოლოგია. აქედან, თითქოს, გამოდის, რომ შეიძლება ამ ორი კატეგორიის ხალხის ერთად მუშაობა. მაგრამ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს ფორმა მუშაობისა მისაღები არ არის. საჭიროა ერთი ადამიანი, რომელსაც ექნება რევოლიუციონური იდეოლოგია და ეცოდინება სცენარის შედგენის ტეხნიკაც.

მეორე საკითხია კინო-მუშაკების კადრები. ჩვენ გვყავს ძველი კინემატოგრაფისტები, რომლებიც ტეხნიკურად მომზადებული არიან, მაგრამ იდეოლოგიურად ვერ არიან მტკიცე. ამავე დროს არიან ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც საბჭოთა პირობებში აღიზარდნენ; მათ შეთვისებული აქვთ რევოლიუციონური იდეოლოგია. მათი ტეხნიკური მომზადებაც სათანადო სიმაღლეზეა. აი ამ მუშაკებისათვის ხელის შეწყობა უნდა შეადგენდეს ჩვენს ამოცანას.

შეცდომების მეორე წყაროა საბჭოთა კინემატოგრაფიის თეორიის უქონლობა. ეს თეორია ეხლა იქმნება. ხშირად ამ თეორიას ქმნის ისეთი ხალხი, რომელიც ახლო არ სდგას ჩვენთან.

საბჭოთა კინემატოგრაფიის თეორიის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ე. წ. ფორმალისტები (ლეფის მიმდევრები), რომლებიც ამბობენ, რომ კინოში მთავარია ატრაქციონების მონტაჟი, ე. ი. საგნების ისე დალაგება და მოვლენების ისე განვითარება, რომ გავლენა მოახდინო მაყურებლის ფსიქო-ფიზიოლოგიურ განცდებზე. ეს თეორია რამოდენიმეთ უახლოვდება საფრანგეთის ახალგაზრდა კინემატოგრაფიის თეორიას, რომელიც გულისხმობს იდეის განდევნას კინემატოგრაფიიდან და კინოს „ხედვითი მუსიკათ" გადაქცევას. ასეთ თეორია ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კინო-სურათები, რომლებიც გავლენას მოახდენენ უფრო მაყურებლის შეგნებაზე, ვიდრე მის ფსიქო-ფიზიოლოგიურ განცდებზე.

ზემო ნათქვამიდან გამომდინარეობს სამი ამოცანა პროლეტარულ მწერლებისათვის: ისინი უნდა დაუახლოვდენ კინოს, შეისწავლონ სცენარის შედგენის ტეხნიკა და შეუდგენ სცენარების წერას; მათ უნდა გამოჰყონ თავისი რიგებიდან კინოსათვის სასარგებლო მუშაკები და, ბოლოს, უნდა იბრძოლონ საბჭოთა კინემატოგრაფიის განმტკიცებისათვის.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ხალდოვმა და მაგერმა.** ორატორები აღნიშნავდენ, რომ საქართველოს სახკინმრეწვსა და პროლეტარულ მწერლებს შორის დღემდე არ იყო საერთო ენა. სახკინმრეწვი გაურბოდა მათთან თანამშრომლობას. საჭიროა დაირღვეს ის კედელი, რომელიც მათ ჰყოფს ერთმანეთისაგან. აუცილებელია აგრეთვე კინო-მუშაკების ახალი კადრების მომზადება მუშა-ახალგაზრდობიდან.

# შრომის ბირჟაში

დღეს, 21 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

**კვალიფიკაციურ მუშაკთა პირველი სექციიდან:** არამ ბუნიატოვი, შალვა ჯაფარიძე, გიორგი ვარდიძე, ვლადიმერ ჯიხაძე, ვლადიმერ მაისურაძე, გიორგი კასრაძე და მოსე დათიკაშვილი.

**შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ნატო შახკალიანი, სოფიო იგრაკი, მარია უიდირიხინა, ევდოკია სელივანოვა, თეოდორა რემიზოვი, ნიკოლოზ მელაძე, კოსტა წერეთელი, ლადო ჯავახიშვილი და ეფემია ტრეტიაკოვა.

**მომუშავე მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** მიხეილ გალიცკიხი და ცელიტოი ხადარაია.

ზემოაღნიშნული უმუშევრები უნდა გამოცხადდენ თბილისის შრომის ბირჟაში დილის 8 საათისათვის.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის შესახებ** კლუბებში და წარმოებებში მოხსენებების ჩასატარებლად, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი გზავნის და ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს.

**პირველ რაიკომში:** ვარძიელს, ს. მამულიას, გიორგი სტურუას, ანდრო დოლიძეს, ალ. გეგეჭკორს, ბედიას, მაჩაიძეს, ბარნაბე ადამიძეს, ს. ჯულელს.

**მეორე რაიკომში:** იმედაძეს, ხაცკევიჩს, მარიამ ორახელაშვილს, ხვედელიძეს (საქართველოს პროფსაბჭო) მ. მგალობლიშვილს, გობეჩიას, ავაქოვს (ს. მ. უ. ს.) და ლისოვსკის (საქ. კ. პ. (ბ) ამ. კავ. საოლქო კომ).

**მესამე რაიკომში:** ადამიანს, სოსიანს, ივანოვ კავკასკის, ბეჟანიანს, ნიკ. მახარაძეს (ცეკა), აფციაურს, გოდაბრელიძეს, ჰუსეინოვს და შირვანსკის.

**მეოთხე რაიკომში:** მათიკაშვილს, პიასეცკის, ბაგიროვს (ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმ.) მესხის, მთვარელიძეს, (ცენტრ. პორტსკოლა) ბუდილევს, კ. მეგრელიძეს, ხარაბაძეს, კაკაბაძეს („სოფლის კავშირი") დარახველიძეს, ფირალიშვილს, ს. თოდრიას, ვ. ბოლქვაძეს, ათაბეკოვს, სუტირინს; ღენტორ რუხაძეს და გულიაიანს.

**დღეს, 21 თებერვალს დღის პირველ საათზე** შესდგება სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრ კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები. საღამოს ექვს საათზე კი შესდგება აღნიშნულ ფაკულტეტის უჯრედის მორიგი კრება.

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. კვირიკაძესთან.

ხორკელია, გოლაშვილი, დგოიანი, ა. ბახტაძე, ზაითარია, მგალობლიშვილი, მერდინაშვილი; ლეონტი სიმონისძე საბანაძე და ნიკოლოზ ე. ხუციშვილი.

დასახელებულ ამხანაგების თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში ვთხოვთ სათანადო პარტ ორგანიზაციებს შეგვატყობინონ მათი სამსახურისა ან ბინის მისამართი.

**დღეს, 21 თებერვალს, საღამოს შვიდ საათზე** შესდგება სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

**საქართველოს ახ. ლ. კ. კ. თბილისის საკონფლიქტო კომისია** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 21 თებერვალს, დღის სამ საათამდე თბილისის კომიტეტში ამხ. მღალაშვილთან.

ალექს. ჯაფარიძე, (სახ. უნივერსიტ.) ნიკოლოზ მეტრეველი (ქართული მუშფაკი) მიხეილ უუკოვი, (ამ. კ. რკ. გზ. სალიანდაგო სამხ.). რომანოზ გოჩიაშვილი, ზუბოვი (მელითონე, მეორე რაიონიდან) და ალექსანდრე ბურდული (საბუხჰალტერო კურსებიდან).

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ანგარიშწარმოების კურსებზე გაგზავნილ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 21 თებერვალს, დილის ათ საათზე ამხ. თარხანოვთან.

ალექსანდრე სერგოსძე ქათამაძე, ნოე ერმოლოოზისძე ფოფხაძე ქეთევან ცაგარელი, პავლე მალაქიასძე კაპანაძე, ივანე ნესტორისძე ეფრემიძე, ალექსანდრე ანდრიასძე რამიშვილი, შალვა ტარასისძე გელაშვილი, მიხეილ სარდიონისძე გაბუნია, სერგო ალექსანდრესძე ჯარიშნელოვი, დავით სამსონისძე შარვაშიძე, იუსტინე ნესტორისძე ნადარეიშვილი, ალექსანდრე თედორეს ძე კულიაბინი, მარია იოსების ასული მალაქაშვილი, ერმოლოზ ლევარსისძე გვარჯალაძე, რომანოზ ბეგლარისძე გოგიშვილი, ალექსანდრე სერგოსძე სარქისოვი, კონსტანტინე ედიშერისძე ვაშაძე, მარია ივანეს ასული სიკიცკაია, მალხაზ გრიგოლისძე ფარულაია, მაიერ სუვინისძე პრუტი, მარია ალექსანდრეს ასული სუკიასოვა, ეკატერინე ალექსანდრეს ასული კანდელაკი, ლევან ავეტისძე ვართანოვი. მიხეილ ფილ. ჩომახიძე, გიორგი დავითისძე დავითიანი და ვალენტინე სიმონისძე ტატარინცევი.

---

სახელმწიფო აკადემიურ საოპერო თეატრის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ორშაბათს, 20 თებერვალს, ღამის 3 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა სცენის უღალო მუშაკი, ამხანაგი და მეგობარი არტისტი

**არკადი აკიმის-ძე გურესი**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ნ. 653

---

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მართველობა ღრმა მწუხარებით აუწყებს, რომ 20 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა ხელოვნების ერთგული მუშაკი სახელმწიფო აკადემ. ოპერის რეჟისორი

**არკადი გურესი**

---

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: დედა დესპინე, ძმები: ნიკოლოზ და რაჟდენ; რძალი: ლიდა; დები: ნინა შენგელიასი, რაისა ფასეიშვილისა და ნადია სირაძისა; ბიძები: ილარიონ, გიორგი და ლუკა; ბიძაშვილები: პარმენ, სევასტი, ალექსანდრე, გალინა, კესო, და ანიკო, სიძეები: კონსტანტინე შენგელია, მიხაკო ფასეიშვილი და ყაისარ სირაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 19 თებერვალს, დილის 11 საათზე ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**ვასო (ვასილი) სამსონის-ძე ბახტაძე**

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 23 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფ. საჭილაოში (მარანი) (სენაკის მაზ.), ყოფილ წმინდა გიორგის სასაფლაოზე, სადაც გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 649

---

გულდათუთქულნი და თავზარდაცემულნი დედ-მამა ლავრენტი და არეთა კალანდარიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 19 თებერვალს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძვირფასი, ერთად ერთი ნუგეში ოჯახისა ქალიშვილი

**საშა ლავრენტის ასული კალანდარიშვილი**

რომლის ტირილის და დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირა, 26 თებერვალი, დ. ხობი (ზუგდიდის მაზრა). 1544

---

ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს [illegible] და ამხანაგის

**დარიკო ივანეს ასულის თენიეშვილის**

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ლენინგრადის ქუჩიდან № 1. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 21 თებერვალს, კუკიის სასაფლაოზე. 1553

---

უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი პირადი მეგობრის ამხ. ვალოდია თენიეშვილის მეუღლის

**დარიკო ივანეს ასულის თენიეშვილის**

უდროოთ გარდაცვალების გამო: ვანიჩკა ბაქრაძე, პიმენ სოხაძე, შალვა ჩანტლაძე, ვანო ცერცვაძე, ილიანე ჯანელიძე, გიორგი ლეიაშვილი, ვარლამ პაპავა, სიმონ ხუნდაძე, ვანიჩკა ღოლობერიძე, ალექსანდრე რევია, სევასტი ბაჟელიძე, აკაკი ოჩიგავა, ვანო ბაღდადაშვილი. ნ. 655

---

ღრმათ დამწუხრებულნი ამხანაგები და მეგობრები: რაისა მარტიროსოვა, გაიანე ქაჯაია, ანიჩკა (ანეტა) გორგაძე, ტასიკო მაჭავარიანი, მარო და ლენა სუხიშვილები მწუხარებით ვგლოვობთ ძვირფას მეგობრის და იშვიათ ადამიანის

**დარიკო (დარია) ივანეს ასული თენიეშვილის**

უდროოდ და მოულოდნელად დაკარგვას. ნ. 655

---

ღრმათ დამწუხრებულნი: ქმარი ვალოდია (ვლადიმერ), დედა ალათი, ძმა სოლომონ, რძალი მარუსია თენიეშვილები, სიძე ილიკო ქზუყვაძე ცოლით მაშიკოთი და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს: პირველი საყვარელი ცოლის, დანარჩენები საყვარელი რძლის და ბიცოლის

**დარიკო ივანეს ასულის თენიეშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე, სამშაბათს, 21 თებერვალს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლენინგრადის ქ. № 1 (ყოფ. პეტროგრადის), დღის სრულ 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათიდან. ნ. 640 3—3

---

გულდაწყვეტილი და ღრმად დამწუხრებულნი აბესალომი ბაგრატისძე და სოფიო მიხეილის ასული თენიეშვილები შვილით ილიკოთი და ბაგრატ და მაკრინე თენიეშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს პირველი რძლის და ბიცოლის

**დარიკო ივანეს ასულის თენიეშვილის**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე სამშაბათს, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლენინგრადის ქუჩა № 1 (ყოფ. პეტროგრადის) სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1557

---

ულრმესათ დამწუხრებულნი, შუშანიკ სამსონის ასული, ყაზარ სუკიას-ძე, შვილებით ამბარცუმ და ასტღიკა ბეკჩიანცები და ანა მლებროვისა მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ: პირველნი უსაყვარლესის შვილის, მეორენი ძვირფასის დის და მესამე საყვარელი შვილისშვილის მე-70 შრომის სკოლის მეცხრე ჯგუფის მოწაფის

**ასმიკას**

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-ს საღამოს 6 საათზე, გამოსვენება 23 თებერვალს, დღის 4 საათზე, საბჭოს ქუჩა № 9. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 1552

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედ კლაცმანი, და თამარა ივანეს ასული ადაძიძე, სიძე ლადო სუხიშვილი ბავშვებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ამხანაგებს პირველის შვილის, მეორესი დის და უკანასკნელის ცოლის დის ძვირფას

**დარიკოს**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 21 თებერვალს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე პეტროგრადის ქუჩიდან № 1

ნ. 650 2—2

---

დამწუხრებულნი ძმა ივანე, ძმისშვილები: ალექსანდრე, ვასო და ზინა, ბიძა ბესო, ბიძისშვილები: ვერა და ლიდა, რძლები: მაშო და ნინა ნიკოლაიშვილები და შვილისშვილი ლუბა თუხარელი ამით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 17 თებერვალს, დღის 4 საათზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

**ალექსანდრა (საშა) ათანასეს ასული თუხარელისა**

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 21 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ქსენიევის ქ. № 11, დღის 2 საათზე. 1545

---

| | სახკინმრეწვის თეატრები |
|---|---|
| აპოლო | სეზონის საუკეთესო კომედია „ბედნიერი სიკვდილი" რიმსკის და ხუზანა ბიანკეტის მონაწილეობით |
| არფასტო | დადგმის მეორე კვირა მოჯადოებული კუნძული |
| სოლეი | ბესტერ კეიტონი ახალ მსოფლიო ფილმში ბნედიანი |
| დარბაზი | „სპიდ" მე-3 და 4 სერია ერთად |
| ოდეონ | მხატვრული ფილმი „მონასტრის კედლებში" იანოვას და სტრიჟევსკის მონაწილეობით |
| პროლეტარი (ავლაბარში) | იგორ ილინსკი სურათში როდესაც მკვდრები იღვიძებენ |

---

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

წითელი არმიის ათი წლისთავისათვის სახელგამის ყველა მაღაზიაში

სამხედრო ბიბლიოთეკის

წიგნები იყიდება

50% ფასდაკლებით

ნ. 429 25—12

---

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

**ს. ბოჭორიშვილი**

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩ. სახლში № 16 დანიშნულია 24 თებერვალს 1928 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ბიქტორ ბეგლარისძე ანჯაფარიძის სახლის ავეჯეულობისა, ბუფეტის შკაფის, დიდი სარკის, დივანის სავარძლებით, მაგიდების და სხვების შეფასებულის 580 მან. და ერთი ორსართულიანი ზემო აღნიშნული ქვიტკირის სახლის შემდგარის 12 საცხოვრებელი ოთახისაგან, სამი სამზარეულოსაგან, და ორი საკუჭნაოსაგან მოთავსებული საეზოვე მიწაზე ზომით სამასი ოთხკუთხი საჟენი და შეფასებულის 15000 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ქუთაისის მაზრის პოლიტ ბიუროს და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. ათ შეფასების 10 პროც. საწინდარი. თუ 24 თებერვალს არ შესდგა საჯარო ვაჭრობა მყიდველების გამოუცხადებლობის გამო, მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება 2 მარტს 1928 წ. დილის 11 საათზე და ქონება გაიყიდება თ. ნაწილად 318 მუხ. სამ. საპ. კოდ. ნ. 651

---

ექიმი

**კ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის** (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

---

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

**ბ. ქ. ჯინჭველაშვილი**

ამით აცხადებს, რომ ის 23 თებერვალს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 4 ლენინგრადის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბელსკების მოძრავ ქონებას: კარადს, ნოხს, ტანისამოსის შკაფს, საქსოვ მანქანას, სასადილო მაგიდას, სკამებს და სხვა. შეფასებულს 380 მან., ქიმიკოსთა კავშირის 17 მუშის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 423 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 654

---

**ა. ვ. მიქაბერიძე**

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

**„სილამაზის ინსტიტუტი"**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპირის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

---

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

**სამკურნალო**

საწოლებით

**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, გორლანოვის ქ., № 20 25—4

---

ექიმი

**მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

---

კბილის ექიმი

**დავით სავვატის ძე რიქინაშვილი**

კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედანის კუთხე.

---

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 13—1

---

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

---

ექიმი

**ნ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელინის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

---

ექიმი

**ი. პ. მჭედლიშვილი**

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—4

---

მედიც. დოქტორი

**გ. ა. ახვერდოვი**

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, მესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

---

ექიმი

**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ.

საღამოს 5—8 საათ.

დილის 11—1 საათ.

**სპეციალურად სიფილისით** ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

---

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

---

**თვალის საავადმყოფო**

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

**ა. ნ. შატილოვი**

საოპერაციო დღეებში

**ა. გ. მალაევი**

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

---

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

---

**დაკარგვა:** საანგარიშო წიგნაკი № 463 | 478 ისმაილ გიორგისძე გოთოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1546

**დაკარგვა:** პირადობის მოწმობა № 264 რკინის გზიდან მიცემული გიორგი ლევანისძე მალალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1550

**დაკარგვა** სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი მიღებული ბანძის სამხედრო მაგიდიდან № 1178 პორფილე გაბოკიას სახელზე, ჩ. გ. 1549

**დაკარგვა** კომკავშირის მანდატი № 41436 აკაკი კაპარავას სახელზე, ჩ. გ. 1551

**დაკარგვა** საანგარიშო წიგნაკი № 74 ვასო მძინარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1554

**დაკარგვა:** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 7 თომა ჯობავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 652

**დაკარგვა:** განათლების პროფკავშირის წიგნაკი № 15937 ვერა გუკუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 652

**დაკარგვა** ნაყიდობა № 164, რომელიც შედგენილი იყო ზუგდიდის სახალხო მოსამართლის მიერ იმის შესახებ, რომ სევასტი ტარიელისძე მესხიამ იყიდა კესარია ანჯაფარიძის ზაქარიას ასულიდან ერთი ხის (ბუდკა) დუქანი მდებარე ქ. ზუგდიდში აკაკის ქ. № 25. ჩ. გ. ნ. 652

**დაკარგვა:** სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 № 1008, ვასილ სიმონისძე ბოლსაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1555

**დაკარგვა:** მოწმობა № 638 თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების წიგნაკი გაცემული გიორგი ბათლომესძე [illegible]ტიას სახელზე, ჩ. გ. 56

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68